



ციხესიმაგრე

№ 85 / 18-24 ივლისი / 2011

- ფოტორეპორტირების საქმე: გრიფით „გუდოვანი“ გვ. 26  
პატარკაციშვილის ოჯახის დილიშვილთანხმება გვ. 32  
გაუცილთებილებულის მსჯელი გვ. 31  
ჩატუმის ეპონომიკური „სასწაული“ გვ. 36  
ახალი პირადობის მომენტი გვ. 34  
სარდაფში გამოკიტილი ვერაბერი გვ. 42  
გაცალების პლობულება საქართველოში გვ. 38  
მარადონი ინგლისში გვ. 46

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



# მომგების ზავი გვ. 10-25



**FM**

**აცხოვი**

**98.0**





ფოტო: გამოცემის მუნიციპალიტეტი

მასმედიის წარმომადგენლების საპროტესტო აქცია საქართველოს პარლამენტთან, თბილისი, 13 ივნისი, 2011

#### ცომერში:

- 02 „ლიბერალის“  
ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 ორი აზრი  
უნდა ვიმსჯელოთ თუ არა  
„ჩიპანი“ „პირადობების“  
შემოღების შესახებ?
- 08 უნდა მოვალეობა კანდაპარში  
**მთავარი თემა**
- 10 მომგებიანი ზავი  
თვალსაზრისი
- 22 ეკლესია და საზოგადოება  
პოლიტიკა
- 26 გრიფით „ბუნდოვანი“

#### კონფლიქტის ზონა

- 31 გაუფრთხილებლობის  
მსხვერპლი
- ბიზნესი**
- 32 დიდი  
შეთანხმება
- საზოგადოება**
- 34 ახალი პირადობის მოწმობა  
**ეკონომიკა**
- 36 ბათუმის ეკონომიკური  
„სასწაული“
- თვალსაზრისი**
- 38 განათლების  
პრობლემა
- საქართველოში
- გიორგი ცხადაგა
- რევოლუცია**
- 40 ტფური ეჭმაკს!

#### გარეკანზე:

მომგებიანი ზავი



#### კულტურა

- 42 სარდაფში გამოკეტილი  
ვწებები
- ტეროლოგიზმი**
- სპორტი**
- 46 მარადონა ინგლისში
- ქალაქში მოხეტიალე კაცის  
ჩანაწერები**
- 48 ორი ქალაქის  
ამბავი



შეურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ  
„ლა საზოგადოება – საქართველოს“  
მსარდაქტორით.

აუტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო  
მასალაში გამოიტანეთ მოსაზრება  
არ გამოხატავს ფონდის „ლა  
საზოგადოება – საქართველოს“  
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის  
პასუხისმგებელი მასალის შენარჩუნებით.

The views, opinions and statements expressed  
by the authors and those providing comments  
are theirs only and do not necessarily reflect the  
position of Open Society Georgia Foundation.  
Therefore, the Open Society Georgia Foundation  
is not responsible for the content of the  
information material.

# ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆ

## სოფულ ტაბატაძის ბლოგი

საქართველოში პილიტიკური არტიკი რომ უცუდმართ თუ არა, უცნაურ ქრისტიანული, პირველად 2005 წელს მომხვდა თვალში, როდესაც რვა წელი ჰოლანდიაში ცხოვრების შემდეგ საქართველოში დავპროცნდი. იმ დროის-თვის ჩემი ნამუშევრები სოციალურ-პოლიტიკურად იყო ანგაუირებული და ჩემი საქართველოში დაპრუნების მთავარი მიზეზიც ამას უკავშირდებოდა. მდიდარ და აწყობილ ჰოლანდიაში ამ თემებზე მუშაობა თითოდან გამონავილი მეჩვენებოდა და მინდოდა ეს თემები საქართველოში. გამეღრმავებინა, სადაც მაშინაც და დღესაც გამადიდებელი შუშის გარეშეც კარგად იყო-თხება პოლიტიკური მიმართულებები და მისგან გამოწვეული სოციალური კლილებები.

2005-07 წლებში ნადია წულუკიძეს-  
თან ერთად „ხინკალი Juice“-ის სახე-  
ლით შექმნილი პერფორმანსებით იძ-  
რითად აქცენტს სოციალურ თემებზე  
ვაკეთებდი. ესენი იყო: ქალის ფუნქცია  
ქართულ საზღადოებაში, გროტესკუ-  
ლობამდე მისული სადღეგრძელოება,  
ოქროსფერი შადრევნები, დამამშვიდე-  
ბელი საშუალება: სუპუტექსი – კაცე-  
ბს, დიეტები – ქალებს და ასე შემდეგ.  
მაყურებლის უმეტესობა უკავშირო-  
ლოდ ხდიობდა ამ პერფორმანსებს და

მირჩევდა, თავი გამენებებინა ამ ოქმე-  
ბისთვის და ისევ ძველ ნაცად ხერხს,  
ხატკას დაკბრულებოდი.

ამავე წლებიდან დამამახსოვრდა ორი ღონისძიება: პირველი – გია გუ-გუშვილის (უმცროსის) მიერ ორგანიზებული პრეზიდენტის მხარდამჭერი ჯგუფური გამოფენა, სადაც არცერთი ნამუშევარი არ ეხებოდა არაფერ „საშიშს“ და მხოლოდ ზეთსა და აკვარელში შესრულებული პეიზაჟები თუ ნატურმორტები ამშვენებდა დარბაზს. მეორე კი რუსთაველზე გამართული ბოლო წლების ყველაზე მასშტაბური ინსტალაცია – საკნები. აქ ერთ-ერთ საკანში მხატვრები ერთიანდებოდნენ პრეზიდენტის ნინააღმდეგ. როგორც ჩანს, ხელოვანს ეპატიება პოლიტიკური სარჩულის მქონე პრო- თუ ანტისამთავრობო გამოფენებში მონაწილეობა, იმ შემთხვევაში თუ თვითონ ნამუშევრის ენა იქნება აპოლიტიკური. ხოლო თუ ხელოვანი თავისი ნამუშევრით მტკიცნეულ თემებს ეხება, ეს მაყურებელში აგრესიას და ნამუშევრისაგან დისტანცირებას იწვევს. ამ თამაშით მაყურებელი და ხელოვანი ერთად დარაჯობენ ხელოვანის „სუფთა გულს“, რომელიც ვერ იტანს პოლიტიკაში ამოთხვრას და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ თავისი წვალების ფასად მაყურებელს

ესთეტიური სიამოვნება მიაიწოს. ამ მსხვერპლის გაღებისთვის მაყურებელი ხელოვანს აჯილდოებს და გამოფენის კონტექსტზე თუ მისი დაფინანსების წყაროზე თვალს ხუჭავს.

2011 წელს საქართველოს ვენეციაში უკვე მეორედ ნარადგენს თამრიკო კვესიტაძე, რომელმაც 2007 წელს, მაშინ ჯერ კიდევ ცოტათო უფრო „წესების“ დაცვით, ორ სხვა მონაწილესთან, ეთერ ჭავადუასა და ჩემთან ერთად უკვე ნარადგინა საქართველო ვენეციის ბიენალეზე. 2011 წელს, მხატვრის შესარჩევად „open call“-ის შედეგად გამოხმაურებული სხვა ქართველი მხატვრების ნამუშევრები არ ყოფილა განხილული. ახლა უკვე წესების დაცვა აღარავა საჭირო. ვისაც ფული აქვს, ის უკვეთაგას მუსიკას. თამრიკო კვესიტაძის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და როგორც ჩანს, ასეთი გარიგებით ივანიშვილი არა მარტო ვენეციის ბიენალის ხარჯებს იღებს საკუთარ თავზე. ბათუმის ქანდაკებაც „All you need is love“ და სტალინის ძეგლის ადგილზე მომავალში დასადგამი ქანდაკებაც ხომ თამრიკო კვესიტაძეს ეკუთვნის. ჩნდება ეჭვი, რომ ივანიშვილსა და ხელისუფლებას შორის გარიგებაა: სახელმწიფო უზრუნველყოფს საუკეთესო პოდიუმებს ივანიშვილის პროტექტორის

କୌଣସିଲ୍ ପାଇଁ ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧୀ ରୂପାଳ୍ପିନୀ ଶମିଷ୍ଠାଳ ଶୈଖରିଳୀ ପ୍ରେସ୍ / ଅମ୍ବାଲା ସର୍ଜଲ୍ ପ୍ରେସ୍ ରୂପାଳ୍ପିନୀ ଶମିଷ୍ଠାଳ / କାନ୍ଦିବିଲୁଆ ଏବଂ କାନ୍ଦିବିଲୁଆ ପ୍ରେସ୍ ଶମିଷ୍ଠାଳ / ସାନ୍ତୋଦୀ ପ୍ରେସ୍ ଏବଂ ତାମାର ଶମିଷ୍ଠାଳ ଏବଂ ଆମ୍ବାଲା ଏମ୍ପରୀ ନିଙ୍କ ଶମିଷ୍ଠାଳ / ପ୍ରେସ୍ ରୂପାଳ୍ପିନୀ ନିଙ୍କ ଶମିଷ୍ଠାଳ

**ଶ୍ରୀରାଣ୍ମିଳିତାପାତ୍ର:** ମାଆ ନେଇଲୁଅର୍କ, ମାର୍କୋପ୍ପ କ୍ରୋନିଅଶ୍ୱିଲୋ, ଏହା କୁଠିତଙ୍ଗୁ, ରୁଷ୍ସିଶ୍ଵରାଦି ଜ୍ଞାନିଶ୍ଵରିଲୋ, ତଥାମର ଯୁଗରାତ୍ମକଶ୍ୱରିଲୋ, ନିରନ୍ତର ଶିଖିମାଧ୍ୟକ୍ଷେ, ନିରନ୍ତର ରୂପକ୍ଷୀୟକ୍ଷେ, ନାତାଳ ଘୃଣାଳିଶ୍ୱରିଲୋ

**ପ୍ରାଚୀତ୍ତିକରଣିକାରୁଦ୍ଧିତା:** ମାର୍କ ମାଲ୍‌ଟର୍ନ୍, ଗୋର୍ଗାନ୍ (ତ୍ରୁଟାଫାଇ), ମାନାନା ଓରଫାଇଶ୍‌ଟ୍‌ରୁଲ୍ପ୍, ନିନିକ୍ ପ୍ରାକାର୍ଡ୍‌ଜ୍, ଡ୍ରାଗିଟ ଡ୍ରୁବର୍କ୍‌ପିଡ୍, ଗ୍ରାମ ଅବ୍ୟାପାରିକା, ପ୍ରାକ୍‌ଟାରିଫିକ୍‌ର୍ଯ୍ୟାନ୍, ଏକ୍‌ସିଏସ୍ ର୍ହିଫାର୍ମ୍‌ଯୁଲିଙ୍, ଫ୍ରାଂକିଲିନ୍

ახალაშვილი, ნინო ბექიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე

**କୁଳାଙ୍ଗପାଇଁ** ବୁନ୍ଦିଲୀ-ରୂପାଜୁଣ୍ଡିଲୀରୁ  
ଲ୍ୟାଙ୍କାଙ୍କ ଶ୍ରେଣୀରୁଲିଙ୍କୁ  
ଗ୍ରାମପ୍ରଦେଶରୁ ଅଛିଲାନିବି ତାହାରୁଙ୍କିମୁଣ୍ଡିଲୁ  
କୁଳାଙ୍ଗପାଇଁ କାହାରୁଙ୍କିମୁଣ୍ଡିଲୁ  
କୁଳାଙ୍ଗପାଇଁ କାହାରୁଙ୍କିମୁଣ୍ଡିଲୁ

**କାନ୍ତାରୀଲିମାର:** କର୍ଣ୍ଣପାଦ ଶ୍ଵର୍ଗଜୀବିରୁ କ୍ଷେତ୍ର ପାଦବ୍ୟାକରଣୀ / କର୍ଣ୍ଣପାଦ ଶ୍ଵର୍ଗଜୀବିରୁ ଆଶିସିତ୍ତ୍ୟକ୍ରିୟା ଅୟାଳା ଶ୍ଵର୍ଗନିଷ୍ଠା / କଣ୍ଟିକା ପାଦବ୍ୟାକରଣୀ ପାଦବ୍ୟାକରଣୀ ଶ୍ଵର୍ଗଜୀବିରୁ ବାତା ରୂପାଶ୍ରୀ /

დისტობურონი ზეიად ძეგელია  
პავონიშვილი: შეკა ლიტერატურა“ მ

„ଆମେ କାହାରୁ ଲାଗିପାରିବୁ” ଏହାରୁ ଆମେ କାହାରୁ ଲାଗିପାରିବୁ, ଏହାରୁ ଆମେ କାହାରୁ ଲାଗିପାରିବୁ

ଶୁରୁଳାପିଣ୍ଡ ଗାମ୍ଭେର୍ଯ୍ୟନ୍ଦ୍ରାୟାଲ ମାତ୍ରାଙ୍କିଳାକୁ ହାତରେ ଦିଲ୍ଲିଆଇଲା ଏବଂ ମଧ୍ୟାହ୍ନ ଗାମ୍ଭେର୍ଯ୍ୟନ୍ଦ୍ରାୟାଲଙ୍କ ରୋଡରେ ଉପରେ ଦିଲ୍ଲିଆଇଲା

პერსონალის მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კორაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალლო ფასი 2 ლარი.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



წარმოსაჩენად, ხოლო ივანიშვილი ფინანსურად მხარში ამოუდგება სახელმწიფოს.

ალბათ ამ მიზეზის გამოა, რომ ვენეციის ბიენალის ქართული პავილიონი კვესიტაძისათვის ერთგვარ პერსონალურ საგამოფენო დარბაზად იქცა. ამ კითხვაზე კულტურის სამინისტროს, კერძოდ დავით ცხადაძის ერთადერთი რეაქციაა, რომ ეს კანონდარღვევა არ არის.

კვესიტაძის ნამუშევრები ვისაც ნანაბი აქვს, მან უკვე იცის, რომ მათში არ გამოჩნდება მის უკან მდგომი პოლიტიკური ძალა და ბიზნესგარიგებები, ტექნიკურად ხუთიანზე შესრულებული მექანიკურად მოძრავი თოვლინები კი მაყურებელს ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰყვის და გააკირვებს. პავილიონის მდიდრული გახსნა იქნება „სვეცეიტურული“ რასაც არც საქართველოში

არსებულ რეალობასთან, არც ქართულ თანამედროვე ხელოვნებასთან და არც საერთოდ თანამედროვე ხელოვნებასთან კავშირი არ ექნება.

რას მოვითხოვ კვესიტაძისგან? რახან მდიდარი მფარველი ჰყავს, არ გამოფინოს ნამუშევრები? მაგას არ ვითხოვ, უბრალოდ, ძალიან მომწყინდა ხელოვანების მიერ ათვისებული ის როლი, რომ მათ პოლიტიკა არ ეხებათ, რომ ისინი ამის ყველაფრის მიღმა დგანან და რომ „სილამაზეს“ ემსახურებიან. ისიც მომწყინდა, რომ მაყურებელს ნამუშევრის უკან მდგომი ძალების დანახვა არ სურს. ეს ყველაფერი ხომ ძველი სტრუქტურების გამაგრებაა, პოზაა, რომლიდანაც ვერ ან არ გამოვდივართ.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ვენეციის ბიენალებზე მონაწილეობის მიღება საკუთარი

თავით ტკბობის საშუალება არ უნდა იყოს. ეს არ უნდა იყოს პედესტალი, რომელზეც ისედაც ბოლომდე დაფინანსებული, კარგად გაპრიალებული და შელამაზებული რეალობა დაიდება.

ვენეციის ბიენალე უნდა იყოს გამოცდილება, რომელიც კარგად შერჩეული მხატვრების ჯგუფისთვის განვითარების და ახალი პერსპექტივების მომტანი გახდება. ეს მხატვრები უნდა ფლობდნენ თანამედროვე ხელოვნების ენას და თავიანთი კრიტიკული აზროვნებით, შეულამაზებლად ასახავდნენ რეალობას. ეს რეალობა შეიძლება მტკიცნეულია, მაგრამ ტკიცილის და შემსის საკუთარ თავში დაძლევა და სხვებისთვის ჩვენება ხომ ამ ტკიცილზე მაღლა დადგომას ნიშავს, რისკს შეიცავს, რითიც ხელოვნების ნიმუში საინტერესო და თანამედროვე ხდება. **■**



**პროკრედიტის ბანკი მიჩრევან  
ჩა ახს ჩამთვის ცალისი**

220 22 22  
[www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge)



ფოტო ივანი სარგებლოვანი

## ქომითობის მიხერავამობასით მბზავირება ძვირება

თბილისში 36 ახალი ყვითელი ფერის სამარშრუტი ტაქსი გამოჩნდა. მიკროვტობუსებში კონდიციონერიცაა და კომფორტული სკამებიც, თუმცა მგზავრობის საფასური 30 თეთრით გაძირდა. მოქმედებს გადახდის ელექტრონული სისტემაც. ისინი, ვისაც მუნიციპალური ტრანსპორტის პლასტიკური ბარათი აქვს, პირველ ჯერზე 80 თეთრს გადაიხდიან, მეორედ – 65 თეთრს, სოციალურად დაუცველი ადამიანები კი – საფასურის ნახევარს.

დედაქალაქის მცხოვრებლები მგზავრობის გაძირებით უკმაყოფილოები არიან. მათი ნაწილი ამბობს, რომ ასეთი მაღალი საფასურის გადახდას ყოველდღიურად ვერ შეძლებს.

სულ რამდენიმე თვის წინ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი საკრებულოს სხდომაზე აცხადებდა, რომ ახალი სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა არცერთი თეთრით არ გაძირდოდა.

თუმცა, მერიაში აღნიშნავენ, რომ 80 თე-

თრამდე მგზავრობის ლირებულების გაძვირება №4 მარშრუტის გარდა სხვა სამარშრუტო ხაზებს არ შეეხება და მგზავრობა დანარჩენ ხაზებზე ისევ 50 თეთრი ელირება. ახალი მიკროვტობუსები რესპუბლიკური საავადმყოფოდან ვაკის გავლით ავლაპრამდე მოძრაობენ.

2011 წელს საქალაქო ტრანსპორტმა 43 მილიონ ლარზე მეტი დაფინანსება მიიღო. თბილისში სამარშრუტო ხაზების მომსახურებაზე კი რამდენიმე თვის წინ გაიმართა ტენდერი, რომელშიც ხუთმა კომპანიამ გაიმარჯვა, თუმცა ამ კომპანიებს ახლა ერთი მენეჯმენტ კომპანია მართავს. მძღოლების თქმით, მათ დამტკირავებელი დღეში 40 ლარს უხდის.

2010 წლის ოქტომბერში მერიამ „მგზავრთა ნაკადის სიმცირის „მოტივით ავტობუსის 124 ხაზიდან 36 გააუქმა, 33-ს კი მარშრუტი შეუმცირდა. პარალელურად, „სერვისის გაუმჯობესების“ მიზნით, მუნიციპალური ტრანსპორტის ფასიც გაიზარდა – ავტობუსითა თუ მეტროთი მგზავრობა 40-ის ნაცვლად 50 თეთრი გახდა.

**სახადეო ეამსვეცი 26 მაისის მოცენების შემთხვეობას გამოძიებას ითხოვს**

შინაგან საქმეთა სამინისტროდან 26 მაისის აქციის დაშლაში მონაწილე 4 თანამშრომელი დაითხოვეს. ჩამოქუცეითდა ერთი, რვა თანამშრომელს საყველური, სამს კი სასტიკი საყველური გამოიუწეადეს. სასალხო დაცველი გორმგი ტულები 16 პოლიციელის დისციპლინური წესით დასჯეს არასაკრისისად მიიჩნევს. ტულების თქმით, პასუხისმგებელი მიუწენებ მთლიანი პირები, რომლებმაც უშუალოდ აქციის დაშლისას გადამეტეს საკუთარ უფლებამოსილებას, თუმცა აუკილებელია პროკურორულამ გამოიძიოს იმ დაკავებული პირების არასათანადო მოპყრიბისა და ცემის ფაქტებიც, რომლებიც აქციის დაშლის შემდეგ რესთაველის გამოიწოდება იმყოფებოდნენ.

**სახადეო ტელევიზის ახალი ვალიბები ცალისას**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოში მოქმედ ყველა საკაბელო ტელევიზიას ოფიციალური ინტერნეტ-გვერდის გახსნა მოუწევს, სადაც მომხმარებლისთვის მისაწოდებელი პაკეტები, მათი ფასი და სამუშავებლო არჩების ჩამონათვალი განვითავდება. როგორც კომისიაში ამჟამანი, მათ პერიოდულად უკმაყოფილო მომხმარებელი მიმართავდა. უკმაყოფილების მიზნით კი, საკაბელო ოპერატორების მიერ სამაუწყებლო არხების ხშირი ცვლილება იყო.

## თბილისიდან ლავიცითა გასახლება ბჩევება



18 ივლისიდან თბილისში დარჩენილი დევნილების გასახლება იწყება. ვარეტოლის 204-ე ბაგა-ბაღის შენობაში, თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონში, ყაზბეგის 16-სა და

უზნაძის 8 ნომერში მცხოვრებ დევნილებს 8 ივლისს სამინისტრომ ბინების დასაცლელად ათდღიანი ვადა მისცა. დევნილებს ახალ საცხოვრებელს სამეგრელოსა და კახეთის სოფლებში სთავაზობენ, რაზეც მათი უმრავლესობა უარს ამბობს. დევნილები სამინისტროსან ფოთსა და ბათუმში მშენებარე სახლებში ბინების გადაცემას ან 10 000 ლარიან კომპენსაციას ითხოვენ და აცხადებენ, რომ ყველა მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში აქციებს საპატრიარქოსა და გაეროს ოფისის ნინ გამართავენ.

## სვანეთში მოსახლეობის სახათის უფლებები იჩივვა

მესტიაში აეროპორტის მშენებლობის გამო 30-ზე მეტ ადგილობრივ ოჯახს 115 151 კვადრატული მეტრი მინის ნაკვეთი ჩამოირთვა და მხოლოდ ერთმა ოჯახმა მიიღო კომპენსაცია – ნერია იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევაში, რომლებიც ადამიანის საკუთრების უფლებებს იცავენ. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-


ში“ ამბობენ, რომ საჯარო რეესტრში ხშირად ადგილობრივ მოსახლეობას საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე დაუსაბუთებელი მიზეზით უარს უბრნებიან. არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, თუკი მთავრობამ პრობლემაზე ყურადღება არ გამახვილა, უმინდ დარჩენილი მესტიელები შემოსავლის გარეშე დარჩებიან.

## უსაფის ბეი გუჩავევი

ორდონიანი სასამართლო სხდომების შემდეგ ბრიტანეთის მართლმსაჯულებამ ჯულიან ასანჟის აპელაციაზე გადაწყვეტილების გამოტანა გადადო. მოსამართლემ განაცხადა, რომ განაჩენს მოგვანებით გამოტანას, თუმცა კონკრეტული ვადები არ დაუსახელებია.

Wikileaks-ის დამფუძნებელი ლონ-დონის სასამართლოს თებერვლის განაჩენს აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც ასანჟის შევედროში ექსტრადირება უნდ მოხდეს. შევედრითი

მას 2 ქალბატონის მიმართ სექსუალურ ძალადობაში ადაპარაულებს. ასანჟი შიშიბის, რომ შევედრითის ხელისუფლებისთვის მის გადაცემას საბოლოოდ ამერიკაში ექსტრადირება მოჰყება, სადაც იგი Wikileaks-ის გამო შესაძლოა სიკვდილითაც დასაჯონ.



### ჩიხვები

**4 304**

მღრღდ აშშ დოლარია Google-ის წმინდა მოგება 2011 წლის მონაცემებით.

**50.73**

მილიონი ევროს დახმარებას მიიღებს საქართველო ევროკომისიისგან.

**24**

საათით გაიფიცნენ 15 ივლისს სამაუწყებლო კომპანია BBC-ის თანამშრომლები.

### ციტატები



„როდესაც საქმე-საქმეზე მიდგება და საქართველოს პრეზიდენტს მოუწევს არჩევანის გაკეთება სომეხთა და ქართველთა ინტერესებს შორის, ის აუცილებლად მიიღებს სომეხთა სასარგებლო გადაწყვეტილებას. როგორც ჩანს, ჩემი ეს ნათევამი გამართლდა კიდეც კონფესიუტთან დაკავშირებით კანონის მიღებით. ჩემი წინასწარმეტყველება ახდა“. რეუსისორი რობერტ სტურუა უმცირესობებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ.

„არ დაუშვა მამაშენის საფლავს თხრიდეს გარეგინი!“

პოეტი, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქტორი ლაშა ნადარეშვილი

„გალის ეთნიკურმა ქართველებმა Human Rights Watch-ს თავისი წუხილები გადასცეს ქურდობის, გამოსასყიდისთვის გატაცების, შეიარაღებული ძარცვის, ფულის გამოძალვის და სხვა დანაშაულებთან დაკავშირების“. Human Rights Watch-ის ანგარიში,

რომელიც ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს ჩანერილ ინტერვიუებს ეფუძნება.



## მომხერი

ზაზა ნანობაშვილი  
ანჩისხატის მომლოცველთა  
კრებულის ხელმძღვანელი

ბიომეტრიული პასპორტები მის შემოღება-მდე უნდა გამხდარიყო საჯარო მსჯელობის საგანი, რადგან მისი შემოტანით ადამიანის უფლებები ირღვევა. აღარ გაქვს საკუთარ თავთან დარჩენის შესაძლებლობა. გამოთვლილია, რომ ასეთი პასპორტების გამოყენება ადამიანს ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ მოუწევს - ტრანსპორტში, კომუნალური გადასახადების გადახდის დროს, რაიმეს ყიდვის დროს და ფაქტობრივად, შენი ადგილსამყოფელი და ის, თუ რითო ხარ დაკავებული, არ იქნება ფარული. ეს ყველაფერი ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში აღინუსხება გრაფაში, რომელშიც დაცული იქნება ყველა მონაცემი - დაწყებული სისხლის ჯგუფიდან, დამთავრებული საყვარელი კერძებით.

ანტიქრისტიანული კი ეს პასპორტი იმიტომაა, რომ ადამიანს ერღვევა ღმერთის მიერ მოცემული თავისუფალი ნება. ჩიპში საკრალური ნიშნების ყოფნა-არ ყოფნა მეორე საკითხია და ამის დადგენაზე ათონის მთაზე შექმნილი კომისიები მუშაობენ. ჩიპების შემოღება საკრალურ რიცხვებს იმიტომ შეადარეს, რომ აქ ხელწერაა ერთი და იგივე - ვერც იყიდი და ვერც გაყიდი, ვერანაირ ოპერაციას ვერ განახორციელებ ამ პასპორტის გარეშე და სახელმწიფო, ფაქტობრივად, გრიყავს, ხდები უუფლებო.

ასევე ეს მონაცემები ხელმისაწვდომია ჰაკერებისთვის და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მონაცემთა ბაზა შეცვალონ ისე, რომ რეციდივისტად გამოგიყანონ და მაგალითად, საზღვრის გადაკვეთის დროს შეგექმნათ პრობლემები.

ამ სიტუაციიდან გამოსავალია, შეჩერდეს ამ პასპორტის შემოღება, დაინიშნოს კომისია, რომელშიც სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები გაერთიანდებიან, შედგება ეკლესიის კრება და ეკროპის მოდელის და გამოცდილების გათვალისწინებით, სადაც ასევე აპროტესტებდნენ ასეთი პასპორტების შემოღებას, მიიღებენ გადაწყვეტილებას. ბიომეტრიული პასპორტები შხოლოდ საქართველოში შემოიღეს ასე უცებ, საბერძნეთსა და უკრაინაში ეს ჯერ კიდევ კანონპროექტის დონეზეა. ■



## უნდა ვიმსჯოთ ი "პიჩელობაბის" შემომართვა

■ ანტიქრისტიანული კი ეს პასპორტი იმიტომაა, რომ ადამიანს ერღვევა ღმერთის მიერ მოცემული თავისუფალი ნება. ჩიპში საკრალური ნიშნების ყოფნა-არ ყოფნა მეორე საკითხია და ამის დადგენაზე ათონის მთაზე შექმნილი კომისიები მუშაობენ.



## თუ აჩ არ გვეხმარო ოლების შესახებ?

■ საეკლესიო სწავლების ელემენტარულ  
უმეცრებას ავლენენ რელიგიური ფსიქოზით  
შეცყრობილი ის საეკლესიო პირები, ვინც ახალი  
პასპორტების ელექტრონულ მატარებლებს  
(თუნდაც შტრიხ-კოდებს), პირდაპირ თუ  
ირიბად, ანტიქრისტეს ბეჭედთან აკავშირებენ.



**მოციქააღგლებე**

დავით თინიკაშვილი  
თეოლოგი

მიკროჩიპის შემცველი ბიომეტრიული პასპორტების შემოღების გამო ატეხილ რელიგიურ აუთორიტან დაკავშირებით, ჩემი აზრით, საკვანძო მომენტს წარმოადგენს სწავლება ადამიანის თავისუფალი ნების შესახებ. ამიტომ აბსურდულად მეჩვენება ის აზრი, რომ მორნმუნენი ფარულად, მათი პიროვნული თანხმობის გარეშე, 666-ის შემცველი რომელიმე ღოკუმენტის აღების შემთხვევაში, ანტიქრისტეს მიმდევრებად იქცევიან.

ცნობილი ათონელი ბერის, პაისის აზრით (მას ძალზე ხშირად ციტირებენ ქართულ სინამდვილეშიც), თუ ადამიანი ანტიქრისტეს ბეჭედს მიიღებს „თუნდაც არ-ცოდნით, ის კარგავს ლოთის მადლს და ეშმაკის გავლენის ქვეშ ექცევა“ (იხ. მისი „სიტყვები“, ტ. 2, ნაწ. 3, გვ. 197). თუმცა ეკლესიის ყველა იველი მამა, ვისაც კი ანტიქრისტეს ბეჭედზე რამე უთქვამს (ანდრია კესარიელი, იპოლიტე რომაელი, ეფრემ ასური...) ცალსახად მიუთითებენ შემდეგ გარემოებებზე:

(1) აუცილებელია შეგნებული და გაცნობიერებული თანხმობა ქრისტეს რწმენის უარყოფაზე. მაგალითად, იპოლიტე რომაელის მითითებით, ამ ბეჭედს ექნება წარწერა „უარყოფაშე შემოქმედ ღმერთს და შენ გაღიარებ“, სხვა საეკლესიო მამის აზრით, წარწერა ამგვარი იქნება: „ნებაყოფლობით გაღიარებ და არა იძულებით“.

(2) აღნიშნულ ბეჭედს ადამიანთა ნაწილი მიიღებს უშუალოდ ანტიქრისტეს სამწლინახევრიანი მეფობის დროს (აქვე იმის თქმაც შეიძლება, რომ ბიბლიის ზოგიერთ ძველ ხელნაწერში მხეცის ნიშნად წარმოდგენილია არა 666, არამედ 665, 646 და 616).

ასე რომ, საეკლესიო სწავლების ელემენტარულ უმეცრებას ავლენენ რელიგიური ფსიქოზით შეცყრობილი ის საეკლესიო პირები, ვინც ახალი პასპორტების ელექტრონულ მატარებლებს (თუნდაც შტრიხ-კოდებს), პირდაპირ თუ ირიბად, ანტიქრისტეს ბეჭედთან აკავშირებენ.

ეს ისტერია არ არის ახალი: რუსეთის ეკლესიის სინოდმა 2000 წლის 7 მარტს სპეციალური განცხადება გაავრცელა იНН-ის (გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი) შემოღებასთან დაკავშირებით, რომელშიც, ფაქტობრივად, ხელისუფლებას მოუწოდებდა, გაგებით მოჰკიდებოდა მრევლის ცრუმორნმუნე ნაწილის მოთხოვნას და მათთვის შტრიხ-კოდების განსხვავებული კოდირების სისტემა შემოედო. საბოლოოდ, ეს უცნაური თხოვნა რუსეთის ხელისუფლებამ სამართლიანად უგულებელყო.

ავტორი

## მავი განების წარმატება

12 ივლისს ავღანეთის სიდიდით მეორე ქალაქ კანდაპარში სამხრეთის პროვინციების ყველაზე გავლენიანი ადამიანი, პრეზიდენტ ჰამიდ კარზას ნახევარდმა საკუთარ სახლში მოკლეს.

### ვასო კუჭუხიძე

მიუხედავად ცუდი რეპუტაციისა, აპმედ ვალი კარზა ავღანეთში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. პრეზიდენტის ნახევარდმა რეგიონში სტაბილურობის გარანტად მიიჩნეოდა. ამიტომაც, მისმა მკლელობამ შესაძლოა მნიშვნელოვანად გაამტვავოს ვითარება არამარტო კანდაპარში, არამედ მთელ ავღანეთში.

მეოცე საუკუნის ბოლოს სწორედ კანდაპარში ჩამოყალიბდა ტერორისტული ორგანიზაცია „თალიბანი“. ხელისუფლებას საკუთარი ძალაუფლების გამყარება ყველაზე მეტად სწორედ ამ ქალაქში უჭირდა. არადა, მთავრობისთვის, ქვეყნის უსაფრთხოების ინდექსის გასაზრდელად, ავღანეთის სიდიდით მეორე ქალაქში სტაბილურობის დამყარება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ხელისუფლებაში მოსვლისთანვე ჰამიდ კარზამ საკუთარ ძებნი ყველაზე დიდი ავტორიტეტის მქონე, აპმედ ვადის მიანდო კანდაპარის პროვინციაში ვითარების დარღვეულირება.

ახლად არჩეული პრეზიდენტი დასახმარებლად უმცროსი ძამა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა, სადაც ის რამდენიმე ათეული წელი ცხოვრობდა და რესტრონების ქსელს განაგებდა. აპმედ ვალი კარზა ნაკუბიზნესთან კავშირში ჯერ კიდევ ჩიკაგოში ცხოვრების დროს იყო ეჭვმიტანილი და თეთრი სახლი დიდი სიხარულით არ შეხვედრია მისთვის მნიშვნელოვანი რეგიონის ჩაბარებას. თუმცა, ვაშინგტონის პრიორიტეტებში „თალიბანის“ განადგურებასა და ავღანეთში სტაბილურობის დამყარებას ნამყავანი ადგილი ეჭირა და ამიტომაც, საბოლოოდ მანქც დათანხმდა აპმედ ვალის კანდაპარის კანდიდატურას.

პრეზიდენტის ნახევარდმა კანდაპარის რეგიონში პროვინციული საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. საბჭოს არავითარი სამოქალაქო ძალაუფლება არ გააჩინა და ავღანეური საზოგადოებისთვის დამა-

ხასიათებელ ტომის ლიდერთა ტრადიციული გაერთიანებას. მიუხედავად ამისა, კარზას გავლენა რეგიონში საწყისი ეტაპიდანვე ძალიან დადი იყო. პროვინციის გამგებელი, კანდაპარის მერი და ცენტრალური ხელისუფლების სხვა ნარმომადგენები რეგიონში აპმედ ვალის უახლოეს წრიდან დაინიშნენ და მისი სრული მორჩილებით გამოირჩეოდნენ.

დაკისრებულ მოვალეობას აპმედ ვალიმ ნარმატებით გაართვა თავი და სხვა პროვინციებით შედარებით კანდაპარში სტაბილურობა დამყარა. თუმცა, პრეზიდენტის ნახევარდმა ამ შედარებით სტაბილურობას უსაზღვრო ტერორის საშუალებით აღნევდა – ანადგურებდა ყველას და ყველაფერს, რაც მის ინტერესებს ენინალმდეგებოდა. გარდა ამისა, აპმედ ვალის უახლოესი პარტნიორი გახდა ავღანეთში „ოპორუმის მეფედ“ წოდებულ ჰაჯი აზიზულასი. სულ მალე პრეზიდენტის ნახევარდმის წრე მთელი ცენტრალური აზის რეგიონში იარაღით ვაჭრობის მონიპოლისტი გახდა. მრავალმილიონიანმა შემოსავალმა და ხელისუფლებიდან მფარველობამ აპმედ ვალი კარზას მაღალუფლება შეუზღუდავი გახადა.

არალეგალური საქმიანობიდან გამომდინარე, აპმედ ვალი თეთრი სახლისთვის სულ უფრო არასასურველი ფიგურა ხდებოდა. ბოლო რამდენიმე თვეში ვაშინგტონმა რამდენიმეჯერ მოსთხოვა ავღანეთის პრეზიდენტს თავგასული ძმის გადაყენება, მაგრამ კარზას ცენტრალური ხელისუფლება სწორედ აპმედ ვალის მსგავსი პროვინციული მმართველების შერებზე დგას. ისინი მთავრობას საარჩევნო სმებითაც უზრუნველყოფებ და ფინანსებითაც. გარდა ამისა, ცენტრალური ხელისუფლების გამყარებასაც უწყობეს ხელს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამიტომაც თეთრი სახლის მოთხოვნას ავღანე-

თის პრეზიდენტმა თავი აარიდა.

თავად ამერიკელთა შორისაც არ იყო ერთსულონება აპმედ ვალის საკითხთან დაკავშირებით. თუკი სამხედრო შტაბი და დიპლომატიური წარმომადგენლობა მისი ძალაუფლების შეზღუდვას მოითხოვდნენ, ცენტრალური სადაზვერვო სამსახური და თეთრი სახლის ლობისტური ჯგუფები მას მფარველობდნენ. სწორედ ეს აძლევდა ჰამიდ კარზას საშუალებას აშშ-ის ხელისუფლების მოთხოვნა არ დაეკმაყოფილებინა და მისთვის ძალაუფლება შეენარჩუნებინა.

CIA-სთან აპმედ ვალი კარზას თანამშრომლობაზე დასავლური პრესა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ წერდა. მოგვიანებით, აშშ-ის ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ ნათელი გახდა, რომ იგი ამერიკულ დაზვერვას საჭირო ინფორმაციით ამარაგებდა, კონტაქტებს ამყარებდა და შუამდგომლობდა სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებთან. როგორც ამერიკის ყოფილმა წარმომადგენელმა ავღანეთში, ბილ ჰარისმა აღნიშნა: „ჩვენ მას აღვიკებდით არა როგორც მეგობრად, არამედ როგორც ჩვენი მტრების მტრად“.

თუმცა, ბოლო დროს აპმედ ვალი თავს ველარ ართმევდა პროვინციის სტაბილურობის საკითხს, რამაც „თალიბანის“ გააქტიურება გამოიწვია. მართალია, აპმედ ვალი მის წინააღმდეგ მოწყობილ ორივე მასშტაბურ ტერაქტს უვნებელი გადაურჩა, მაგრამ მისი რეპუტაცია მნიშვნელოვნად შეიიღა. ნათელი გახდა, რომ უსაზღვრო ძალაუფლების მიუხედავად, ის „თალიბანის“ დამარცხებას ვერ ახერხდა. ამას ისიც დაემატა, რომ პარილში თაღლიბმა თვითმევლელმა ააფეთქა კანდაპარის პროვინციის პოლიციის უფროსი სანი მუჰამად მუჟაჰიდი, რომელიც აპმედ ვალის მარჯვენა ხელი იყო. მისმა დაკარ-



ავლანელების ლოცვა აპმედ ვალი კარზაის საფლავთან, 13 ივლისი 2011

ଓଡ଼ିଆ / REUTERS

გვამ ასევე მნიშვნელოვნად შეასუსტა  
კარზაის პოზიციები რეგიონში.

ამას საერთაშორისო ფაქტორებიც  
დაერთო თან. აშშ-მ მოლაპარაკებები  
დინწყო „თალიპანთან“ და მათ შემო-  
სარიგებლად „თალიპანისთვეს“ ისეთი  
დაუძინებელი მტრის შექრების საჭირო-  
ება დადგა, როგორიც აპმედ ვალი იყო.  
გარდა ამისა, კარზიას მიმართ მტრუ-  
ლად განწყობილი ავღანეთის შტაბის  
ხელმძღვანელი გენერალი ჰეტრუჟი, იმ  
ორგანიზაციის (CIA) ხელმძღვანელად გა-  
დაიყვანეს, რომელიც მას მდარევლობდა.

სანტერესოა, რომ აპერდ ვალი საკუთარ სახლში უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთმა წარმომადგენლმა მოყლა. 35 წლის სანდარ მუპამედს კარზასთან დიდი ხნის ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. წარსულში ის აპერდ ვალის დაცვის წევრი იყო და მისი მფარველობის შემდეგ პოლიციის განყოფილების უფროსი და პროვინციული საბჭოს წევრი გახდა. მეცნიელობის ზუსტი მოტივის დადგრძნა

■ პრეზიდენტის ნახევარძმა  
შედარებით სტაბილურობას  
უსაზღვრო ტერორის  
საშუალებით აღწევდა –  
ანადგურებდა ყველას  
და ყველაფერს, რაც მის  
ინტირისებს ენინაალმდიგიბოდა.

შეუძლებელია, რადგანაც ვალის დაცვამ  
მუჰამედი გასროლის შემდეგ ადგილზევე  
მოკლა.

კარზაის ლიკვიდაციაზე „პასუხისმგებლობა“ საკუთარ თავზე „თალიბანში“ აიღო. მათი წარმომადგენლის განცხადებით, დიდ ხანია ამზადებდნენ მუჟამადს ასეთი მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. ავღანელ ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მკვლელობა პირადი უთანაბოების ნია-

დაგზე შეიძლება მომხდარიყო. მათ ვა-  
რაუდს ისიც ამყარებს, რომ დაზვერვის  
ინფორმაციის თანახმად, სანდარ მუჰა-  
მედის ტერორისტებთან კავშირი არ  
დასტურდება და „თალიპანიც“ ხშირად  
იქრალებს სხვების ჩადენილ მევლელო-  
ბებს.

ეკლესია და ხელისუფლება

# მომზადების ზავი

ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირება  
არც მართლმადიდებლობის დასაცავად გამართული  
პრძოლა იყო და არც რელიგიური უმცირესობების  
უფლებებისთვის. სიმბოლური მნიშვნელობის კანონის  
მიღებით და მისი გაპროტესტებით ორივე მხარე ძალის  
დემონსტრირებას ეცადა.

სოფო ბუკია



ფოტო REUTERS

გარეგინ II, მიხეილ სააკაშვილი და ილია II, თბილისი, 10 ივნისი 2011



13 ივლისს მცხეთაში ხალხმრავლობა იყო. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვას კათოლიკოს-პატრიარქი აღავლენდა. ტაძარი სავსე იყო სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე თბილისიდან ჩამოსული სტუმრებით, მათ შორის იყო ბევრი პოლიტიკოსი – მინისტრი კობა სუბელიანი, პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი და თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელიც სვეტიცხოვლში სხვებზე ადრე მივიდა.

ქადაგებაში პატრიარქმა თქვა, რომ ადამიანი ყოველთვის უნდა მადლობდეს უფალს მისგან მიღებული სიკეთისთვის. „უმაღური ადამიანი უფალს არ უყვარს“, – აღნიშნა ილია მეორემ.

სვეტიცხოვლობაზე მთავარი სტუმარი საქართველოს პრეზიდენტი იყო. ტაძარში შესვლისთანავე იგი პატრიარქთან მივიდა და ხელზე ეამბორა. გასვლის წინ კი, ამბიონის კიბესთან პრეზიდენტი კვლავ შეხვდა ილია მეორეს. მათ ორიოდე წუთი ისაუბრეს და შემდეგ პატრიარქმა პრეზიდენტი ტაძრის კარიბჭემდე მიაცილა. გარეთ მიხეილ სააკაშვილს ხალხი ელოდა. საეკლესიო დღესასწაულის აღსანიშნავად მისულნი პრეზიდენტს „მიშა! მიშა!“-ს შეძახილებითა და ტაშით შეეგებნენ. მას მადლობას უხდიდნენ მცხეთის გალამაზებისთვის და, ზოგადად, უხდიდნენ მადლობას ყველაფრისთვის.

პრეზიდენტისა და პატრიარქის ამ ხანმოკლე შეხვედრამ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ღია დაპირისპირება დაასრულა და ნაციონალური არხების მაყურებელს „ერისა და ბერის“ პარმონიული ერთიანობის განცდა შეუქმნა.

ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების მიზეზი 5 ივლისს პარლამენტის ნახევრადცარიელ დარბაზში დაჩქარებული წესით მიღებული კანონი გახდა, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების უფლება საქართვე-

ლოში გავრცელებულ იმ რელიგიურ კონფესიებს მიეცათ, რომელიც ასეთი სტატუსით ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სარგებლობენ.

ამ კანონის მიღებას საპატრიარქის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. პატრიარქისა და ეკლესის დასაცავად ქუჩაში გამოსულმა ათი ათასობით ადამიანმა მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა პროტესტი, რაც 11 ივლისს, ნიმინდა სინოდი შეიკრიბა და მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის მთავარი მედიატორი იყო სასულიერო სემინარის ყოფილი სტუდენტი, თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელიც სვეტიცხოვლობაზე პრეზიდენტისა და პატრიარქის გვერდით იდგა. სინოდის შეკრებამდე ერთი დღით ადრე უგულავა საპატრიარქოში თავად მივიდა და როგორც შემდეგ აღნიშნა, საქმეში უკეთ გასარკვევად ყოფილ თანაურსელებს ესაუბრა.

უგულავას სტუმრობის დეტალებზე საუბრისას, „ლიბერალის“ წყარო საპატრიარქოში იხსენებს: „კითხვას – რატომ მიიღეს კანონი ასე ნაჩქარევად, ქალაქის მერმა კითხვითვე უპასუხა – რატომ არ იყო პატრიარქი დამოკუიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე?“

გიგი უგულავა 2011 წლის 26 მაისს გულისხმობდა, როცა მომიტინგეთა სასტიკი დარბევიდან რამდენიმე საათში გამართულ საზემოობა აღლუმის თვალშისაცემად აკლდა ერთ-ერთი მთავარი მონაწილე პირი – საქართველოს პატრიარქი.

„ლიბერალის“ წყაროს თქმით, ქალაქის მერმა საპატრიარქოს წარმომადგენლებს აშკარად მიანიშნა, რომ კანონის დაჩქარებულად და პატრიარქის დაუკითხავად მიღება ეკლესიის მეთაურის დემარშზე პასუხი იყო.

თავად კანონი იმდენად სიმბოლურია და არაფერს ცვლის რელიგიური

უმცირესობების უფლებების თვალსაზრისით, რომ საეჭვოა, მის გარშემო ატეხილი გადაჭარბებული აუკითაშის მთავარი მიზეზი ამ კანონის შინაარსი ყოფილიყო.

საქართველოში გავრცელებული რელიგიური კონფესიების უმრავლესობა დღეს საერთოდ არ არის რეგისტრირებული.

2005 წლამდე მათ რეგისტრაციის უფლება არც ჰქონდათ, 2005 წლიდან კი კერძო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების უფლება მიეცათ. მას შემდეგ უკვე 6 წელი გავიდა, თუმცა ეს უფლება თითქმის არცერთმა კონფესიამ არ გამოიყენა. მათი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ რელიგიური ორგანიზაციების არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციების სტატუსთან გათანაბრება შეურაცხმოფელად მიაჩნდათ.

6 ივლისს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებებით რელიგიურმა კონფესიებმა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების შესაძლებლობა მიიღეს. ამით სახელმწიფო, უბრალოდ, აღიარა რელიგიური უმცირესობები, როგორც რელიგიური ორგანიზაციები, თუმცა სხვა

არანაირი უფლება არ მიაწიჭა.

ამ კანონის სიმბოლური ხასიათი დაადასტურა უშიშროების საბჭოს მდივანმაც რუსულ გაზეთ „კომერსანტთან“ საუბარში. „სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ისინი თუნდაც ფორმალურად, რელიგიურ ორგანიზაციებად ყოფილიყვნენ მოხსენიებული. ვფიქრობ, რომ სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება ამ პრობლემას გადაწყვეტს. ეს საკითხი უფრო სიმბოლურია, თუმცა ზოგჯერ სიმბოლოები ადამიანის აღქ-

## ■ საკანონმდებლო ცვლილება არ გულისხმობს არც რაიმე საბიუჯეტო შედავათების დაწესებას რელიგიური უმცირესობებისთვის და არც მართლმადიდებელ ეკლესიასთან სადაც ქონების დაბრუნების შესაძლებლობას.

მაზე გავლენას ახდენენ, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

საკანონმდებლო ცვლილება არ გულისხმობს არც რაიმე საბიუჯეტო შედავათების დაწესებას რელიგიური უმცირესობებისთვის და არც მართლმადიდებელ ეკლესიასთან სადაც ქონების დაბრუნების შესაძლებლობას.

მაგალითად, 6 სომხური და 5 კათოლიკური ეკლესია, რომელზეც მიმდინარეობს დავა, კვლავ მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად დარჩება, რადგან ამას 2002 წლის საკონსტიტუციო შეთანხმება – კონკორდატი არეგულირებს, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში აყენებს მართლმადიდებელ ეკლესიას. რეგისტრაცია კონფესიებს მისცემს უფლებას, შეიძინონ საკუთრება – ჰქონდეთ ახალი ეკლესია ან გადაიფორმონ ძველი, მაგრამ სადაც ეკლესიებს ეს კანონი არ ეხება.

სავარაუდოდ, იმის შესახებ, რომ კანონი სიმბოლურია და რელიგიურ ჯგუფებს იურიდიული სტატუსის გარდა სხვა არავითარ უფლებებს არ ანიჭებს, საპატრიარქოშიც კარგად იციან.

საპატრიარქოს უმცირესობებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების თაობაზე არაოფიციალური, პრინციპული

## ერთიანი და საერთო კულტურული მემკვიდრეობის განვითარების სამსახური

► 2003 წლის ნოემბრის გამოსვლების დროს ეკლესია პირდაპირ არ ჩარჩულა მოვლენებში, თუმცა, რევოლუციის ბედი გარკვეულწლად გადაწყვიტა იმ ფაქტმაც, რომ შევარდნაძის მიერ დანიშნულ პარლამენტის პირველ სხდომაზე იღია || არ მივიდა.

► მიხეილ სააკაშვილმა შევარდნაძის ტრადიცია გააგრძელა და პირველი საპრეზიდენტო ფიცი ქართველი ხალხის წინაშე გელათში, წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის საფლავზე ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ



კონსტანტინეს თანდასწრებით დადო და მისი ლოცვა-კურთხევაც მიიღო.

► 2004 წლის ოქტომბერში „გაზე ზე 24 საათში“ სასულიერო აკადემიის რამდენიმე სტუდენტის საპროტესტო წერილი გამოქვეყნდა, სადაც ისინი ეკლესიაში არსებულ მდგომარეობას აკრიტიკებდნენ. სტუდენტები მოელოდნენ, რომ საჯარო სივრცე და ტელემედია მათთვის ლი იქნებოდა, მაგრამ მათ ტელევიზიონით გამოსვლის და დისკუსიის საშუალება არ მიეცათ: „სწორედ ხელისუ-

ფლებამ მოგვისპონ საჯარო სივრცე; გადაკეტეს ყველა მედია საშუალება, სადაც შეგვეძლო გვეთქვა ჩვენი სათქმელი“, – ამბობს ამ მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი ბექა მინდიაშვილი.

► 2005 წლის დასაწყისში, საპატრიარქოში ეკლესიასა და განათლების სამინისტროს შორის ურთიერთგადების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმი რამდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა, მათ შორის ერთ-ერთის მიხედვით, საპატრიარქოს არა შხოლოდ ე.წ. რელიგიის ისტორიის, არა-



საპროტესტო მსვლელობა რუსთაველის გამზირზე, თბილისი, 9 ივნისი 2011

მედ, ქართული ლიტერატურის და ისტორიის სწავლების დაგეგმვასა და პედაგოგიკის შერჩევაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

► მალევა, 2005 წლის  
პრილიში, საქართველოს  
პარლამენტმა მიიღო კანონი  
ზოგდით განათლების შესახებ,  
სადაც აღნიშნულია, რომ  
საქართველო აღიარებს  
„საჯარო სკოლის დამოუკი-  
დებლობას რელიგიური და  
პოლიტიკური გაერთიანებე-  
ბისაგან“. მოუხედავად ამისა,  
რამდენიმე წლის განმავლო-  
ბაში საქართველოს ბევრ სა-  
ჯარო სკოლაში სწავლიოდნენ

საგანს, რომელსაც „რელი-  
გიის ისტორია“ ერქვა, მაგრამ  
რეალურად მართლმადიდე-  
ბლური კატეხიზმო იყო.

▶ 2005 წლის ბოლოს დიდი  
მღელვარება გამოიწვა სა-  
ხალხო დამცველის – სოზარ  
სუპარის – საპარლამენტო  
მოხსენებამ, სადაც მან განა-  
ცხადა, რომ საკონსტიტუციო  
შეთანხმება არღვევს საქარ-  
თველოს კონსტიტუციასა და  
საერთაშორისო კონვენციე-  
ბში აღარ ბეჭულ თანასწო-  
რუფლებიანობის პრინციპს,  
რადგან მართლმადიდებელ  
ეკლესიას მნიშვნელოვან  
პრივილეგიებს ანიჭებს სა-

ქართველობი არსებულ სხვა  
რელიგიურ ჯგუფებთან შედა-  
რებით. სოზარ სუპარმა ასევე  
გაკრიტიკა განათლების სა-  
მინისტროსა და საპატრიარ-  
ქეოს შორის გაფორმებული  
მემორანული. დეპუტატების  
დიდმა ნაწილმა, სახალხო და-  
მცველს არც კი მოუსმინეს და  
დარბაზი პროცესტის ნიშანად  
დატოვეს. მშინ იმპერატორს  
ლიად მხოლოდ გიგა ბოკე-  
რიაძ დაუჭირა მხარი.

▶ 2005 წლის გაზაფხულზე  
საქართველოში ოფიციალუ-  
რი ვიზიტით იმყოფებოდა  
სომხეთის პარლამენტის  
თავმჯდომარე არტურ ბალ-

დასარიანი, რომელიც სადაცვო  
ეკლესიების საკითხზე იღია  
II-ს შეხვდა. მაშინ სომხური  
შხარე 9 ეკლესის გადაცემის  
მოითხოვდა. მოლაპარაკებები  
უშედეგოდ დასრულდა. მაშინ-  
დელმა პრემიერ-მნინძისტრმა  
ზურაბ ნოლაიდელმა აღნიშნა,  
რომ „უმჯობესი იქნებოდა,  
თუ ქართული და სომხური  
ეკლესიები სახელმწიფოს  
ჩარევის გარეშე მოაგვარებდ-  
ნენ ამ პრობლემას“. სომხურ  
შხარეს ამის შემდეგ რამდენ-  
ჯერმე ჰქონდა მცდელობა  
სახელმწიფოსთან ესაუბრა  
სადაცვო ეკლესიების შესახებ,  
თუმცა, უშედეგოდ.

# მთავარი თემა

თანხმობაც კი ჰქონდა გაცხადებული. ამის შესახებ 7 ივლისს ქადაგებაში თავად პატრიარქმაც თქვა:

„ჩევნი პოზიცია არ არის ის, რომ  
რელიგიებს სტატუსი არ უნდა მიეცეთ.  
ჩევნი პოზიციაა, დავსხდეთ მეცნიერებას,  
რეპარანტ, სასულიერო პირებსა და სპე-  
ციალისტებთან ერთად და ეს სკონხი  
განვიხილოთ. სამწუხაროდ, კანონმდე-  
ბლებმა ისე იჩქარეს, რომ კანონი თრ  
დღეში დაამტკიცეს“.

7 ივლისს, ქადაგების დროს პატრიარქმა ახალ კანონს „მწიმეობლოვანი და საშიში“ უწოდა, რომლის უარყოფთ შედეგებს „10 და 100 წლის შემდეგ“ დავინახავთ.

„ვინც ეკლესიის წინააღმდეგ წავიდა, ყველას ოჯახი დაინგრა“, — თქვა პატრიარქმა.

სასულიერო პირები უურნალისტებთან საუბარში და ქადაგებისას ამბობდნენ, რომ ახალი კანონი მართლმადიდებლობას უქმნიდა საფრთხეს და ეკლესიასა და პირადად პატრიარქს შეურაცხყოფდა.

თუმცა, კონკრეტულად, რა ემუქრებოდა მართლმადიდებელ ეკლესიას ახალი კანონით, არცერთი მათგანი ამ-ბობდა.

ყველაზე კონკრეტული არგუმენტი, რაზეც სასულიერო პირები მიუთითებდნენ ის იყო, რომ კანონის დაჩქარებული წესით მიღება დროში დაემთხვა საქართველოში სომხეთის პატრიარქის – გარეგინ მეორის ვიზიტს.

ინტერნეტში გავრცელდა ილია მეორისა და გარეგნი მეორის 11 ივნისის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, თუ როგორ ფამილიარულად, „შე-

■ როგორც საპატირიარქოს  
პოზიციის მხარდამჭერები  
აცხადებდნენ, ამ  
დიალოგის შემდეგ გარეგინ  
მეორის მოთხოვნების  
თუნდაც ნაწილობრივ  
დაკმაყოფილება პირადად  
პატირიარქის და ეკლესიის  
შეურაცხყოფა იყო.

ნობით” მიმართავს გარეგინ მეორე სა-  
ქართველოს პატრიარქს და საუბრის  
დროს შიგადაშიგ ფეხზე ხელსაც უტყა-  
პუნებს. ორი ქვეყნის ეკლესიის მეთაუ-  
რი საქართველოში სომხური ეკლესიის  
სტატუსისა და სადაცო ეკლესიების  
თემას ეხებიან.

„შენ ყველაფერი გაქვს – ეუბნება გარეგინ მეორე საქართველოს პატრიარქს – შენ წარმოადგენ არგუმენტებს, რა გვიშლის ხელს, რომ გადაეწყვიტოთ ეს საკითხები? საქმეს ნუ გავართულებთ“.

როგორც საპატირიარქოს პოზიციის  
მხარდამჭერები აცხადებდნენ, ამ დია-  
ლოგის შემდეგ გარევინ მეორის მო-  
თხოვნების თუნდაც ნაწილობრივ დაკ-  
მაყოფილება პირადად პატირიარქის და  
ეკლესიის შეურაცხყოფა იყო. ხოლო  
იმ ფაქტმა, რომ კანონის მიღების შემ-  
დეგ გარევინ მეორემ მიღებული კანო-  
ნისთვის პირადად მიხეილ სააკაშვილს  
გადაუხადა მაღლობა, ვითარება კიდევ  
უფრო დაძაბა.

ამას მოჰყენა აგრესიული, აქვარა ან-  
ტისომბური განცხადებები, რომლებ-  
საც ზოგიერთი სასულიერო პირი და  
მათი მხარდამჭერები საჯარო სივრცე-  
ში ავრცელებდნენ.

Վազգեսն օս և բարեկառը: 2003 - 2011 թվական պահում է աշխատավորությունը:

► 2006 წლის 14 მარტს  
საქართველოს საპატირიარქოს  
მდივანმა მიქაელ ბოტკო-  
ველმა გააკრიტიკა „საზო-  
გადოებრივი მაუწყებლის“  
დირექტორით თამარ კინწუ-  
რაშვილი მისი გამო, რომ ის  
თანამშრომლებს ცელევიზიის  
შენობაში ხატების ქონას  
უკრძალავდა და მორჩმუნეე-  
ბს სამსახურიდან უმიზეზოდ  
ათავისუფლებდა. „თამარ  
კინწურაშვილმა აკრძალა  
საშობაო ლიტურგიის გაშ-  
ვება პირდაპირი ეთერით“, –  
განაცხადა მამა მიქაელმა.  
კინწურაშვილს თავის მარ-

თლება მოუწია. მან განმარტა,  
რომ გათავისუფლებული  
თანამშრომლები ამ ოემით  
სპეცულაციას ეწეოდნენ,  
საშობაო წირვის ტრანსლირე-  
ბა კი ტექნიკური მიზეზების  
გამო ვერ მოხერხდა. ამის  
შემდეგ სადღესასწაულო  
წირვები პირდაპირ ეთერში  
რამდენიმე არხით გადაიცემა,  
ასევე აქტიურად შექდება  
საქართველოს კაოლიკოს-  
პატრიარქის ყველა საკირაო  
და სადღესასწაულო ქადაგება.  
2007 წლიდან საპატრიარქოს  
აქვს საკუთარი ტელეკარხი  
„ერთსაოროვნება“, სადაც

დირიქტორის მიერ გადაცემები  
და რელიგიური გადაცემები  
გადის.  
► 2004 წლის 2 ივნისს  
დღანისის რაომნის ერთ-  
ერთ ეკლესიაში შეს-ს  
წარმომადგენლებმა ჩხრეკა  
ჩაატარეს, რასაც ეკლესიის  
მხრიდან მძაფრი რეაგირა  
მოჰყვა. პისკოპოსმა ზენონმა  
ტელეკომპანია „იმედიის“  
ეთერით ისაუბრა ამ ფაქტის  
შესახებ: „ეჭვმიტანილებს ეძე-  
ბდნენ, თუმცა, რა ოქმა უნდა,  
ვერავინ იპოვეს. მათ არ ჰქონ-  
დათ შესაბამისი უფლებამო-  
სიობა, ან ორთვერი ჩხრეკას

ჩასატარებლად, ისინი ისე  
წავიდნენ, რომ ბოდიშიც კი არ  
მოიხადეს“. თავიდან შინაგან  
საქმეთა სამინისტრო ეკლე-  
სიაში ჩატარებული ჩერეკეის  
ფაქტს უარყოფდა, მაგრამ  
მოგვიანებით ბოდიშის მოხდა  
მაინც მოუწია: „მე ვესაუბრე  
შინაგან საქმეთა მინისტრს  
ვანო მერაბძევილს, რომელ-  
მაც ბოდიში მოიხადა და  
დამპირდა, რომ ინციდენტი  
გამოძიებული იქნებოდა“, –  
აღნიშვნა იპის კოპოსმა.

► ეკლესიის წარმომადგენლებს ოფიციალურად არ დაუგმინათ 2004 წლის



ფოტო ლაშა ხაჩაკაციძე / REUTERS

მსვლელობა სამების საკათედრო ტაძრისკენ, თბილისი, 9 ივნისი 2011

განდგომილი მღვდლის, ბასილ მკალავიშვილის დაკავება, მოუხდავად იმისა, რომ სამართალდამცავებმა ძალას გადაამტეს. პირიქით, საპატრიარქო მუდმივად აღნიშნავდა, რომ ემიჯნებოდა ამ დაჯგუფებას. მკალავიშვილის დაკავებას მქები ახალაიები ხელმძღვანელობდნენ. საგულისხმოა, რომ 2009 წლის 17 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იღლა II-მ ზუგდიდში სტუმრობისას იქაური პროკურორი, ბაჩო და დათა ახალაიების მამა რონალდ ახალაია სამეცნიერო-ზემო

სვანეთის რეგიონის განვითარებაში შეტანილი წვლილის-თვის წმინდა გიორგის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

► 2007 წლის 18 მაისს, ხელვაჩაურის რაიონში, ფერის მთაზე, თოთქმის დასრულებული ეკლესია ამავე რაონის გამგეობის წარმომადგენლებმა ღამით იმ საბაბით დაანგრიეს, რომ მშენებლობა უკანონი იყო. ამ ქმედებას ოპოზიციური პარტიების და საზოგადოებრივი ბის მწვავე რეაქცია მოჰყვა. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ პრეზიდენტი იძულებული გახდა, პატრიარქს

შეხვედროდა. „ფერის მთაზე, სადაც ცოტა ხნის წინ მშენებარე ეკლესია დაანგრიეს, ეკლესიაც აშენდება და ქორწინების სახლიც“ – ეს განცხადება სწორედ მათი შეხვედრის შემდეგ გაკეთდა.

► 2007 წლის შემოდგომაზე პოლიტიკური კრიზისის დროს ეკლესია აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. პატრიარქი ხვდებოდა როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების ლიდერებს, სთავაზობდა შუამავლის როლს, უთმობდა სივრცეს მოლაპარაკებების-თვის და ა. შ. პოლიტიკური

პარტიების აქტიურობა, როგორც ჩანს, შემანუხებელიც აღმოჩნდა საქართველოს კათოლიკოსის თაობის და საპატრიარქო მაგვარი განცხადებაც გაავრცელა: „ეკლესის წარმოჩნა რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერად, არის ყოვლად დაუშვებელი, რადგან ეკლესია იყო და არის ერის გამართითანებელი ძალა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც საზოგადოებაში განსხვავებული პოლიტიკური მიმართულებები არსებობს“.

# მთავარი თემა

ამ ძალზე მგრძნობიარე თემით სპეცულირებამ იმდენად „ეფექტურად“ იმუშავა, რომ სამების ტაბართან 9 ივლისს მისული ადამიანები მთავარ საფრთხედ სომხეთს, სომებს ერს და პირადად გარეგინ მეორეს ასახელებდნენ.

ბევრ მათგანს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა წერია კანონში, რომლის გამოც ეს დაპირისპირება დაიწყო და ამას მათ არც არავინ უხსნიდა.

ხელისუფლებისთვის სახარბიელო სიტუაცია შეიქმნა. საპარლამენტო უმრავლესობის დიდმა ნანილმა, მათ შორის თავად პარლამენტის თავმჯდომარემ, ამ კანონის კერძისყრაში მონაწილეობაც კი ვერ გაძება. მიუხედავად ამისა, „ნაციონალური მოძრაობა“ ტოლერანტულ და პროგრესულ ძალად გამოჩნდა, ყველა დანარჩენი კი – განსაკუთრებით მორჩმუნები – „ბნელებად“ და ქსენოფობებად.

აქციების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ცხადი გახდა, რომ ერთადერთი მიზეზი, რამაც საპარლიარქო აღაშფოთა, ის იყო, რომ მას – ასეთ გავლენიან და პატივსაცემ ინსტიტუტს – არაფერი ჰქითხეს ისეთი კანონის მიღებისას, რომელიც უშუალოდ მას ეხებოდა.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის თანახმად, რელიგიურ საკითხებზე ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილებისას კონსულტაციებში საპატრიარქო უნდა იყოს ჩართული.

„ლიბერალის“ წყარო საპატრიარქო-დან ამბობს: „ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ მღვდელმთავრებმაც არ იცოდნენ, რას გულისხმობს ეს კანონი. მათ არ მიეცათ დრო და საშუალება იმისათვის, რომ ამ საკითხში გარკვეულიყვნენ. ეკლესია ძალიან წუხს, რომ ეს კანონი ეკლესიის მონაწილეობის გა-

რეშე მიიღეს და მას არ რთავენ მნიშვნელოვანი რელიგიური საკითხების გადაწყვეტაში. კონკორდატიც, რომლის მიღებაზეც თავის დროზე ბევრი იბრძოლა ზურაბ უვანიამ და რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, არსებითად, არ მუშაობს.“

პატრიარქის როლი პოლიტიკაში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ეკლესია დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციაა, რომლის კეთილგანწყობა ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ დივიდენდებს ნიშნავს, ხოლო მასთან კონფლიქტი – საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილთან დაპირისპირებას. ამ კეთილგანწყობით მანიპულირების შესაძლებლობა ის მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომელიც მას ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ მოთამაშედ აქცევს.

საპატრიარქო ყოველთვის ცდილობდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ლაგორებას და ურთიერთობის გამწვავებაზე არცერთთან არ წასულა. მაგალითად, 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, ინაუგურაციაზე, პატრიარქი პრეზიდენტის გვერდით იდგა. 2009 წლის ოპოზიციის აქციების დროსაც,

**■ ხელისუფლებისთვის  
სახარბიელო სიტუაცია  
შეიქმნა. „ნაციონალური  
მოძრაობა“ ტოლერანტულ  
და პროგრესულ ძალად  
გამოჩნდა, ყველა დანარჩენი  
კი – განსაკუთრებით  
მორჩმუნები – „ბნელებად“  
და ქსენოფობებად.**

## ერთსინ ღამის სამართლებრივი მინისტრი 2003 - 2011 წლების ქრისტენი

► 2008 წლის აგვისტოს მიმი შემდეგ დალუპული ჯარისკაცების გვამების გადმოსვენება სწორედ კათოლიკოს-პატრიარქის ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. პატრიარქი და ეკლესიის დელეგაციები მუდმივად ხვდებიან რეს კოლეგებს. ქართული ეკლესია, მოუხედავად გარკვეული უთანხმოებისა, დღემდე ცდილობს, მეგობრული ურთიერთობები შეინარჩუნოს მოსკოვის საპატრიარქოსთან და რუსეთის, როგორც აგრძელობის და ოკუპანტის, კრიტიკას ერიდება.



დალუპული ჯარისკაცების გადმოსვენება, გორი, აგვისტო 2008

ბული პარტიის წევრები საპატრიარქოში მიიღო და დალოცა. „ქრისტიან-დემოკრატები“ გარკვეული პრეზიდენტის მუდმივად აყენებენ ამ მოთხოვნას. საპატრიარქომ კი რამდენ ჯერმე გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების იდეა საქართველოს ეკლესიისთვის მიუღებელია. ამ შინაარსის განცხადება უკანასკნელად 2011 წლის 7 ივლისს გავრცელდა.

► 2008 წელს გიორგი თარგამაძემ „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ ჩამოაყალიბა და პირველი ვე მოთხოვნად მართლმა-

დიდებლობისთვის ოფიციალური რელიგიის სტატუსის მინიჭება წამოაყენა. კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ ახალდაარსე-



REUTERS

მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა ილია II-სთან მისი წლიური ანგარიშის წინ, 26 ოქტომბერი 2010

## მთავარი თემა

ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად, პატრიარქი არ დათანხმდა მათ თხოვნას, მომიტინგეთათვეს რაიმე პოლიტიკური მოწოდება გაეცემონა. ამის საპირისპიროდ, მან 2009 წლის 26 მაისს სამებასთან მისულ ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერს დაშლისა და ლოცვისკენ მოუწოდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სამების ტაძარი თბილისის მერმა და შე მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დატოვეს. ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ფარული გარიგების შემდეგ, საპატრიიარქი ხელისუფლებას აჯანყებულ მოსახლეობასთან ურთიერთობის გარკვევაში დაიხმარა.

პირველი შემთხვევა, როცა პატრიარქმა დღად აჩვენა, რომ უკმაყოფილობა ხელისუფლების პოლიტიკით, 2011 წლის 26 მაისი იყო. ამ დღეს, საკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველად, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე პრეზიდენტის გვერდით არ იდგა საქართველოს პატრიარქი.

სამხედრო ექსპერტი ირაკლი სე-  
სიაშვილი, რომელიც აღლუმებს ყო-  
ვილ წელს ადგინებს თვალს, ამბობს:

„პატრიარქი არ არის ვალდებული დაესწოოს აღლუმს, თუმცა, ეს არის მთელი ქვეყნის ზეიმი, რომელშიც სამძღვდელოებაც მონაწილეობს. წელს აღლუმზე პატრიარქის არმისვლა, ცხადია, თვალშისაცემი იყო“.

როგორც ჩანს, პატრიორქისთვის  
განკუთხებილი ცარიელი ადგილი თვალ-  
ში მოხვდათ ქვეყნის მმართველებსაც.  
როდესაც ხელისუფლება რელიგიურ  
თემაზე ახალ კანონს საპატრიორქოს-  
თან კონსულტაციის გარეშე იღებდა,  
შეუძლებელია მას არ სკოდნოდა, რომ

■ პირველი შემთხვევა,  
როცა პატრიარქმა ღიად  
აჩვენა, რომ უკმაყოფილოა  
ხელისუფლების პოლიტიკით,  
2011 წლის 26 მაისი იყო. ამ  
დღეს დამოუკიდებლობის  
დღისადმი მიძღვნილ  
აღლუმზე პრეზიდენტის  
გვერდით არ იდგა  
საქართველოს პატრიარქი.


ეს სერიოზულ კონფრონტაციას წარმოშობდა. სიტუაციის მიზანმიმართულ გამწვავებაზე ისიც მიუთითებს, რომ დეპუტატებმა კანონი 2 დღეში, რიგგარეშე სესიაზე, დაჩქარებული წესით მიიღეს.

“ჩვენთან ხელისუფლება ძალაუ-  
ფლების სრულ კონტროლს ცდილობს  
და სურს, ეკლესიაც მისი დაქვემდე-  
ბარების ქვეშ იყოს. საპატრიარქო, თა-  
ვის მხრივ, ცდილობს იყოს რელიგიურ  
საკითხებში მთავარი ინსტიტუტი. ამ  
შემთხვევაში, მოხდა მათი ინტერესების  
შეჯახება,“ – ამბობს „რესპუბლიკური  
პარტიის“ წევრი დავით ზურაბიშვილი,  
რომელიც თავად კანონს მხარს უჭერს,  
თუმცა, პრობლემას მისი მიღების  
ფორმაში ხედავს.

11 ივლისს, ქალაქის მერის ვიზი-  
ტიდან რამდენიმე საათში შეკრებილ-  
მა სინოდმა გამოიტანა დადგენილება,  
რომელმაც ეკლესიის მხარდასაჭერად  
ქუჩაში გამოსულთაგან ბევრი გააკვირ-  
ვა.

ურბნისისა და რუსისა ეპარქიის მი-  
ტროპოლიტმა მეუფე იობამა კრების  
დასრულების შემდეგ ალინიშვილი, რომ სი-  
ნოდის გადაწყვეტილება „ორმხსრივად

ՎԱՐԱՆԱ ՅԱ ԵԿԱՊԵՏԱԳՈՅՆԻ: 2003 - 2011 ԵԼԵՔՑՈՒՄ ՀԻՄՆԱԿՑՈՒՄ



ბაგრატიონების ქორწილი

▶ 2008 წლის წლის შე-  
მოდგომაზე იღია || გამო-  
ვიდა ინიციატივით, რომ  
საქართველო მომავალში  
აუცილებლად მონარქიული  
სახელმწიფო უნდა გამხდა-  
რიყო, მომავალი მონარქი  
კი საპატიოარქოს კარზე  
აღზრდილიყო. ბაგრატიო-  
ნების ქორნილი, რომელიც  
პატიოარქის ლოცვა-კურ-  
თხევით სამებაში გაიმართა,  
კრახით დამთავრდა. წყვილი  
მალევე დაშირდა ერთმა-  
ნეთს. აღსანიშნავია, რომ  
მმართველი პატიოის წარმო-  
მადგენლაპი ქორნილში არ  
მივიღონა.

▶ 2008 წლის გაზაფხულზე  
ოპოზიციის ნაწილი, ახალი  
საარჩევნო კანონმდებლობის  
მოთხოვნით, პარლამენტის  
შენობაში შეიმშილობდა.  
მაშინ პოლიტიკური კრიზისი  
სწორედ იღია II-სა ჩარჩვების  
შემდეგ განიმუშავდა. პატრიარ-  
ქმა სთხოვა ოპოზიციონერებს,  
შეეწყიტათ შეიმშილობის  
აქცია.

▶ 2008 წლის საპარლამენტო აღმინდებამდე რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლებამ საპატირიარქოს 19 ერთეული ძვირადღირებული „ტოიოტა ლენდ კორპორेशნი 200“ აჩვენა. ერთი მანქანის ასეი დაახლოების

ეპით 40 ათასი დოლარიდან 65  
ათასი დოლარის ფარგლებში  
მიღებაობს.

► 2009 წლის იანვარში  
საპატიოარქომ ტელეშოუ „სა-  
ქართველოს დიდი ათეული“ -  
-დან წმინდანების (თამარ მეფე,  
დავით აღმაშენებელი, ილია  
ჭავჭავაძე, ეკვთიმე თაყაიშვი-  
ლი და სხვ.) ამონება მოითხოვა.  
„საზოგადოებრივი მაუწყე-  
ბლის“ ეთერში გამართეულ  
ლია დებატებში სასულიერო  
პირებიც იღებდნენ მონაწილ-  
ებას. მართალია, პროე-  
ქტის ავტორები წმინდანების  
ამონებას არ დათანხმდნენ,  
მაგრამ პირობის დასახურის



აღლუმი, თბილისი, 26 მაისი 2011

პირველი ათეულის გამოქვეყნების შემდეგ დიდ ქართველთა ნუმერაცია გაუქმდებოდა.

► საზოგადოების დიდი მლელვარება მოჰყვა თეა თუთ-ბერიძის მიერ „ფეისბუქის“ გვერდზე პატრიარქის გაშარ-ჯებული ვიდეოების გამოქვეყნებას. პირადად პატრიარქს აჩ საკითხზე არ უსაუბრია, მაგრამ საპატრიარქო ლიად გმობდა ამ ფაქტს. თეა თუთბერიძის გალიზიანების მიზეზი პატრიარქის მიერ საქართველოს პრეზიდენტის აგვისტოს ომთან დაკავშირებული კრიტიკა იყო.

► 2009 წლის ბოლოს სამო-ქალაქო საზოგადოების ერთმა

ნანილმა საკმაოდ მწვავე ღია წერილით მიმართა საქართველოს პატრიარქსა და ხელისუფლებას. წერილში საუბარი იყო, მათ შორის, საბჭოთა ეპიქაში ეკლესიის სპეცია-სახურებთან ურთიერთობაზე, რუსეთთან და რუსულ ეკლე-სიასთან დამოკიდებულებაზე, სასულიერო პირთა მხრიდან ქსენოფობიურ განცხადებებზე და ა. შ. წერილს 235-მა ადამიანმა მოაწერა ხელი. „შეკითხვების ავტორებს ჩვენ საზოგადოების ნაწილად არ ვთვლით და არ ვაპირებთ მათზე პასუხის გაცემას“, – ასე უპასუხა საპატრიარქოშ წერილის ავტორებს.

► 2010 წლის გაზაფხულზე საპატრიარქოს არ დაუგმია ეკლესიის და მართლმადი-დებლობის დაცვის სახელით მომხდარი ინციდენტი იღლიას უნივერსიტეტის ეზოში და ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში. პატრიარქმა ექს-ტრემისტული დაჯაგუფების „მართლმადიდებელ მშო-ბელთა კავშირის“ სულიერი ლიდერი დავით ისაკაძე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა. ტელეეთერში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ სამართალდამცავები იძულებულნ გახდნენ, რამდენიმე ექსტრემისტი დაეკავებინათ.

► 2008 წლის დეკემბერში, კათოლიკოს-პატრიარქის ალ-საყდრების 31-ე წლისთვის დაკავშირებით ჩატარებული წირვის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა განაცხადა: „მე მიმართია, რომ იღლია ჭავჭავაძის შემდეგ ამდენი არავის არ გაუკეთებია ქართველთა და ჩვენი ერის მთლიანად, მრავალეთნიკური ქართველი ერის სულიერი შეკავშირებისთვის, იდნ-ტურობის გასაღვივებლად, ჩვენი სიძლიერის და ჩვენი ერთიანობის შესაღულებლად, როგორც ეს გააკეთა მისმა უწმინდესობამ!“



## სომხური სომხური ბანქსალება

საზოგადოებრივი  
მოძრაობა „მრავალეროვანი  
საქართველოს“ ლიდერმა,  
თბილისში სომხური ასამბლეის  
დამფუძნებელმა არნოლდ  
სტეპანიანმა უკავალისულება  
გამოიქავა იმის გამო, რომ  
საქართველოს მთავრობამ და  
მართლმადიდებელმა ეკლესიამ  
შეთანხმებას მიაღწიეს.  
სტეპანიანი განსაკუთრებით  
შეაშფოთა სამოქალაქო კოდექსში  
შესული ცვლილებების შემდეგ  
დამტკიცებულმა განმარტებითმა  
ბარათმა, რომელშიც ალნიშნულია,  
რომ სომხურ სამოციქულო  
ეკლესიას, მართალია, ენიჭება  
საჯარო იურიდიული პირის  
სტატუსი, თუმცა ეს არ ნიშნავს  
იმას, რომ სომხები საქართველოს  
ტერიტორიაზე სადაც ქონების  
დაპრუნებას შეძლებენ.  
სტეპანიანმა საინფორმაციო  
საშუალება news.am -თან  
ინტერვიუში განაცხადა: „ამ  
კონსენსუსში საქართველოს  
მთავრობასა და მართლმადიდებელ  
ეკლესიას შორის უძრავოდ შიდა  
პოლიტიკური დაძაბულობა  
განმუხტა, თუმცა ამით  
სერიოზული დარტყმა მიაყენა  
სომხურ სამოციქულო ეკლესიას,  
რომელსაც ალარ შეუძლია  
ეკლესიების დაპრუნება  
მოითხოვოს.“

კომპრომისულია“.

„ორმხრივად კომპრომისული ნიშ-  
ნავს, რომ შეთანხმებულად მივიღეთ  
გადაწყვეტილება. ისეთი გადაწყვეტი-  
ლება იქნა მიღებული, რომ მომავალში  
ეკლესიას და სახელმწიფოს დადები-  
თად წაადგება“, — აღნიშნა მან.

სინოდმა თავისი დადგენილებით სა-  
სულიერო პირებსა და მრევლს სიმშ-  
ვიდისკენ მოუწოდა, ხელისუფლებას  
კი ურჩია, მომავალში კონკორდატი  
დაიცეს და რელიგიასთან დაკავში-  
რებული საკითხების განხილვისას კონ-  
სულტაციებში ეკლესია აუცილებლად  
ჩართოს.

სინოდის დადგენილებაში წერია,  
რომ: „საქართველოში მცხოვრები ყვე-  
ლა რელიგიური აღმსარებლობის ადა-  
მიანი, ისევე როგორც რელიგიური  
გაერთიანებები, თანასწორია კანონის  
ნინაშე“.

იმ სასულიერო პირების ქმედებებს  
კი, რომლებმაც „ზენობრივი ნორმები“  
დაარღვევს და ქსენოფობიური და სხვა  
არაპუნანური განცხადებები გააკეთეს,  
სპეციალური კომისია შეისწავლის,  
რომელიც ასევე სინოდის დადგენილე-  
ბით შეიქმნა.

კომპრომისებისთვის მზად აღმოჩნ-  
და ხელისუფლებაც. კანონს, რომელიც  
რელიგიურ უმცირესობებს ისედაც  
არავითარ უფლებას არ ანიჭებს, გან-  
მარტებითი ბარათი მიაყოლეს, სადაც  
წერია, რომ ეს კანონი არავითარ ქონე-  
ბრივ ვალდებულებებს არ შეიცავს და  
რომ მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყა-  
ნაში განსაკუთრებული ადგილი მარ-  
თლმადიდებელ ეკლესიას უჭირავს.

რამდენიმე საათში მიღწეულმა ამ  
„ორმხრივმა კომპრომისმა“ კარგად  
აჩვენა, თუ რა უმნიშვნელო იყო ახა-  
ლი კანონის არსი ამ დაპირისპირებაში.  
ის „სიმბოლური თანასწორობა“, რომე-  
ლიც ამ კანონს უმცირესობებისთვის  
უნდა მოექანა, ხელისუფლებამ გან-  
მარტებითი ბარათით მარტივად გაა-  
ბათილა.

თავს მხრივ, წმინდა სინოდმაც ადვი-  
ლად დათმო იმ კანონის ამოქმედება,  
რომელიც რამდენიმე დღის წინ პა-  
ტრიარქმა 10-100 წლის შემდეგ დიდი  
საფრთხის შემცველად გამოაცხადა. ხე-  
ლისუფლებასა და ეკლესიას შორის და-  
პირისპირებას საერთო არაფერი ჰქონდა  
რელიგიურ საკითხებთან და ის მხოლოდ  
გავლენისთვის ბრძოლა აღმოჩნდა. **მ**

## ელესი ღ ხელსაფლაბა: 2003 - 2011 წელის ქიონიაბი

► მიხეილ სააკაშვილ-  
მა, მეორე ვადით არჩევის  
შემდეგ; საპრეზიდენტო  
ფიცი ბაგრატის ტაძარში  
დადო, მოსახლეობას  
ტაძრის აღდგენას და-  
პირდა და მისი „ძველი  
ბრწყინვალების დასა-  
ბრუნებლად“ ფართო-  
მასშტაბიანი გეგმების  
შესახებ გამოაცხადა.  
„მე მინდა, ეს იყოს ჩვენი  
შეტანილი წვლილი  
საქართველოს აღმოძი-  
ნებაში“, — განაცხადა მან.  
ფიცის დადების შემდეგ  
კათოლიკოს-პატრიარ-  
ქმა ილია II-მ საზეიმო



ბაგრატის ტაძარი

პარაკლისი გადაიხადა.  
მალევე დაიწყო ბაგრა-  
ტის ტაძრის აღდგენითი  
სამუშაოები, რომლებმაც  
სპეციალისტებს შორის  
აზრთა სხვადასხვაობა  
გამოიწვია. ბაგრატის ტა-  
ძრის აღდგენითი სამუშა-  
ოების შეჩერება მხოლოდ  
მომზადა  
ნინო ბექიშვილმა

### გიორგი კიკონიშვილის

პლოგი

პატივიარების

ზაფხული 2

4 თვის წინ რელიგიურ ნიაზე ვწერდი, რომელმაც გაზაფხულის დადგომისთანავე დაუბრა. ვამბობდი, რომ ქვეყანა Facebook-ზე გახსნილი „პატრიარქი“ გადაარჩენს საქართველოს“ მსგავსი გვერდებით არ შენდება. ეხლაც მაგ აზრზე ვარ და მიხარია, რომ უკვე ზაფხულში დაპერილმა რელიგიურმა გრიგალმა ბერ ადამიანს შეაცვლევინა აზრი რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთებულების შესახებ. ოთხი თვის წინანდელთან შედარებით ახლა უფრო მეტმა ადამიანმა გაიგო რას ნიშნავს სეკულარიზაცია. სეკულარიზაციის შესახებ უფრო ვრცლად ღიდნავ მოვინანებით, იქამდე კი, ჩემზე რომ არ დაიგეშოთ და „სატანისტის“ ძახილი არ დამინყონ ზოგიერთებმა, თავს დავიზღვევ და რწმენის თავისუფლებისა და ეკლესიის შესახებ ერთი „სულიერ მამად“ და „წმინდანად“ წოდებული ილია ჭავჭავაძის ორ ციტატას მოვიყვან...



### თათია გულიავილის პლოგი „ეროვნული სამორტი“ და აპოროტის აუცილებლობა

8 ივლისს ქართველი ფერ-ინსიტების მეერ დაგეგმილ აქციას და მსვლელობას, რომელიც ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვასა და სასწავლებლებში სქესობრივი განათლების შემოღებას ეხებოდა, ჯერ კიდევ ჩატარებამდე, და მის შემდეგაც, facebook-ზე საკმაოდ მწვავე გამოხმაურებები მოყვა. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ფერმინისტების გამოსვლაში მხოლოდ ერთი მესივე - აპორტის უფლებაზე ხაზგასმა ამოიკითხა. მათი აზრით კი, საქართველოში, სადაც აპორტი 12 კვირამდე ისედაც ლეგალურია, მსგავსი აქციის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობდა.

### ახავე თავაზე: მულტიებიდა აპცია „ჩემი სხეული ჩემი საქმეა“

### ცინია კაპაბაძის პლოგი

კიდევ ერთხელ ქრისტეს სახელით გავრცელებული სიძულვილის შესახებ

საქართველოს რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე კანონმდებლებმა, რელიგიათმცოდნებმა, გნებავთ, მართლმადიდებლური ეკლესიის და საქართველოს საპატრიარქოს ნარმომადგენლებმა და უბრალოდ საკითხში ღრმად ჩახედულმა პირებმა ისაუბრონ - ამას არავინ ეწინააღმდეგება და მეც ამგვარი დისკუსიის მომხრევარ. რატომაც არა?! თითქოს ამას ითხოვდა საქართველოს პატრიარქიც, მაგრამ...



### მულტიებიდა

ახალი მიკროავტობუსები  
გაზრდილი ფასის სანაცვლოდ

### მულტიებიდა

ფოთონებაორთულობის  
მხარდაჭერი აპცია  
გერმანიის საელჩოსთან

# ცალისი ესახობა



„ახალი კანონი რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ პოზიტიური ნაბიჯია თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე, მაგრამ ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობათა დინამიკა სრულიადაც არ იძლევა გრძელვადიანი ოპტიმიზმის იმედს“.

გიგა ზედანია

რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონთან დაკავშირებული კონფლიქტი ჩაცხრა. გამარჯვება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელისუფლებას დარჩა, რომელმაც მოახერხა და ეკლესიისათვის მიუღებელი კანონი გაიტანა. ეკლესიას უკან დახვევა მოუხდა, რაც სინოდის გადაწყვეტილებაში აისახა. მაგრამ ხელისუფლებამაც აჩვენა, რომ კონფლიქტის გაღრმავებით არ იყო დაინტერესებული. ამას მოჰყვა სიმბოლური უესტების კასკადი, რომელთა ერთადერთი მიზანი საზოგადოებისთვის იმის ჩვენება იყო, რომ შერიგება მოხდა.

კონფლიქტი ჩაცხრა იმიტომ, რომ არც ხელისუფლებას და არც ეკლესიას კონფრონტაცია არ აწყობს. ეკლესიას ეს ხელს არ აძლევს იმიტომ, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში, ხელისუფლებაზე გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ის წააგებს – ეკლესიის ძალა ხომ ყველას გაერთიანებაშია. ამის საპირისპიროდ, პოლიტიკა დაყოფების ველს წარმოადგენს. როგორც კი ეკლესია შედის პოლიტიკის ველში, ის კარგადს თავის გამაერთიანებელ ძალას. ხელისუფლებას დაპირისპირების გაღრმავება არ სურს იმიტომ, რომ ამ დაპირისპირების შედეგები აუცილებლად და უარყოფითად აისახება მის პოპულარობაზე. ამიტომ შერიგება გარდაუვალი იყო.

■ კონფლიქტი ჩაცხრა  
იმიტომ, რომ არც  
ხელისუფლებას და არც  
ეკლესიას კონფრონტაცია  
არ აწყობს. ეკლესიას ეს  
ხელს არ აძლევს იმიტომ,  
რომ ხელისუფლებაზე  
გამარჯვების შემთხვევაშიც  
კი, ის წააგებს – ეკლესიის  
ძალა ხომ ყველას  
გაერთიანებაშია.

აღორძინებული), მაშინ რელიგიური გაერთიანებების შესახებ მიღებული კანონი, რომელსაც დიდი დატვირთვა არ აქვს, მნიშვნელოვანია სწორედ უმცირესობების აღიარებასთან დაკავშირებული პრესტიუსისთვის. ეს წინგადადგმული ნაბიჯია სახელმწიფოსთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ანუ ეს მხოლოდ ხელისუფლების გამარჯვება არ ყოფილა.

კანონის გარდა უკანასკნელი თვეების განმავლობაში ერთი არაა კლებ მნიშვნელოვანი ტენდენციაც შეინიშნება – ტაბუ აესსნა ეკლესიის კრიტიკას. თუ წლების განმავლობაში ეს თემა უბრალოდ ხელშეუხებელი იყო და ორი-სამი ადამიანის გარდა მასზე საჯარო სფეროში კრიტიკულად ვერავინ ან არავინ საუბრობდა, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და თამამდაც გამოთქვამს საკუთარ აზრს. რასაკვირველია, ეს ადამიანები უმცირესობაში არიან, მაგრამ ეს აქტიური უმცირესობაა, რომლის კომპეტენციაც და ენერგიაც ბევრად აღემატება პასიური უმრავლესობისას.

გარდა ამ ორი ფაქტორისა, სასისარულო ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში ცოტაა. აი, საფრთხის შემცველი კი – ძალიან ბევრი. თუ მოკლევადიან



საპროტესტო მსელელობა რუსთაველის გამზირზე, თბილისი, 9 ივნისი 2011

ფოტო: ლიკა ბერიძე / REUTERS

პერსპექტივაში ხელისუფლებას მეტი ბერკეტი აქვს პოლიტიკურ თამაშებში, გრძელვადიან პერსპექტივაში ვითარება სხვაგვარად გამოიყურება.

არამც და არამც არ მინდა, ეკლესიის გავლენის ზრდა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურსა და სოციალურ პრობლემებს დაუუკავშირო. საქართველოს მსგავს ქვეყანაში დიდი ცდუნებაა, რომ თქვა: სანამ ადამიანი არ იგრძნობს თავს დაცულად ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, მანამ ის რელიგიას მიმართავს, როგორც კომპენსაციისა თუ წარმოსახვითი დაზღვევის წყაროს. მართლაც, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები რელიგიურობის ზრდის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი“.

საქმე ისაა, რომ, გარდა ამისა, ეკლესია ერთადერთი ინსტიტუტი აღმოჩნდა საქართველოში, რომელმაც მოახერხა და ჩამოაყალიბა ერთიანი (მწყობრიო, ენა არ მომიბრუნდება, რომ ვთქვა) ნარატივი, თხრობა, რომელიც საზრისის მოთხოვნას უკმაყოფილებს რიგით და არც ისე რიგით ქართველებს. ეს ნარატივი გვეუბნება, რომ ქართველი ერი ლევისგან რჩეულია, რომ ქართველობა სისხლით გადადის, რომ მისი იდენტობის გულისგულს მართლმადიდებლობა წარმოადგენს, რომ ლიბერალური მოდერნულობა მიუღებელია, რომ მთავარი ავტორიტეტი ამქვეყნად პატრიარქია. ესაა რელიგიური ნაციონალიზმის ნარატივი.

ასეთივე პრეტენზიისა და მასშტაბის მქონე სეკულარულ- ნაციონალისტური ნარატივის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა, თუმცა მცდელობები იყო. რომ გამოსულიყო, ჩვენ უფრო ქემალისტური თურქეთის გზით წავიდოდთ, თუმცა საქართველოს ხელისუფლება არ ყოფილა ისე რადიკალურად სეკულარისტული, როგორც მას ზოგიერთები აბრალებენ; თანაც, თავად ნაციონალისტური ნარატივის მნიშვნელოვანი ნანილიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან

იყო დაკავშირებული, რაც ომის შემდეგ კარგა ხნით გადაიდო. და, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი, არც კულტურულმა ელიტამ მიიღო ეს სეკულარულ-ნაციონალისტური ნარატივი.

მაგრამ რადგან აღტერნატიული, არარელიგიური, ერთიანი ნარატივის შექმნა ვერ ხერხდება, ერთადერთი ნამდვილი და დემოკრატიული გამოსავალი რჩება – კულტურის პლურალიზაცია.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ აქაც ძალიან შორს ვართ წარმატებისგან.

ეკლესია ახერხებს და თავის ნარატივს ავრცელებს როგორც საკუთარი ინსტიტუციური სივრცის შიგნით,

**■ ეკლესია ერთადერთი ინსტიტუტი აღმოჩნდა საქართველოში, რომელმაც მოახერხა და ჩამოაყალიბა ერთიანი (მწყობრიო, ენა არ მომიბრუნდება, რომ ვთქვა) ნარატივი, თხრობა, რომელიც საზრისის მოთხოვნას უკმაყოფილებს რიგით და არც ისე რიგით ქართველებს. ეს ნარატივი გვეუბნება, რომ ქართველი ერი ლევისგან რჩეულია, რომ ქართველობა სისხლით გადადის, რომ მისი იდენტობის გულისგულს მართლმადიდებლობა წარმოადგენს, რომ ლიბერალური მოდერნულობა მიუღებელია, რომ მთავარი ავტორიტეტი ამქვეყნად პატრიარქია. ესაა რელიგიური ნაციონალიზმის ნარატივი.**

ისე მასმედით. განსაკუთრებული სისწრაფით ამ ნარატივს ახალგაზრდობა ითვისებს, რითაც საბოლოოდ კარგავს წონას საკმაოდ გავრცელებული არგუმენტი, რომლის მიხედვითაც რელიგიურობა საქართველოში უბრალოდ მოდაა, რომელიც თითქოს ქართველების საარაკო ფარისევლობას უნდა დავაპრალოთ. არადა, დღეს ნელ-ნელა ჩნდება ახალი თაობა, რომლის სოციალიზაციაც სწორედ რელიგიურ გარემოში მოხდა. მათვეის რელიგიურობა მოდა კი არა, ცხოვრების წესია.

ეკლესიისგან განსხვავებით, სახელმწიფო ვერ ახერხებს ახალგაზრდობის

უმრავლესობისათვის აღტერნატიული საგანმანათლებლო მოდელის მიწოდებას, რომლის ორი კომპონენტი უნდა იყოს: а) სამოქალაქო განათლება და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისათვის საჭირო უნარები და ბ) საციონისტური ნარატივის კი არ ვგულისხმობ, რომელიც ტოტალურია და ცხოვრების უმაღლეს წერტილად ერს აცხადებს, არამედ სამოქალაქო კულტურის აუცილებელ ელემენტებს, რომლებიც უბრალოდ სახელმწიფოსა და თანამედროვე საზოგადოების არსებობისთვის არის აუცილებელი. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით პროგრესიც გვაქვს და რეგრესიც, თან – ერთსა და იმავე დროს. მოდერნიზაციის პარალელურად რე-ტრადიციონალიზმის პროცესი მიმდინარეობს და ჯერ კიდევ გასარკვევია, რომელი უფრო ძლიერი აღმოჩნდება.

ასევე, რაც არანაკლებ პრობლემურია, სპონტანურად ვერ აღმოცენდა ახალი თაობის კულტურა. უკანასკნელი რვა წელი, მდიდარი სოციალური და პოლიტიკური ძვრებით, საკმაოდ უძლიდამო აღმოჩნდა კულტურის (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით: ლიტერატურა, მუსიკა, კინო, ფილმსოფია) თვალსაზრისით. ძველ კულტურულ ელიტას შერჩა სახელი, მაგრამ არა – ენერგია და უნარი. ახალმა თაობამ ვერ შექმნა ახალი კულტურული მოდელები, ავტორები, ნანარმობები, რომლებიც დაინტერესებდა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს. მხოლოდ მაღალ კულტურულ გვარი, არ გამოჩნდა არც ახალი გალაკტიონი ქიქოძე. მაგრამ რაც დღევანდელი საზოგადოებისთვის შეიძლება კიდევ უფრო უარესი იყოს, ამ წლებში უბრალოდ მოკვდა ქართული პოპ-მუსიკა, რომელიც, გარეკეული პერიოდის განმავლობაში, არსებობდა და ვითარდებოდა. არადა, სწორედ პოპ-მუსიკა, ხშირად უგემოვნობ და პრიმიტიული, არის მასების კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი დღე-

ვანდელ მსოფლიოში. როდესაც ეს კულტურა არ არსებობს, ხდება მისი ჩანაცვლება სხვა ტიპის მასიბრივი კულტურით, მაგ., ეკლესიურით.

უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე ინსტიტუტებისადმი მიკუთვნებულობის განცდა. სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის საქმე ამ წლებში მოულოდნელად სწრაფად და ეფექტურად წავიდა წინ. მაგრამ არაფერო ემველა იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ინდივიდუალად და სახელმწიფოს შორის უნდა არსებოდნენ: ა) პოლიტიკური პარტიებს და ბ) სამოქალაქო ორგანიზაციებს. აქ სიტუაცია ზუსტად ისეთივეა, როგორც 2003 წლამდე, ანუ ძალიან არადამაკაყოფილებელი. პოლიტიკური პარტიები, ამ სიტყვის მცაცრი გაგებით, ისევ არ არსებობს, ხოლო სამოქალაქო საზო-

გადოება ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპის ელიტად, რომელსაც არ აქვს უნარი, მოქალაქეების მონაწილეობა გაზარდოს. სწორედ ამ შუალედურ სივრცეს იკავებს ეკლესია, რომელ-მაც „არა-ელიტური“ სამოქალაქო სივრცის თითქმის სრული მონოპო-ლიზაცია მოახდინა („არა-ელიტური“ იმიტომ, რომ ელიტას ასარჩევად სხვა სივრცეც აქვს, თუმცა არც ის იყენებს ყოველთვის ამ არჩევნის შესაძლე-ბლობას).

სანამ ამ სამი მიმართულებით – განათლება, ვიწროდ გაგებული კულტურა, სამოქალაქო სივრცე – სიტუაცია ძირფესვინად არ შეიცვლება, მანამდე ეკლესიის გავლენის შემცირებას არ უნდა ველოდოთ.

რატომ არის ეს ცუდი? საქმე ისაა, რომ სეკულარული საჯარო სივრცის

გარეშე ამ ქვეყანას განვითარება არ უწერია. არანაირად არ მინდა რელიგიური ტრადიციების მნიშვნელობის უგულებელყოფა – პირიქით, მათ შეიძლება მნიშვნელოვანი და პოზიტიური როლი შეასრულონ, მაგალითად ეთიური ნორმებისა და სოციალური შეკავშირებულობის დამკაიდრებისა და შენარჩუნების საქმეში, ოლონდ მხოლოდ და მხოლოდ სეკულარული საჯარო სივრცის შიგნით. სწორედ ეს სეკულარული სივრცე აიძულებს რელიგიურ დაწესებულებებს, გარდაიქმნან მაგიურ-ფუნდამენტალისტური ტიპის წარმონაქმნებიდან ეთიურ-სოციალური ტიპის ინსტიტუტებად. საჯარო სივრცის კლერიკალიზაცია აუცილებლობით გულისხმობს ცივი-ლიზებული სამყაროსგან ქვეყნის საგრძნობ ჩამორჩენას. ☐

## გაატარე ზავხალი ოჯახითან ერთად შერატონ გათუმავი!



### პაკეტის დირექტულება

\$ 169	უასტი 14 დაბისმიზნე ოთახი ერთი ღამით
\$ 189	უასტი 10 დაბისმიზნე ოთახი ერთი ღამით
\$ 209	უასტი 7 დაბისმიზნე ოთახი ერთი ღამით

### პაკეტი 300გვარის:

- კუნძულის სასტურებელი ინდივიდუალური სამზადაო
- ბევრის ტურის სამზადაო
- სასტურებელი სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო
- კუნძულის სასტურებელი ინდივიდუალური სამზადაო
- კუნძულის სასტურებელი ინდივიდუალური სამზადაო
- 10% ფინანსური სასტურებელი კულტურული გადამზადებელი
- კუნძულის სასტურებელი კულტურული გადამზადებელი

### პირობები:

- ფიზიკური იურიდიური კოდი, ინდივიდუალური სამზადაო
- სასტურებელი ტურის მიზანების შესრულების მიზანი
- სასტურებელი ინდივიდუალური სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო
- 6 წლის გარეთ სასტურებელი სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო
- სასტურებელი ინდივიდუალური სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო
- სასტურებელი ინდივიდუალური სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო და კულტურული გადამზადებელი სამზადაო

თემატიკური ინტერნეტ-გვერდის დაგენერირების ნომერისა: +995 422 229000, ან დაგვიკავშირით [Sheraton Batumi Hotel](#)

ფოტოგრაფიის სახე

# ბიუფით "ბუნეოვანი"

ისინი, ვინც ფოტოგრაფების ბრალეულობაშია დარწმუნებული, ისინი, ვისაც მათი უდანაშაულობის სჯერა და ისინიც, ვისაც სიმართლის დადგენა უნდა, სასამართლო პროცესს ელიან. ბუნდოვან ისტორიას ფოტო-ჯაშუშებზე ნათელი სწორედ სასამართლო დარბაზში უნდა მოეფინოს.

## მაია წიკლაური

თბილისის საქალაქო სასამართლოში პირველ სექტემბრამდე უნდა გაიმართოს პროცესი, რომელსაც საზოგადოება განასაკუთრებული ინტერესით ელოდება – პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფს და ორ ცნობილ ფოტორეპორტიორს ბრალი ჯაშუშობაში ედება, საზოგადოებამ კი არ იცის, რა კონკრეტული მტკიცებულებები გააჩნია გამოძიებას მათ წინააღმდეგ.

„დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლოზე თქვენ ნახავთ, თუ რა სერიოზულია ეს საქმე და რა მყარია მტკიცებულებები. მე დარწმუნებული ვარ, სასამართლო პროცესის შემდეგ არც ერთი კითხვა არ დარჩება უპასუხოდ“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა უცხოური სააგენტოების უურნალისტებთან და მედია ადვოკატიორების კოალიციის წევრებთან შეხვედრებისას.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ქართველი უურნალისტებისთვის ყველაზე მოუხელთებელმა მინისტრმა – ვანო მერაბიშვილმა თითქმის მთელი დღე უურნალისტებთან შეხვედრას და მათ კითხვებზე პასუხის გაცემას დაუთმო.

„ეს საქმე არ არის დახურული“, – განუცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა

შეხვედრაზე მისულ მედიაკონალიციის წევრებს. ეს განცხადება წინააღმდეგობაში მოდის თუნდაც იმ ფაქტთან, რომ დაკავებულების ყველა ადვოკატს საქმის გაცნობისთანავე ხელი მოაწერინეს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლზე, რომელიც მათ საქმეში არსებული ცნობების საიდუმლოდ შენახვას ავალდებულებს.

ამ ეტაპზე დახურული საქმის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია ცნობილი. იმ მასალებში, რომელიც შსს-მ გაასაჯაროვა, ფიგურირებს მხოლოდ ერთადერთი აღიარებითი ჩვენება და რამდენიმე საიდუმლო დოკუმენტის დასახელება, ასევე სატელეფონო ზარების ჩამონათვალი და საუბრების ჩანაწერები, რომლებიც დაკავებულებისა და ბრალის კავშირის მხოლოდ ირიბ მტკიცებულებად თუ გამოდგება.

„სატელეფონო ჩანაწერები საბანკო გადარიცხვების შესახებ ნამდვილად არანაირი მტკიცებულება არ არის. ეს საუბრები გამოვაქვეყნეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ადამიანების ერთმანეთთან კავშირი დაგვემტკიცებინა“, – ამბობს შოთა უტიაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, სამივე დაკავებული სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციას რუსეთის სადაზვერვო სამსახურს აწვდიდა.



## ზურაბ ჩურავიშვილი

„სტაჟიანი აგენტი“ – ასე უწოდა ზურაბ ქურციკიძეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა „კომერსანტთან“ ინტერვიუში. მინისტრ მერაბიშვილის განცხადებით, გამოძიებამ დაადგინა ფაქტები, რომელიც ამტკიცებს, რომ მას 2004 წლიდან მოყოლებული სატელეფონო კავ-



ფოთო: შესრულებულის

დაკავებულ ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერი საპროტესტო აქცია, თბილისი, 13 ივნისი 2011

შირი ჰქონდა ე.წ. გრუ-ს აგენტებთან. ეს დაახლოებით ის დროა, როდესაც საქართველოში უკვე კარგად ცნობილი ფოტოგრაფი ზურაბ ქურციკიძე „ევროპის ფოტოსაბენტოს“ შტატიანი ფოტოგრაფი ხდება. ზურაბ ქურციკიძე თითქმის 10 წლის განმავლობაში აშუქებს საქართველოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, მათ შორის 2003 წლის მღელვარებებს, 2008 წლის

ომს, მანამდე ბესლანის ტერაქტს. ის „ევროპის ფოტოსაბენტოსთვის“ მუშაობდა ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნაში.

ბრალდება ამტკიცებს, რომ ზურაბ ქურციკიძე ინფორმაციას რუსეთის სა-დაზვერვო სამსახურის ოფიციებს ანატოლი სინიცინსა და სერგეი ოკროკოვს გადასცემდა. მათ, როგორც ჯაშუშების ქსელის მნიშვნელოვან ფიგურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სა-

მინისტრო 2006 წლიდან ექებს. შს-ს მტკიცებით, ამ ჯგუფს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის შეფასება აინტერესებდა და ამ მიმართულებით აგროვებდა საიდუმლო ინფორმაციას.

„მინისტრმა გვითხრა, რომ გამოძიებას აქვს ოკროკოვთან და სინიცინთან ქურციკიძის სატელეფონო საუბრის 2004 წლამდელი ამონაწერები, თუმცა საუბრის ჩანაწერები არ არსებობს. იყო

# პოლიტიკა

საუბარი იმაზე, რომ 24 ზარი შესრულდა ოკროკოვთან, ხოლო სინიცინთან -13. მას შემდეგ, რაც ისინი ამხილეს ჯაშუშობაში, ამ ტელეფონით მათთან საუბარი შეწყდა და „გრუ“-ს სხვა თანამშრომლებთან გაგრძელდა ურთიერთობა. ტელეფონი გაფორმებული იყო ცხინვალში დაბადებულ ერთ-ერთ

ქალბატონზე. და ამის შემდეგ გადაუფორმება ეს ნომერი ზურაბ ქურციკიძეს, რომელიც ნომერს დაკავებამდე იყენებდა“, – მინისტრთან საუბრის დეტალებს იხსენებს ურნალისტი ნინო ზურიაშვილი.

ბრალდების ვერსიით, ქურციკიძე მათთან და „გრუს სხვა აგენტებთან“

თანამშრომლობას დაკავებამდე აგრძელებდა. მერაბიშვილის განცხადებით, ზურაბ ქურციკიძისგან დამოუკიდებლად, იმავე ჯაშუშურ ჯგუფთან თანამშრომლობდა ირაკლი გედენიძეც.

## ირაკლი გედენიძე

მეექვსე წელია, რაც ირაკლი გედენიძე საქართველოს პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი და მისი ძალიან ახლო გარემოცვის წევრია. ის ამ თანამდებობაზე საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესიუსიდან“ მოხვდა. ქურციკიძის მსგავსად, ისიც სტაჟიანი ფოტოგრაფია – 9 პპრილის მოვლენები, სამოქალაქო ომი თბილისში, აფხაზეთის და ჩეჩენეთის ომები, საქართველოს უახლესი ისტორიის კოლაჟი – მისი ფოტოები საქინფორმის ფოტოქორნიკებში, გაზეთების – „ალიასა“ და „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე იძეჭდებოდა. გედენიძე პრეზიდენტის ოფიციალური შეხვედრების გადაღების პარალელურად ახერხებდა ყოფილიყო საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ სტრინგერი. ქართველი ფოტოგრაფები ამბობენ, რომ სწორედ პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფის პოზიცია დაეხმარა მას, თავისუფლად ემუშავა 26 მაისს, როდესაც მან შთამბეჭდავი კადრების გადაღება მოახერხა.

პრეზიდენტის სასახლის სქემატური ნახაზების ფოტოები, ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტისას შსს-ს და სახელმწიფო დაცვის სპეც-სამსახურების სამოქმედო გეგმა, საქართველოს პრეზიდენტის გადაადგილების დეტალები, ინფორმაცია მისი ვიზიტებისა და შეხვედრების შესახებ, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეების სია, რომლებიც მუშაობენ გაეროში – ჯერჯერობით საზოგადოებამ მხოლოდ ის იცის, რომ ეს მასალები გადასცეს ან გადაცემას აპირებდნენ ფოტოგრაფები რუსული სპეცსამსახურების-თვის.

„გამოძიებამ უნდა გაარკვიოს ის, თუ როგორ მოხვდა მათ ხელში ის ინფორმაციები, რომელიც მათ ხელში არ უნდა



შეხვედრების დროს მედია და მთავრობის წევრები

## 314-ი მესი


ურნალისტი ლაშა ტულუში და კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავნე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლს, ჯაშუშობის განმარტებას უკავშირდება. მათი თქმით, მუხლი ბუნდოვანია და ქმნის საფრთხეს – ნებისმიერი ადამიანი გასამართლდება აღნიშნული მუხლით.

სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლი 1999 წლიდან იმგვარად არის ფორმულირებული, როგორც დღეს.

დისკუსიის საგნად ის 7 ივლისის შემდეგ იქცა, როცა 3 ფოტოგრაფორტონი ჯაშუშობის ბრალდებით დაკავეს. ურნალისტები და იურისტები პრობლემად მიიჩნევნ 314-ე მუხლის ფორმულირებაში რამდენიმე წინადაღებას, კონკრეტულად:

„საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზევების, ან უცხოების ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა“. „როგორ შეიძლება ვიზებში პასუხი აგოს სახვა ინფორმაციის“ გავრცელებაზე, რო-

მელიც სახელმწიფო საიდუმლოებების ნუსხაში არ ხვდება? თუ ადამიანი არასაიდუმლო ინფორმაციას გავრცელებს, ამით თუნდაც სახელმწიფოს მიაყენოს ზიანი, პასუხისმგებლობას ვერაფრით დავაკისრებთ. წელს 26 მაისს აქციის დარბევის კადრები ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ხელისუფლების რეპუტაციას ნამდვილად შელახავდა. 314-ე მუხლის მეორე ფრაზით კი შეიძლება ამ კადრების გავრცელება დანაშაულად ჩაითვალოს“, – აცხადებს საია-ს იურისტი თამარ კორძაია.



დაკავებული ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერი საპროტესტო აქცია პრეზიდენტის სასახლესთან, თბილისი, 14 ივნისი 2011

ოსამართო დაცვის მინისტრი

მოხვედრილიყო“, – განაცხადა „ლიბერალთან“ საუბარში შოთა უტიაშვილმა.

## გიორგი აბდალაძე

გამოძიება არ ამხელს კონკრეტულად რომელი დოკუმენტის გავრცელება ედება ბრალად ამ საქმის მესამე მონაწილეს გიორგი აბდალაძეს.

„რა თქმა უნდა, იმ ადამიანს, ვინც აქ ხელშეკრულებით მუშაობდა და არის ფოტოგრაფი, საიდუმლო ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდება, მაგრამ ამ ადამიანს იმის გამო, რომ ის რამდენიმე კომპიუტერზე ტვირთავდა ამ ფოტოსურათებს, შეეძლო ამ კომპიუტერებით ზოგიერთ დოკუმენტებთან მისვლა“, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გიორგი აბდალაძეზე, რომელიც მესამე წლით, რაც სამინისტროს შტატგარეშე ფოტოგრაფია.

„ლიბერალის“ წყარო საგარეო საქმეთა სამინისტროში გაწმარტავს, რომ ასეთი საიდუმლო დოკუმენტი, რომელზეც, შესაძლოა აბდალაძეს

■ „ეს საქმე არ არის დახურული“, – განუცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრაზე მისულ მედიაკონალიციის წევრებს. ეს მაშინ, როცა დაკავებულების ყველა აღვოკატს ხელი კოდექსის 104-ე მუხლზე მოაწერინეს, რომელიც მათ საქმეში არსებული ცნობების საიდუმლოდ შენახვას ავალდებულებს.

ხელი მიუწვდებოდა, არის, მაგალითად, ორი პრეზიდენტის დახურული შეხვედრის ტრანსკრიპტი. „ნარმოიდგინეთ, პრეზიდენტი სააკაშვილი შეხვდა პრეზიდენტ ალიევს და მათ კონფიდენციალურად ისაუბრეს სენატიურ საკითხებზე. მსგავსი შეხვედრის დეტალების გამოაშკარავება ხომ არა მარტო საქართველოს შიგნით გამოიწვევს სკანდალს, არამედ მთელ რეგიონში“, – ამბობს წყარო საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

გიორგი აბდალაძე საიდუმლო დოკუმენტების გავრცელებას

უარყოფს. მისი თქმით, მისი თანამშრომლობა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ამ უწყების ღონისძიებების ფოტოების გადაღებით შემოიფარგლებოდა.

გიორგი აბდალაძის ფოტო, რომელზეც საცხოვრებელი სახლის ნამსხვრევებში ნახევრად დამარტული გორელი ქალბატონი დახმარებას ითხოვს, 2008 წლის აგვისტოს იმის სიმბოლო გახდა. 1999 წლიდან მოყოლებული გიორგი აბდალაძე თანამშრომლობდა გაზიერებთან „ივერია – ექსპრესი“, „რეზონანსი“, „ახალი ვერსია“, „კვირის

# პრეზიდენტი

პალიტრა“, „ალია ჰოლდინგი“. ბოლო პერიოდში ის ფოტოებს იღებდა „ასო-შეიტედ პრესისთვისაც“.

გიორგი აბდალაძემ, რომელმაც დაკავებისთანავე შიმშილობა გამოაცხადა, ადვოკატების დახმარებით საზოგადოებას რამდენიმე მესიჯი მიაწოდა. გაზრდა „ალიამ“ მისი სახელით რამდენიმე წერილი დაბეჭდა. ამ მიმართვებში ფოტოგრაფი საუკეთესო და დიდი ხნის კოლეგების უდანაშაულობაზე საუბრობს და პირადად პრეზიდენტს ადანაშაულებს მათ სამაგალითოდ დასჯამი.

ამ განცხადებებიდან რამდენიმე დღეში ფოტოგრაფს ოჯახმა კიდევ ერთი ადვოკატი – ეკა ბესელია აუყვინა. გიორგი აბდალაძემ კი ახალი ადვოკატის განცხადებით, ზენოლის შედეგად შიმშილობა შეწყვიტა. მალევე ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ საქმეში ზურაბ ქურციკიძის აღიარებითი ჩვენებაც ნახა.

„ყველაზე კარგი კადრები [2011 წლის 26 მაისს] ირაკლი გედენიძეს ჰქონდა. ის სპეციაზმელებთან ერთად მოვიდა აქციის დარბევის დროს და ფოტოორეპორტიორებიდან ყველაზე საუკეთესო პირობებში იყო. რადგან პოლიციელებმა იცოდნენ, რომ ის პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი იყო და არავინ არაფერს უშლიდა... პრეზიდენტმა გედენიძეს არ აპატია ამ ფოტოების საერთაშორისო პრესაში გავრცელება და ამის გამო დასჯა. ეს საქმე მაგალითია სხვა ფოტოგრაფებისთვის, რომ თუ სააკაშვილი სხვა დროს 26 მაისის მსგავს მოვლენებს გაიმეორებს, სკანდალური ფოტოების გადაღებას ვერავინ გარისავს.“ – წერდა იგი.

„ლიბერალის“ შეკითხვას, თუ რატომ გახდა საჭირო ფოტოგრაფების ახლა დაკავება, მით უმეტეს, რომ მათი თვალყურის დენებით შესაძლოა სხვა, მათთან დაკავშირებული ჯაშუშებიც გამოევლინათ, შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა ასე უპასუხა:

„რაღაც ეტაპზე გამოძიებამ გადაწყვიტა, რომ მას უკვე საქმარისი მტკიცებულებები ჰქონდა. ამიტომ საჭირო იყო მათი დაკავება“.

ამავე დროს მინისტრი მერაბიშვილი ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უპირველესი ინტერესი დაკავებულების სამაგალითო დასჯა კი არის, არამედ „სხვა უფრო დიდ ჯაშუშურქსელზე გასვლაა“, შინაგან საქმეთა სამინისტროში ორაზროვან პასუხებს იძლევიან სხვა თანამდებობის პირების დაკავების შესახებ და ამბობს, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამოძიება ეცდება მაქსიმალურად სწრაფად მიიყვანოს საქმე სასამართლომდე, რომელზეც საზოგადოებას პირველად მიეცმა საშუალება, გაცნოს იმ მტკიცებულებებს, რასაც ბრალდება ფოტოგრაფების წინააღმდეგ იყენებს. 

**Radio Commersant**

marketing@commersant.ge  
+995 32 505 955



გიზენესის პერსონალური რალი

Commersant.ge

კრიმინალი

# ბავშვთაიღისების მსხვევი

ცხინვალის რეგიონის სოფელ კნოლევში პოლიციელის ტყვიას 25 წლის ქალი ემსხვერპლა.

## გოგა აფციაური

25 წლის ნინო კობერიძე 11 ივლისს გორის სამხედრო პოსპიტალში დაიღუპა. იგი კონფლიქტის ზონის სოფელ კნოლევიდან თავში დაჭრილი გადმოყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

სოფელი კნოლევი ზნაურის რაიონის სოფელ ოქონას ესაზღვრება, რომელსაც დე ფაქტო ხელისუფლება აკონტროლებს. კნოლევში ქართული პოლიციის საგუშავოა განთავსებული.

ნინო კობერიძეს ტყვია მაშინ მოხვდა, როცა თანასოფლელებთან ერთად მაღაზიაში იმყოფებოდა. თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ნინო 6 თვის შვილთან ერთად მაღაზიაში შევიდა და იქ ქატოს ტომარაზე ჩამოჯდა, რადგან სკამებზე ადგილი აღარ იყო. სოფლის მცხოვრებლებთავის ეს მაღაზია თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა და საღამოობით სასაუბროდ იკრიბებოდნენ ხოლმე. ნინომ ბავშვი ნათესავს მიაწოდა და ამ დროს სროლის ხმაც გაისმა. გასროლის შემდეგ თანასოფლელებმა იგი უკვე დაჭრილი დაინახეს.

შემთხვევიდან ერთ საათში პირველი განცხადება სოფლის რწმუნებულმა გია გელაშვილმა გავრცელდა. მისი თქმით, სროლის ხმა ზნაურის რაიონიდან, ოკუპირებული ტერიტორიიდან ისმოდა. ეს ვერსია პოსპიტალთან შეკრებილმა თანასოფლელებმა მაშინვე უარყვეს. მათი თქმით, მაღაზიის კარი, საიდანაც შენობაში ტყვია შევარდა, ქართვული პოლიციის საგუშავოს მოპირდაპირე მხარესაა, ხოლო რუსულ-ოსური საგუშაო, შენობის უკანა მხარეს მდებარეობს. კნოლეველების თქმით, იქიდან გამოსროლილი ტყვია მაღაზიაში ვერ შევარდებოდა.

სოფლის რწმუნებულის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უარყო შინაგან საქმეთა სამინისტრომ. სამინისტროს



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი და ადგილობრივი მაცხოვებლები, სოფელი კნოლევი, 12 ივნისი 2011

წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა, რომ ზნაურის მხრიდან სროლის ადგილი არ ჰქონია, და კობერიძე სოფლის ტერიტორიაზე გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. 12 ივნისს შემთხვევის ადგილზე ქართველი სამართალდამცავები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ჩავიდნენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ ერთ-ერთ ქართველ სპეცრაზმელს ტყვია შაშხანის წმენდის დროს გაუვარდა. დაკავებულია პოლიციელი, რომლის ვინაობას შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ასახელებს. მას ბრალად ედება გაუფრთხილებლობით სხვისი სიცოცხლის მოსპობა.

სროლის ხმა სოფელ ოქონასთან რუსულ-ოსურ ერთობლივ საგუშავოზეც გაიგეს და მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოკვლევაც დაიწყეს, თუმცა მოგვიანებით ცხელი ხაზის მეშვეობით, რომელიც ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მუშაობს,

ქართველმა სამართალდამცავებმა ოს კოლეგებს აცნობეს, რომ დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა.

12 ივნისს დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის მოადგილემ მერაბ ჩიგოვემა, ოსური მედიისთვის გაკეთებულ განცხადებაში ზოგიერთი ქართული მედიასაშუალება დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა და მათგან ბოლიშის მოხდა მოითხოვა. ჩიგოვი კნოლევის წმენდებულის გია გელაშვილის განცხადებას გულისხმობდა, რომელმაც ზნაურის რაიონში მდგარ რუს და ოს ეგრეთ წმდებულ მესაზღვრებს დააბრალა გასროლა. ჩიგოვეს თქმით, ქართველმა სამართალდამცავებმა ოსური მხარე საქმის კურსში სწრაფად ჩააყენეს და ბოდიშიც მოიხადეს. მათ მაგალითს კი ქართველმა უურნალისტებმაც უნდა მიბაძონ.

გარდაცვლილ 25 წლის ნინო კობერიძეს ერთი მცირებლოვანი ბავშვი დარჩა. **■**

გარება

## ესეი შეთანხმება

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის 3-წლიანი დავა დასრულდა ზავით, რომლის დეტალებიც საზოგადოებისთვის უცნობი რჩება. ჩივილის შეწყვეტის სანაცვლოდ, პირველი, რასაც პატარკაციშვილები დაიბრუნებენ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანაა.

### მანანა ვარდიაშვილი

დავა, რომელმაც მსოფლიოს რამდენიმე სასამართლო დარბაზი მოიარა, კვლავაც საქართაშორისო არბიტრაჟში გაგრძელდებოდა, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას სოლიდური სანქციის გადახდა მოუწევდა, რომ არა მოდავე მხარეებს შორის მოულოდნელად გაფორმებული ხელშეკრულება.

6 ივნისს დაპირისპირებულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის საფუძველიც ორმხრივი ურთიერთკომპრომისი გახდა.

ერთი მხრივ, ოჯახი დათანხმდა, გამოიწვიოს უკან ყველა საჩივარი და დაივინებოს პრეტენზიები საქართველოს ხელისუფლების მიმართ ტელეკომპანია „იმედთან“ და მთაწმინდის პარკავშირებით. მეორე მხრივ კი, საქართველოს ხელისუფლებამ უფლება მისცა პატარკაციშვილების ოჯახს, სამნლიანი შესვენების შემდგა, გააგრძელონ ბიზნესსაქმიანობა და ასევე, დაუბრუნონ მათ კუთვნილი ქონების ნაწილი. სანაცვლოდ, საქართველოს ხელისუფლება მიღებს გარანტიას, რომ ძველ მფლობელს „იმედზე“ პრეტენზია აღარ ექნება.

თუმცა, ორმხრივი სარგებლის მიუხედავად, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისა და საქართველოს მთავრობის დაპირისპირების ამგვარ ფინანს არავინ ელოდა. ჯერ კი-დევ რამდენიმე თვის წინ, პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე მედიაპოლიტიკ „იმედის“ და მთაწმინდის პარკის დასაბრუნებლად „ყველა სამართლებრივი გზის“ გამოყენებას და ტელეკომპანია „იმედის“ ქართველი ხალხისთვის დაბრუნებას აპირებდა. გარდა ამისა, გუდავაძე ითხოვდა ქონების დაკარგვის გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურებასაც.

6 ივნისს გავრცელებული განცხადების მიხედვით კი, პატარკაციშვილის ქვრი-



ინა გუდავაძე, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი

ფოტო ლავაზარ პერიაშვილი / REUTERS

ვი „იმედსა“ და მთაწმინდის პარტე უარს იტყვის. ტექნიკური დეტალების მოგასარების შემდეგ კი ქართული მხარის მიმართ ყველანაირ დავას შეაჩერებს.

ოჯახის მხრიდან დოკუმენტს ხელი ბადრი პატარკაციშვილის მეუღლემ და დედამ მოაწერს, მთავრობის მხრიდან კი ოუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილე თანა ბურჯალიანმა.

„მოგესალმები იმ ფაქტს, რომ დავების დასრულებასა და ყველა ღია საკითხის დახურვასთან ერთად, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ბიზნესსაქმიანობის გაგრძელებას აპირებს. იმედი გვაქვს, რომ ეს საქმიანობა წარმატებული იქნება“, – განაცხადა თანა ბურჯალიანმა ხელმოწერის შემდეგ.

მართლაც, როგორც ოჯახურ განცხადებაში წერენ, პატარკაციშვილები „ბადრის მიერ დატოვებული საქმის“ გაგრძელებას საქართველოში ახალი ინვესტიციების ჩადებით, სამუშაო ადგილების შექმნითა და საქველმოქმედო საქმიანობით აპირებენ. გარდაცვლილი ბიზნესების და, ნანა პატარკაციშვილი კი ამბობს იმასაც, რომ ტექნიკური დეტალების მოგასარების შემდეგ, ოჯახს იმ ქონების ნაწილიც დაუბრუნდება უკან, რაც 2007 წლის შემდეგ ჩამოართვეს.

2007 წლის ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ ბიზნესების ჯერ მედია ჰოლდინგი „იმედი“, შემდევ კი მთაწმინდის პარკი დაარგა, რომლის მშენებლობაშიც 25 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჰქონდა ჩადებული.

პარკი 2007 წლის სექტემბერში გაიხსნა, 7 ნოემბრის შემდევ კი მერიამ ის პატარკაციშვილს საიჯარო ქირის გადაუხდელობის საბაბით ჩამოართვა, 2008 წლის ივლიში კი 49-წლიანი მართვის უფლებით რას ალ-ხამას საამიროს უძრავი ქონების დეველოპერულ კომპანია Rakeen Georgia-ს გადასცა.

რაც შეეხება მედია ჰოლდინგ „იმედს“, ის ბადრი პატარკაციშვილის დეიდებების, ჯოზევ ქეის საკუთრებაში აღმოჩნდა. ქეი აცხადებდა, რომ „იმედის“ აქციები გოგი ჯაოშვილისგან იყიდა. ჯაოშვილი ბადრი პატარკაციშვილის ახლო მეგობარი და კომპანია JMG-ის 70 პროცენტის მფლობელი იყო. მის კომპანიას ეკუთვნიდა I-Media-ს აქციების 65 პროცენტი. I-Media კი, თავის მხრივ, ტელეკომპანია „იმედის“ 100 პროცენტიანი წილის მფლობელი იყო. პირველად, „იმედის“

გასხვისების დეტალებზე ჯაოშვილი 2008 წლის 10 დეკემბერს ალპარაკადა და განაცხადა, რომ აქციების დამტობა და I-Media-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარებაზე უარის თქმა საქართველოს ხელისუფლებამ იმდებარებს.

2009 წლის 25 თებერვალს ჯოზევ ქეი ტელეკომპანია „იმედის“ აქციების 90 პროცენტი იფშორულ ზონაში დარეგისტრი-

## ■ ხელისუფლებამ უფლება მისცა

### პატარკაციშვილების ოჯახს

#### გააგრძელონ ბიზნესსაქმიანობა.

სანაცვლოდ, საქართველოს

ხელისუფლება მიიღებს

გარანტიას, რომ დევლ მფლობელს „იმედზე“ პრეტენზია აღარ ექნება.

რეპულ კომპანიას RAAK Georgia Holding-ს მოჰყვიდა.

„იმედი“ პატარკაციშვილისთვის მოგებიანი აქტივი არასადროს ყოფილა. ამ პროექტს ბიზნესების საზიდან დოტაციის სახით სოლიდური თანხა მიჰერნდა. მედიაჰოლდინგი ბიზნესების პოლიტიკური მიზნებისთვის სკორდებოდა, მის აქტივები კი გაცილებით უფრო მოგებიანი ქონებაც იყო. პატარკაციშვილის ქონების ექსპროპრიაცია სწორედ ამ მომებიანი აქტივების გასხვისებით დაიწყო. პირველი „სტანდარტების“ აღმიჩნდა. აფიციალურად „სტანდარტების“ შპს „ფინანსური მართვის კომპანია“ (89,21%) და „სტანდარტ კაპიტალ საქართველო“ (10,79%) ფლობდა. ორგვე მათგანის უკან კი კომპანია „სელფორდ ჯორჯია“ იდგა, რომელიც საქართველოში პატარკაციშვილის 100 მილიონ აშშ დოლარად შეფასებული საინვესტიციო პორტფოლიის მერეჯმინტს ახორციელებდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, „ლიკვიდობის პროცედურების გამო“, „სტანდარტ ბანკში“ დროებითი ადმინისტრაცია შევიდა. არადა, მანამდე რამდენიმე თვით ადრე „სტანდარტ ბანკს“ დეპოზიტების მოცულობის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს ბანკებს შორის მე-7 ადგილი ეკავა. მოგვიანებით, ეროვნულ ბანკში განაცხადეს, რომ ბანკის ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრების მოზიდვის მიზნით, აქციონერებმა „სტანდარტბანკის“ გაყიდვა გადაწყვიტეს და ის არაბულ კომპანია „დაბი ჯგუფს“ 46 მილიონ დოლარად მიჰყიდეს.

„სტანდარტბანკის“ პარალელურად პატარკაციშვილს ჩამოართვეს რუსთავის მეტალურგული ქარხანა და კომპანია „მაუდი“. „ქრისულ ბაქარს“ პრობლემები შეუწინეს. ჩამოსართმევი ქონების სიაში მოხვდა ცირკიც.

ყველაზე სერიოზული კაპიტალდაბანდება, რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა საქართველოში განახორციელა, ყულევის ტერმინალი იყო. თუმცა მას შემდეგ, რაც მის მთავარი მოკავშირე ზურაბ უგანა გარდაიცვალა და ხელისუფლებასთან ურთიერთობა გაურთებულდა, იძულებული გახდა, ნავთობტერმინალი აზერბაიჯანული კომპანიისთვის მიყენდა.

დღეს პატარკაციშვილების ოჯახის აქტივშა ფონდ „სელფორდზე“ დარეგისტრირებული ქონება. ეს ფონდი პატარკაციშვილმა 2000 წელს შექმნა. ფონდის საბაზრო ღირებულება დაახლოებით 2,5 მილიარდი დოლარია. „სელფორდზე“ ეკუთვნის საკონტროლო პაკეტი „ბორჯომშა“ და „მაგთიკომშიც“.

ბადრი პატარკაციშვილის და, ნანა პატარკაციშვილი არ ასახელებს იმ კონკრეტულ აქტივებს, რომელთა დაბრუნების გარანტიან საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღო და ამბობს, რომ ამ ეტაპზე ქონების ნუსხა ჯერ კიდევ ზუსტდება. ამ თემაზე კომენტარს არც იუსტიციის სამინისტროში აკეთებენ და ამბობენ, რომ შეთანხმების დეტალებს პატარკაციშვილების ოჯახის მოხიერებით არ ახმაურებენ.

გაფრცელებული ინფორმაციით, პატარკაციშვილის ოჯახს, პირველ რიგში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას დაუბრუნებენ. ახალი მფლობელის შესახებ უკვე ქარხნის თანამდებობის შემცირების ლაპარაკობენ. ივლისის დასაწყისში მათ ადმინისტრაციული შენობა დალუქული დახვდათ და სწორედ მაშინ გაიგეს, რომ ქარხანას მფლობელი შეცვალა. თუმცა, ჯერ არც იქ იციან, ვინ იქნება მათი ახალი მმართველი. სავარაუდოდ, მეტალურგიული ქარხანა ხელისუფლებასა და პატარკაციშვილებს შემცირებული დარღვეული დიდი შედეგი გახდება. **■**

ელექტრონული სერვისი

# ახალი პირამიდის მონაბა

პირველი აგვისტოდან საქართველოში ელექტრონული პირადობის მოწმობების გაცემა დაიწყება. როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ამბობენ, ახალი თაობის ქართული და ინგლისურენოვანი დოკუმენტი მთლიანად შეცვლის მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას.

## ნინო ნატროშვილი

ელექტრონული პირადობის მოწმობა ელექტრონული მმართველობის (e-governance) უმთავრესი ელემენტია. მისი შემოღების ამოსავალი წერტილი კი ადამიანებისთვის იმ პროცედურების დაჩქარება და გამარტივება, რომელთაც რიგში დაბომა, იმსტანციიდან იმსტანციაში სიარული და ზოგჯერ ხანგრძლივი ლოდინიც უწევთ.

იმ ქვეყნებში, სადაც ელექტრონული „პირადობები“ უკვე სრულფასოვნად მუშაობს, მოსახლეობას საშუალება აქვს, უამრავი ოპერატორი რეჟიმში, შენობიდან გაუსვლელად განახორციელონ. საბუთის ნოტარიულად დამოწმება, ქონებისა და ორგანიზაციის რეგისტრაცია, გადასახადების გადახდა, აბიტურიენტის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირება – მალე ამ და სხვა მომსახურებების მისაღებად სპეციალური ინტერესტორტალიც ამუშავდება. ბარათით სარგებლობისთვის კი მოქალაქეებს სპეციალური წამკითხველი მოწყობილობა დასჭირდებათ, რომელიც ჩვეულებრივ კომპიუტერულ მაღაზიებში გაყიდება. თბილისის ორ ყველაზე მსხვილ კომპიუტერულ მაღაზიაში ჯერ ეს მოწყობილობა არ აქვთ, თუმცა, ამბობენ, რომ როგორც კი მოთხოვნა გაჩინდება, აუცილებლად შემოტანენ.

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი გაბრიელაშვილი ამბობს, რომ ბარათის ამოქმედების შემდეგ, ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებები მოქალაქებისთვის ეტაპობრივად გახდება ხელმისაწვდომი. ბარათის გაშვებიდან მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში ჩვენ უკვე შეძლებთ ელექტრონული პირადობით შეცვლოთ ბარათის პაროლი, გადავამოწმოთ მისამართი, ავილოთ სუ-

ლადობის ცნობა, გავიაროთ დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების რეგისტრაცია.

უკვე ცნობილია ისიც, რომ პირველი სექტემბრიდან ეს ბარათები სამგზავრო ბარათების ფუნქციასაც შეასრულებს და მოქალაქეები თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში – ავტობუსებსა და მეტროპოლიტებში – პირადობის ბარათებით იმგზავრებენ. თურქეთთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად კი თურქეთის საზღვრის გადაკვეთისას საზღვარგარეთის პასპორტის წარდგენა აღარ იქნება საჭირო.

თანდათან ელექტრონულ პირადობაზე საკუთარი მომსახურების მიბმა კერძო სექტორსაც შეეძლება. მაგალითად, ბარათის მფლობელებს შეეძლებათ საპანერო ანგარიში უკვე ონლაინ გახსნან და ამავე ბარათს მიაბან ყველა სხვა ბარათის ფუნქციაც: დაგროვებითი, სტუდენტური თუ დაზღვევის. გარდა ამისა, ახალი პირადობა შეიძლება გამოვიყენოთ საშვის ან მართვის მოწმობის წაცვლადაც.

ახალი პირადობის მოწმობის აღება ნებაყოფლობითია. ეს პროცესი სავალდებულო მხოლოდ მათვის გახდება, კი მოწმობასაც ვადა გაუვიდა, ან ისინი, კისაც დოკუმენტის დაკარგვის და დაზიანების გამო, საბუთის განმეორებით აღება სჭირდებათ. დანარჩენებს შეძლებათ, ქალალდის საბუთით მანამ ისარგებლონ, ვიდრე ამის საშუალებას დოკუმენტის ვადა მისცემს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პირადობის მოწმობაზე მფლობელის მისამართი აღნიშნული არ იქნება. მისამართის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ინტერნეტით. როგორც სამოქალაქო რეესტრში განმარტავენ,

**■ იმ ქვეყნებში, სადაც**

**ელექტრონული**

**„პირადობები“ უკვე**

**სრულფასოვნად**

**მუშაობს, მოსახლეობას**

**საშუალება აქვს,**

**უამრავი ოპერაცია**

**ონლაინ რეჟიმში,**

**შენობიდან გაუსვლელად**

**განახორციელონ.**

01234  
01234  
01234

ბარათზე მისამართი რომ დაებუჭდათ, საცხოვრებელი ადგილის თითოეული ცვლილებისას მოქალაქეს დოკუმენტის გამოცვლა და შესაბამისი საფასურის ხელხლა გადახდა მოუწევდა.

ტექნოლოგიური მრავალუნქციურობის მიუხედავად, ელექტრონული პირადობის მოწმობების შემოღებას საზოგადოების გარკვეული ჯგუფი მაინც აპროტესტებს. ახალ, ელექტრონულ დოკუმენტს ეწინააღმდეგება ანჩისხატის მოძლობელთა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი ზურაბ ნანობაშვილი ამბობს, რომ ელექტრონულ მოწმობაში განთავსებული ჩიპი ადამიანის კონფიდენციალური საშუალებას იძლევა, რაც მოქალაქეების უფლებების დარღვევაა. ნანობაშვილი მოითხოვს, პირადობის მოწმობების აღება ნებაყოფლობითი იყოს და პარალელურად, ძალაში ძველი „პირადობებიც“ დარჩეს. ამ ჯგუფის წარმომადგენლები ბიომეტრიუ-

ლი პასპორტებისა და პლასტიკური ბარათების გაუქმებასაც ითხოვენ, თუმცა თვითონ საქროთელის საპატირიარქოს ელექტრონული პირადობის მოწმობების ან შარშან ამოქმედებული ბიომეტრიული პასპორტების საწინააღმდეგოდ განცხადება არ გაუკეთებია.

სამოქალაქო რეესტრში განმარტავენ, რომ ახალი ტიპის ბარათს ისევე, როგორც საბანკო ბარათებს, მართლაც

გახსნისას. ელექტრონულ ხელმოწერას ჩვეულებრივი, იურიდიული ძალა აქვს და ამგვარად ხელმოწერილ დოკუმენტში რაიმე სახის ცვლილების შეტანა შემდეგ უკვე შეუძლებელია.

ბარათზე თანდართული ორივე ტიპის ინფორმაცია დაცული იქნება საკუთარი პინ-კოდით, რომელიც მხოლოდ მფლობელს ეცოდინება. დოკუმენტის დაკარგის შემთხვევაში კი ამოქმედდება იგივე

ელექტრონული პირადობის მოწმობა დღეს მსოფლიოს 100-მდე ქვეყნაში მოქმედებს, მათ შორის, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, საბერძნეთში, ლუქსემბურგში, პორტუგალიაში, ესპანეთში, ესტონეთსა და მალაიზიაში. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბრაზილიაში, სამხრეთ კორეაში, იტალიასა და მალაიზიაში, ელექტრონული პირადობა თითის ანბეჭდებსაც შეიცავს. პირველი ასეთი პროე



აქვს მიკროპროცესორი ორი ინტერფეისით, რომელიც მხოლოდ პიროვნების მონაცემების – სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, სქესის და ა.შ. შენაცვისა და დამუშავებისთვისაა განკუთვნილი. მიკროპროცესორში მოთავსებულია ორი ტიპის ინფორმაცია (სერტიფიკატი) – ერთი პიროვნების ონლაინ იდენტიფიკაციისთვის, მაგალითად, ინტერნეტბანკის სისტემაში შესვლისთვის და მეორე – ციფრული ხელმოწერისთვის, რომელითაც მოქალაქე დისტანციურად შეძლებს დოკუმენტის ხელმოწერით დამოწმებას.

როგორც ცნობილია, ციფრული ხელმოწერის გამოყენება შესაძლებელია ყველა იმ სერვისში, რომელიც პიროვნებისგან რაიმეს დადასტურებას მოითხოვს, მაგალითად, ხელშეკრულებების გაფორმებისას, საგადასახადო ფორმების წარდგენისას, საბანკო ანგარიშის

მექანიზმი, რაც საბანკო ბარათზე ვრცელდება – პირადობის მოწმობას სამოქალაქო რეესტრი დაბლოკავს.

ახალი მოწმობის აღებას მოქალაქე განცხადების შეტანიდან 10 სამუშაო დღეში შეძლებს. ამ ვადაში პირადობის მოწმობის მიღება 30 ლარი ელირება, თუმცა შესაძლებელი იქნება დაჩქარებული მომსახურებაც – დაინტერესებულ ადამიანს, შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, შეეძლება დოკუმენტი 5 ან 3 დღეში, ანდა იმავე დღეს აიღოს. დოკუმენტს უფასოდ მიიღებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეტინგო ქულა არ აღემატება 70001-ს. რეესტრი უფასოდ გადასცემს ახალ პირადობებს მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს და ასევე ტერიტორიული მთლიანობებსაც და ასევე ტერიტორიული მოქალაქეებს.

ქტის განხორციელება 1999 წელს მაღაიზაში დაიწყო და დღეს უკვე ქვეყნის ხელისუფლება ამბობს, რომ მათ ყველაზე დაცული პირადობა აქვთ მსოფლიოში. მალაიზიაში ეს ბარათი პირადობის და მართვის მოწმობას, „ელექტრონულ საკუთარებელს“ (ერთი საბანკო ბარათი რამდენიმეს ნაცვლად), ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათს, სატრანსპორტო ბარათს, საზღვარგარეთის ბასპორტს და კიდევ უამრავ სხვა ფუნქციას აერთიანებს. ბელგიაში ელექტრონულ „პირადობების“ პროექტი 2009 წლიდან დაიწყო და მისი აღების ვალდებულება ახლა 12 წელს ზემოთ ყველა ბელგიელს აქვს. სახელმწიფო სერვისების გარდა, ბელგიელები ელექტრონული პირადობით კომერციულ ოპერაციებსაც ასრულებენ, ბიბლიოთეკებში, სპორტულ დარბაზებსა და ბუზეუმებში დადიან და ამავე ბარათით ევროკავშირის ფარგლებშიც კომფირტულად მოგზაურობენ. **■**

თვალსაზრისი

# ՆԱՇԱՐԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



რა განაპირობებს ზღვისპირა ქალაქის  
განვითარების განსაკუთრებულ ტემპს?

ლევან კალანდაძე, ეკონომისტი

მეოცე საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აზიურმა ეკონომიკურმა „სასწაულმა“. აზიურ ვეფხვებად წოდებულმა სინგაპურმა, ჰონკონგმა, ტაივანმა და სამხრეთ კორეამ, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, არნახულ შედეგებს მიაღწია.

საქართველოშიც გაჩნდა პატარა „სასწაული“, უფრო ზუსტად, მას შევი ზღვის სასწაულს უწოდებენ. ბათუმმა აშკარად გაასწრო ქვეყნის დედაქალაქს განვითარების ტემპით და მას ზოგიერ-თები აზიური ვეფხვების მსგავს მომა-ვალსაც კი უწინასწარმეტყველებრი.

მაინც, რა არის ბათუმის „სასაწაულის“ ეკონომიკური საფუძველი და რა რეალური მოლოდინები უნდა გვქონდეს ამ ზღვისპირა ქალაქისგან?

შეუიარაღებელი თვალითაც კარგად  
ჩანს, რომ თბილისთან და, მით უმეტეს,  
საქართველოს სხვა რეგიონებთან შედა-  
რებით, ბათუმში მართლაც ყველაფერი  
სხვაგვარადაა. თითქმის ყოველ ჭურაზე  
მრავალსართულიანი საცხოვრებელი  
სახლი შენდება, განსაკუთრებულია მშე-  
ნებლობების ტემპი და მასშტაბი, შენო-  
ბების ახალი, თანამედროვე იერსახე და  
თამამი არქიტექტურული გადაწყვეტი-  
ლებები. ბათუმში გახსნილი საერთაშო-  
რისო ბრენდების სასტუმროების რანგი  
არ ჩამოუვარდება თბილისის სასტუ-

მროვებს. „ინტურისტება“ და „შერატონები“ რამდენიმე დღეში ახალი „რედისორი“ და ემატება. მომავალი წლისთვის იგეგ-მება ერთ-ერთი ყველაზე ღუქს-ბრენ-დის, „კემპინსკის“ სასტუმრო კომპლექსის გახსნაც.

მოკლედ, ყოფილი „ცენტრ პოინტისა“  
და „ლუქუოგის სახლად“ წოდებული,  
ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის დროს და-  
წყებული მშენებლობების გარდა, ყველ-  
ან ყვითლადარი შენობება.

ზაფხულის დადგომისთანავე ბა-  
თუმში გადადის აღმასრულებელი და  
საკანონმდებლო ხელისუფლების, ბი-  
ზნეს წრების მნიშვნელოვანი ნაწილი.  
პრეზიდენტის ძირითადი სამყოფელიც  
ნელინადის ამ დროს აჭარა ხდება. ფა-  
ქტობრივად, ბათუმი საქართველოს  
არაოფიციალური საზაფხულო დედაქა-  
ლაქია.

სწორედ პრეზიდენტ სააკაშვილისა  
ექსელუზიური პატრონაჟი დღიდნილად  
განაპირობებს ბათუმის ეკონომიკის გან-  
საკუთრებულობას. პრეზიდენტი უშე-  
ალოდ არის ჩართული ბათუმის სა-  
ერთაშორისო პიარ და ინვესტიციების  
მოძიების კამპანიაში. სხვადასხვა ქვეყნე-  
ბში ამ საკითხებზე იგი უშეალოდ ხვდება  
ინვესტიციებს და მსხვილი კორპორაციე-  
ბის წარმომადგენლებს. ყველაზე კარგად  
ეს პრეზიდენტ სააკაშვილის შეერთებულ  
სტატებში ვიზიტის დროს გამოჩნდა. პრე-



ზიდენტი თავად ეწვია დონალდ ტრამპს  
და ბათუმში „ტრამპ თაუერის“ მშენებლო-  
ბის საკითხებზე წარმართა მოღაცარე-  
ბები. შესაბამისად, ამ პროექტის მთავარი  
პრეზიდენტამორთ თავად სააკვშეოლი იყო.

შავი ზღვის „სასანულს“ მეორე მნიშვნელოვანი ე.წ. თურქული ფაქტორიც განაპირობებს. თურქეთის რესპუბლიკას ყოველთვის განსაკუთრებული ეკონომიკური და ბიზნესი ინტერესი გააჩნდა ბათუმის მიმართ. იგი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტიცია, განსაკუთრებით ბათუმში. „საქსტატის“ ინფორმაციით, თურქეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 2010 წელს 37,4 მილიონი აშშ დღლარი, 2011 წლის მხოლოდ პირველ კვარტალში კი, 13,9 მილიონი აშშ დღლარი შეადგინა. თურქეთი ქართულ მხარესთან ერთობლივა-



გათუმა

## ■ პრეზიდენტ სააკაშვილის ექსკურსი პატრონაჟი დიდილად განაპირობებს ბათუმის ეკონომიკის განსაკუთრებულობას.

ად ახორციელებს „ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის“ მართვას.

ამ კუთხით საინტერესოა თურქეთის მნიშვნელოვნად მაღალი წილი მთლიანად აქციაში ვიზუალურად რაოდენობრივი მაჩვენებლის სტრუქტურაშიც. შარქშა აჭარას ერთ მილიონამდე სტუმარი ენვია. მათ შორის: 43% თურქეთიდან, 33% სომხეთიდან, და 18% აზერბაიჯანიდან.

თურქული ეკონომიკისა და ბიზნესის გავლენა განსაკუთრებით თვალშისაცემია თურქი მეწარმეების სავაჭრო და მომსახურების ობიექტების სტუმრობისას. ბათუმში არაერთ ისეთ თურქულ

მაღაზიას ნახავთ, სადაც პროდუქციის და მომსახურების ფასი, როგორც წესი,

საგრძნობლად დაბალია ქართველი მეწარმეების მიერ შეთავაზებულ ანალოგიურ პროდუქციასა და ფასთან შედარებით.

ამიტომაც ბათუმში უცხო არ არის თურქული ლირით ვაჭრობა. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ბათუმში ტაქსის მძლოლმა ხურდა თურქულ ვალუტაში დაგიბრუნოთ.

იქნება თუ არა ბათუმის „სასწაული“ ისეთივე წარმატებული, როგორიც აზიური ვეფხვების ეკონომიკური

„სასწაული“ იყო. აქ, ვფიქრობ, რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი და საყურადღებო.

როცა ბათუმის „სასწაულს“ აზიურ ანალოგს ვადარებთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს, რომ აზიური ვეფხვების წარმატების საფუძველი ამ ქვეყნების მთელ ტერიტორიაზე განხორციელებული ეკონომიკური და ბიზნეს რეფორმები გახდა. ანუ, ქვეყნის მთელი სივრცის თანაბარი განვითარების პირობების უზრუნველყოფა და არა ერთი რომელიმე ცალკე აღებული ქალაქისა ან დაბისთვის განვითარების უპირატესი პირობების მინიჭება.

ბათუმის განვითარება, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით. თუმცა, არის საფრთხე, რომ ურბანული განვითარების არათანაბარ პირობებში, საბოლოოდ მივიღებთ ერთ განვითარებულ ცენტრს, ბათუმს, და გარშემო მასზე დიდად ჩამორჩენილ პერიფერიას. ეს კი, სამომავლოდ ნეგატიურ გავლენას მოახდენს თავად ბათუმისთვის მნიშვნელოვან ისეთ სასიცოცხლო ფაქტორზე, როგორიცაა მაგალითად, ლოჯისტიკური არხების გამართული და ეფექტური ფუნქციონირება.

ხელოვნურად შეზღუდული და განვითარების არათანაბარი პირობები აუცილებლად აისახება შიდა რეგიონულ მიგრაციულ პროცესებზეც. იქმნება აქარაში შრომითი რესურსების გადინების და ქრონიკული დეფიციტის გაჩენის რეალური საფრთხე. ეს შეაფერხებს მთლიანად რეგიონის განვითარების პოტენციალს. შესაბამისად, ბათუმის გარდა რეგიონში ბიზნეს-აქტივობა მხოლოდ ნომინალურ დონეზე შენარჩუნდება და ეკონომიკური ურთიერთობები ფორმალურ სახეს მიიღებს.

არათანაბარი ურბანული განვითარება მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ აყენებს ბათუმში ვიზიტორებისათვის სრულფასოვანი მომსახურების განევის და, ტურისტების გაზრდილი ნაკადის პირობებში, მათვებს სასურსათო და სხვა სერვისებით შეუფერხებელი უზრუნველყოფის საკითხსაც. ■

# ბანათის პოპულარული საკართველოში



პოლიტიკური, სამოქალაქო და ეკონომიკური პრობლემებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი მთავარი გზა საქართველოს მოქალაქეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზებაა.

გიორგი ცხადაია

საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულმა აქციებმა მშვიდობინად ჩაიარა. მიუხედავად რამდენიმე სასულიერო პირის და მომიტინგის მცდელობისა, მართლმადიდებელი მრევლის პროტესტის პოლიტიკაში „გადასვლა“ არ შედგა.

წმინდა სინოდმა 11 ივლისს სასულიერო პირებს და მრევლს სიმშეიდისენ მოუწოდა („მიუხედავად მღელვარების მიზეზებისა, თავი შეიკავონ ყოველგვარი თვითნებური ქმედებებისგან და გააძლიერონ ლოცვა ერის ერთობისა და მშვიდობისათვის“). სინოდის გადაწყვეტილებითვე შეიქმნა ე.წ. ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისია, რომელიც სასულიერო პირთა მიერ ამ ნორმების დარღვევის ფაქტებს გამოიკვლევს.

მართლია, რელიგიურმა პროტესტმა რეალური შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ ცხადი გახდა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საჭიროების შემთხვევაში სოლიდური რაოდენობის მასში მობილიზება შეუძლია. ასევე, გაირკვა ისიც, რომ არსებობს ბევრი ისეთი თემა, რომელზეც მრევლის დიდ ნაწილს მცდარი და დამახინჯებული წარმოდგენა აქვს. თუ ჩავთვლით, რომ ქსენოფონი და შეუწყნარებლობა ნაწილობრივ მაინც გამოწვეულია ინფორმაციის უქონლობით და გარე სამყაროსადმი შემით, მაშინ პირველ რიგში, მოსახლეობის განათლების საკითხი უნდა განვიხილოთ.

პრობლემა დასაწყისშივე ორ ნაწილად დავყოთ: მოსახლეობის არაინფორმირებულობა და პირობითად, „პროფესიული ელიტების“ (ჟურნალისტების, სასულიერო პირების, პოლიტიკოსების, მეცნიერების და ა.შ.) უუნარობა, შეთანხმდნენ საერთო პრინციპებზე.


პრობლემის ეს ორი ასპექტი, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ

მეტი სიცხადისთვის მათ ცალ-ცალკე განვიხილავ. პირველ რიგში, ვისაუბროთ იმაზე, თუ რატომ არსებობს საქართველოს მოსახლეობაში მაღალი მოთხოვნა ყვითელ პრესაზე, ფსევდოსამეცნიერო თეორიებზე (მასონები, „ჩიპები“ და ა.შ.) და საიდან ჩნდება ყალბი ისტორიული ფაქტებით და არგუმენტაციით შევინიზმის გამართლება.

საშუალო განათლების სისტემა, სამწუხაორი, ნლების მანძილზე და დღესაც ვიწრო ეთნიკური ნაციონალიზმის კულტურურების მთავარი კერა იყო. 90-იანი ნლე-

ბის ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში იყო მცდელობები, სკოლებში დაწერგათ ახალი საგანი „სამოქალაქო განათლება“, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ჰუმანიტარული საგნების პროგრამა და მასნავლებლები უცვლელი რჩებოდნენ, მსგავს მცდელობებს არსებითი შედეგი არ გამოუღია. ყველას გააზრებული აქვს, რომ პრობლემა მთლიანად სისტემაშია და მისი ერთჯერადი ინიციატივების გამოსწორება შეუძლებელია.

განათლების რეფორმა, რომელიც სა-



აკმცილის ხელისუფლების ყველაზე პროგრესულ ინიციატივად შეიძლება შევაფასოთ, იმპლემენტაციის აღდევულ საფუძულზევე წარმატებებს რელიგური ჯგუფების, მასწავლებლების და მოსახლეობის ულტრაკონსერვატორული ნაწილის სახით. საბედნიეროდ, ამ დროს განხორციელებულმა წარმატებულმა ნაბიჯებმა (უმთავრესად, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის დანერგვამ და უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფციის მოსპობამ) რეფორმის შედეგად გამოწვეული უკმაყოფილება გადაწონა. თუმცა, იმის გამო, რომ სხვა, მსგავსი მასშტაბის დამაბალანსებელი ინიციატივა აღარ არსებობდა, რეფორმა თითქმის შეჩერდა.

დღეს საქართველოში განათლების პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. განათლების ნაკლებობა, ამ შემთხვევაში, არის ქვეყნის ჩამორჩენილობის არა მხოლოდ „მენტალური“, არამედ ეკონომიკური მიზეზიც. ჩვენ რომ ინდუსტრიულ ეპოქაში უცხოვრობდეთ, მაშინ განათლების ნაკლებობა, ვთქვათ, მუშებს (პროლეტარიატს) შორის ქვეყნისთვის მსგავს პრობლემას არ შექმნიდა, რადგან ჯერ ერთი, მუშების დასაქმება შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოსაგან ნამოსული მსხვილი მასშტაბის ინდუსტრიული პროექტებით და მეორეც, პრიფერაციებისა და სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებით პირდაპირ ეკონომიკურ თემებზე წარიმართებოდა.

დღეს, როდესაც საქართველოს ინდუსტრიული მომავალი ნაკლებად საგარაუდოა, მოსახლეობის დაუსაქმებელ და დასაქმებულ ნაწილში განათლების დონის ამაღლებას და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფუნდამენტურ თემებზე მათ ინფორმირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, განათლება ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლას, რადგან ის ზრდის დასაქმების შანსებს და მეორე მხრივ, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება პირდაპირ იმოქმედებს პილიტიკის და მედიის ხარისხზე. სანაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, „ჩიპის“ ჩადგმის სერიოზულად ეშინია (მაშინ, როდესაც მათი აბსოლუტური უმრავლესობა „ჩიპის“ მქონე მობილურ ტელეკონენბს მასობრივად იყენებს), სერიოზულ თემებზე დისკუსია

მეორე პლანზე გადაიწევს.

მოსახლეობის ინფორმირებას ხელს უშლის მედიაც, რადგან იგი ორიენტირებულია სკანდალებზე და „ყვითელ“ ინფორმაციაზე. აյ შეგვედავებიან და გვეტვიან, რომ მედიას აინტერესებს ის ინფორმაცია, რომელიც გაიყიდება და არა ის, რომელიც მოსახლეობის ინფორმირებას უზრუნველყოფს. ამგვარად, მიგადექით პროფესიული „ელიტების“ როლს, რომელთა მნიშვნელობაზე საქართველოში დიდი ხანია, საუბრობენ, მაგრამ ამ მიმართულებით ნაბიჯი, ისიც ჯერჯერობით ფორმალური, ზნებრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისიის შექმნით, მხოლოდ საპატრიარქო გადადგა.

იმაზე ყველა თანხმდება, რომ ნებისმიერ პროფესიას აქვს თავისი სტანდარტები, რომელიც ამ პროფესიის

## ■ მოსახლეობის

### ინფორმირებას ხელს

### უშლის მედიაც, რადგან

### იგი ორიენტირებულია

### სკანდალებზე და „ყვითელ“

### ინფორმაციაზე.

ნარმომადგენლებმა (უმრავლესობის ან უმცირესობის ხათრით) არ უნდა დაარღვიონ. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით ხდება: მაგალითად, მეცნიერების ნაწილი საპატრიარქოს გულის მოგებას ცდილობს, ნაწილი – სახელმწიფოს (არ ვსაუბრობ იმაზე, რომ მეცნიერების ნაწილი შესაძლოა ხელისუფლებას უფერდეს მხარის). ვგულისხმობ იმას, რომ ისტორიკოსებმა გაბატონებული ნაციონალური ნარატივის შესაბამისად შეიძლება დამახინჯონ ფაქტები). ქართველი უურნალისტები პატივს არ სცემენ და არ უერთდებიან უურნალისტური ეთიკის ქარტიას. ექიმების ნაწილი, რომელიც ვებსაიტ [www.mkurnali.ge](http://www.mkurnali.ge)-ზე მოღვაწეობს, სრულიად უგულებელყოფს თა-

ვისი დარგის ეთიკურ სტანდარტებს და პაციენტებს სამედიცინოსთან ერთად, ზეობრივ ჩჩევებსაც აძლევს. რაც შეებება თავად სასულიერო პირებს, სინოდის ბოლო გადაწყვეტილების მიხედვით, მათ მხოლოდ ახლა დაიწყეს თავანთი „პროფესიული სტანდარტებისთვის“ ყურადღების მიქცევა.

ამ პროფესიული სტანდარტების გარეშე უერც ერთი განვითარებული საზოგადოება ვერ იარსებებს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, მსოფლიოს წამყვანმა უნივერსიტეტებმა „მასტების მოთხოვნით“ რომ შეცვალონ თავიანთი კურიკულუმები, ან წამყვანმა მედია საშუალებებმა მხოლოდ ის ინფორმაცია გადასცენ, რომელიც უმრავლესობის ინტერესში შეფის... პროფესიულ სტანდარტებს ამ პროფესიის ადამიანთა შეთანხმება უნდა განსაზღვრავდეს და არა საბაზრო მოთხოვნა.

ერთი სიტყვით, საქართველოში საქმე გვაქვს არა მხოლოდ მოსახლეობის ნაწილის არაინფორმირებულობასთან, არამედ იმასთან, რომ ცალკეული პროფესიის ადამიანები საერთო პრინციპებსა და სტანდარტებზე ვერ თანხმდებიან. შესაბამისად, ეს არის როგორც მოსახლეობის, ისე „ელიტების“ პრობლემაც.

ზემოთ ვსაუბრობდი იმაზე, რომ სიტყუაციდან ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოსავალი განათლების სისტემის გაუმჯობესება და განათლების ხარისხის ამაღლებაა. განათლების რეფორმის პირველმა ნაკადმა შეძლო საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილების მასშტაბური გარდაქმნებით დაბალანსება. დღეს სწორედ ასეთი რეფორმა გვჭირდება, რომელშიც მსგავსი თავდაცვის მექანიზმები იქნება ჩაშენებული.

განათლების რეფორმა არ უნდა გავიგოთ მხოლოდ საშუალო სკოლების სისტემის მასშტაბურ გარდაქმნად. უმაღლეს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში ჩადებულმა ინვესტიციებმა შესაძლოა იმაზე უფრო სწრაფად და ეფექტურად გამოასწოროს სამოქალაქო თვითშეგნებისა და დასაქმების პრობლემები, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. სამწუხაროდ, უმაღლესი განათლების დაფინანსება 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაზრდის ნაცვლად, შემცირდა. **■**

# ტყები ცმისა!



გახო ხვიჩია

ამ ტექსტის წერისას, რაღა დაგიმალოთ და, ეშმაკებზე დავიწყე ფიქრი. კაცმა რომ თქვას, ქერუბიმები თავს არც წარსულში დამტრიალებდნენ მაინც და მაინც, მაგრამ ჭირებთანაც არ ვყოფილგარ შეკრული. ვერავონ დამიდებს მათთან თანამშრომლობის დამადასტურებელ სატელეფონო ფარულ ჩანანერს, ან ღილში ჩამონტაჟებული კამერით გადალებულ ჩევენი შეხვედრის ამსახველ კადრებს, სადაც მარცხნა თვალი მითამაშებს, პირიდან დუეტი მომდის, მთელი ტანით ვიგორიხები და ხრინნიანი ხმით ვაღიარებ არტოშანს, მე უბადრუება. ნურას უკაცრავად! ვერ მოგართვით! მოკლედ, სატანასთან გარიგებაზე ვაპირებ დაწერას, რომელსაც ლუკიფერს, ბელზებელს, პუტინს, შაითანსა და რას აღარ ეძახიან კიდევ. ასე რომ, თუ ეს თემა არ გსიამოვნებთ, პირველი გარდაისახეთ და ტფუზი ეშმაკსო, მომახახეთ. მათ კი, ვისაც ბლუზი გვიყვარს, რობერტ ჯონსონი გავიხსენოთ, როგორც მისი სენია იტყოდა – „კულტურით უკან მდგომი“ კაცი.

ერთი საუკუნით უკან, მისისიპის დელტაში მოგვინებს გადაბარება. უცნაურია, მაგრამ ამ პერიოდში უფრო მეტი მონათმელობელი ასრულებდა სიცოცხლეს თვითმეტველობით, ვიდრე პამბის პლანტაციებში მუშაობით წელში გაწყვეტილი აფრო-ამერიკელი მონა. მიზეზი კი მარტივი გახლდათ – მონებს ჰქონდათ მუსიკა, ულამაზესი სახელით „ბლუზი“ – ტერორთან, დამცირებასთან, მკვლელობებთან, უსამართლობასთან თუ დეპრესიასთან გამკლავების შესანიშნავი საშუალება. ასე რომ, ბლუზზე მშობიარობისას დელტამ დიდი ტკივილები გადაიტანა და კაცმა რომ თქვას, ამ აშბავში რომანტიკულიც ბევრი არაფერისა.

ჩევენი დღევანდელი გმირი – რობერტ

ჯონსონი 1911 წელს, სწორედ აქ – მისისიპის დელტაში, პატარა სოფელ ჰეიზელჰერსტში დაიბადა. ბავშვობისას, კოცონის გარშემო შემომსხდარ დაღლილ-დაქანცულ ბიძია-ბაბუებს მიუცუ-ცექდებოდა და პირდაღებული უსმენდა შავი, ხავერდოვანი თუ უხეში ხმებით ამდერებულ ამბებს უილბლო სიყვარულზე, მონიბით გამოწვეულ დარდზე, სიკვდილსა თუ თავისუფლების წყურკილზე. ისინიც მართალია, ბანალურ თემებზე, მაგრამ გულწრფელად მღეროდნენ, „ჯიგრის ყაურმულს“ რომ ეძახიან

ესეული რუდუნებით მოჰყიდეს ხელი შეგირდის აღზრდა-განათლებას, თუმცა, მალევე გაუცრუვდათ იმედები. ფორმულირება – „ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი“ აქ არ გამოგვადგება, სიმართლესთან ახლოს რომ ვიყოთ, რობერტი „მონდო-მებული, მაგრამ მეტად უნიფ“ გამოდგა. პედაგოგებმა ასე შეაფასეს ყმანვილის შემართება და ხელიც საბოლოოდ ჩაიქნიეს, ისე ცუდად უკრავს – არაფერი ეშველებაო.

განაჩენი საბოლოო აღმოჩნდა. 1930 წლის მისისიპურად ცხელ დღეს ახალგაზრდა კაცი უცნაურად გაუჩინარდა. მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. პრინციპში, დიდად არც შენუხებულან – აღბათ, ზეციურ ამერიკას შეუერთდაო და მალევე მიიღინებს. ერთი წლის თავზე კი ვისეის არომატით გაულენთილ, რობინსვილის ერთ-ერთ „ზაბეგალოვებაში“ კოხტა კოსტუმში გამოწყობილმა ბიჭმა შეაბიჯა, გიტარა მოიმარჯვა, გემრიელი ნაფაზი დაარტყა და სევდიანი ბლუზი აავენესა. უცნობი მუსიკოსი დაწუნებული შეგირდი აღმოჩნდა, გიტარაზე დაკერის მანერა კი ისეთი დიდებული ჰქონდა, ყოფილი მასნავლებლებიც გააოგნა და ცხარე ცრემლით ატირა.

ნარმოიდგინეთ, დიმა ობოლაძე რომ დავკარგოთ რაღაც ხნით, მერე ყველასთვის მოულოდნელად ანანიაშვილის დაში გამოჩნდეს და მაკნატუნა-უფლისნულის პარტია ისე შეასრულოს – რუდოლფ ნურიევის სიჩაუქე სამარადებამოდ ამოშალოს ბალეტის ისტორიიდან. ხომ ნარმოიდგინელია? პოდა, „უნიჭო“ რობერტ ჯონსონისგანაც ზუსტად ასე არავინ ელოდა ხეირიანი ბლუზმენი თუ დადგებოდა. გაოცება იმდენად დიდი იყო, მთელ მისისიპში ხმა გავარდა, სადღაც გზაჯვარედინზე

**■ ნარმოიდგინეთ, დიმა ობოლაძე რომ დავკარგოთ რაღაც ხნით, მერე ყველასთვის მოულოდნელად ანანიაშვილის დაში გამოჩნდეს და მაკნატუნა-უფლისნულის პარტია ისე შეასრულოს – რუდოლფ ნურიევის სიჩაუქე სამარადებამოდ ამოშალოს ბალეტის ისტორიიდან.**

ზუსტად ისე, გამჩენს ადიდებდნენ და არსობის პურის გამოგზავნისთვის მადლობას უზიდნენ.

20 წლის ასაკში, ბლუზზე თავდავიწყებით შეყვარებული ყმანვილი, საცხოვრებლად რობინსვილში გადავიდა, მამინაცვალთან, სადაც იმხანად ცნობილი ბლუზმენები სონ ჰაუსი, უილი ბრაუნი, ჩარლი პატონი ხშირად ატარებდნენ კონცერტებს. რობერტიც მათ გასაქინს არ აძლევდა – გიტარაზე დაკერა დამამულამებინეთო. მაესტროებმა ბენდუქი-

ეშმაქს გადაეყარა, სული მიჰყიდა და სანაცვლოდ არამინიერი მუსიკალური ნიჭი მიიღო. გიტარაზე დაკერის ტექნიკის საიდუმლო რომ არ გაემხილა, ეს ვერსია თვითონვე შეთხზა, ყოფილი მასწავლებლების დასაბოლებლად.

სინამდვილეში კი, ის ერთი წელი, გადახვეწილი რომ იყო, მშობლიურ ქალაქ ჰეიჩელპერსტემი გაატარა, სადაც ძმები – აიკ და ჰერმან ზიმერმანები გაიცნო. ძმებმა კი მისგან უბადლო მუსიკოსი გა-

მოძერწეს. ბუნებრივია, თავადაც ბევრი იშრომა და ნარმატებამაც არ დააყოვნა. რობერტ ჯონსონთან დაკვრა უკვე ერთი დიდი სიამოვნება და პატივიც გახლდათ. სხვადასხვა შტატებში მოხეტიალე ბლუზმენების გრძელი რიგებიც იდგა მის გასაცნობად და ეშმაქეული ბლუზის მოსამენად.

რა ბლუზი იქნება, სევდა რომ არ გამოერიოს ან ვინმე არ მოკვდეს? ჰოდა, რობერტ ჯონსონიც მეტად გულჩათხრო-

ბილი ვინმე ყოფილა. 25 წლის ასაქში მეუღლე გარდაცვალა – მშობიარობას გადაჰყება, ბავშვიც დაეღუპა. სასმელ-ში და ქალებში ეძებდა შევბას, უხეში, გაუთლელი ფერმერების ცოლები კიდევ ჭურას კარგავდნენ ინტელიგენტ მისისი-პელ ფაუსტზე. თავადაც არ იყო გულგრილი მათ მიმართ და ბევრი ქმარიც მაგრად გაამწარა.

მისი ბოლო კონცერტი 1938 წლის 12 აგვისტოს მემფისის მახლობლად, გრინვუდის ერთ ბარში გაიმართა, რომლის მფლობელის ცოლიც მთელი საღამო თვალით, ხორცითა თუ გულით მრუბობდა (ყურითაც, რობერტ ჯონსონის ულამაზესი ბლუზის გამო). „მეუღლიანის მიერ ქმნილი ბოზობა“ კიდევ ეჭვიანმა ქმარმა ვერ აიტანა და ამბობენ, მუსიკოსს ვისკიში სტრიქნინი ჩაუყარაო. რობერტ ჯონსონი ცუდად შეიწნა, დაკვრა ველარ გააგრძელა და 4 დღეში გარდაიცვალა კიდეც. როგორც ჯიმი ჰენდრიქსი, ჯენის ჯოპლინი, ჯომი მორისონი და კურტ კობეინი – ისიც 27 წლის ასაქში აღესრულა, მათსავით ახალგაზრდა და გენიალური.

რობერტ ჯონსონმა მხოლოდ 29 სიმღერის ჩანაწერი დატოვა, მათ შერის კლასიკად ქცეული „Cross Road Blues“, „Sweet Home Chicago“ და „Me And The Devil Blues“. რომ არა ეს დელტა-ბლუზური შედევრები, ამერიკული ბლუზის მომავალიც ძნელად ნარმოსადგენი იქნებოდა. შესაბამისად, ვერც როკენროლი გადაიხდის ამ ბიჭის ვალს ვერასოდეს – მით უმეტეს ის ჯგუფები, მისი სიმღერების ხარჯზე რომ აშენდნენ და მოვიდნენ ფერზე.

თუმცა, მირჩევნია, აქ მოვრჩე ბოროტ სულზე საუბარს, თანამემამულე ინკვიზიტორებმა სადმე რომ არ გამომიქირონ, არტოშანს შეერთებულს კოცონი არ შემინთონ და „ლიბერალიც“ (ჯვარი წერია) ზედ არ მიაყოლონ. რადგან არ არის გამორიცხული, ისიც თქვან, რობერტ ჯონსონის „Love In Vain“ უკუღმა რომ დაუკარა, სატანის სადიდებელი ჰიმნი უღერსო. არადა, წალმა სიარულიც უმჯობესია, მუსიკის მოსმენა – მით უმეტეს! თანაც, ერთ-ერთი საუკეთესო ბალადაა – სიყვარულზე!



## სახელაფში ბათონაციი 360გაბი



იბსენის „ნორა“, ანუ ნეკროშუსის აჩრდილი „თავისუფალ თეატრში“

დავით ბუხრიკიძე

„თავისუფალმა“ მეათე, საიუ-ბილეო სეზონი რეჟისორ ვანო (იოანე) სუცაშვილის უკვე „მოთელილი“ საპრე-მიერო სპექტაკლით დაასრულა. ჰენრიკ იბსენის ყველაზე პოპულარული პიესის – „ნორა, ანუ თოჯინების სახლი“ – მიხედვით დადგმულმა სპექტაკლმა უკვე მიიპყრო პრესის ყურადღება. ამდენად, სკანდინავიული კლასიკოსის თანამე-დროვე თეატრალურ ენაზე გადმოტანის მცდელობა კარგი მიზეზია, რათა ნორჩი რეჟისორის ამბიციები შევაფასოთ და განცდებს (ცულწრფელსა თუ გამოგონილს) სათანადო ყურადღება მივაპყროთ. სამაგისტრო სპექტაკლი დასადგმელად „ნაახალისეს“ კულტურის სამინისტრომ და თეატრალურმა უნივერსიტეტმა.

ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება, რაც დებიუტანტი რეჟისორის (იგი ავთანდილ ვარსიმაშვილის მაგისტრანტია) ორმოქმედებიანი წარმოდგენის შემდეგ გრჩებათ, თეატრის ლაპირინთებში რეჟისორის თავდაუზოგავი ხეტიალია. არც გამომსახულობითი საშუალებებისა და ფორმის ძიებაში გატარებული თითქმის სამი საათი გენანებათ. მეტა-ფორმებით დახუნძლულ, ამ კომპაქტური „რკინის სახლის“ პირქუშ ატმოსფეროში განუწყვეტლივ ჩაგვესმის საათის წიენიკი. სპექტაკლის პირველსავე სცენაში, სარდაფში გამოკეტილი პერსონაჟები (კროგსტადი, კრისტინა, ექიმი რანკი) და სამი მარიონეტი (ნორას ბავშვები) უკვე გასაგები და ალბათ, ზედმეტად პლაკატური მინაშებან ნორას ბავშვობისდროინდელ კომპლექსებსა და ზოგადად, თოჯინების სახლის მეტაფორაზე.

ნორას სახლი უთვალავი განჯინისა და ერთი, მოზრდილი სარდაფისგან შედგება, რომელშიც პერსონაჟები ისე სახიფათოდ და ხშირად იქექებიან, რო-



გორც საკუთარ არაცნობიერში (მხა-ტვარი და სცენოგრაფი თეო კუხიანიძე). მრავალ ზუსტ, გასაგებ და ზოგჯერ გაუგებარ თეატრალურ მეტაფორებს აშკარად დაჰყვება დიდი ღიტველი რეჟისორის, ეიმუნტას ნეკროშუსის აჩრდილი; თუმცა სტურუას გავლენით შექმნილი მრავალი პლაგიატური სპექტაკლის შემდეგ, ნეკროშუსის ეპიზოდური გავლენა, არა მგონია, საქართვე-

ლოში სახიფათო ან მოსაბეზრებელი იყოს.

შესაძლოა, მომაბეზრებლად მოგეჩვენოთ ასევე ლიტველი კომპოზიტორის, გედრიუს პუსკუნიგისის მუსიკალური თემა, რომელიც „ნორაში“ მრავალჯერ მეორდება და ნასესხებია ნეკროშუსის „ოტელოდან“. მას ანეიტრალებს გიორგი ჯიქიას მინიმალისტური ელექტრონული „გამონათებანი“. თავიდან ნორა

(თამუნა ნიკოლაძის ყველაზე დასამახ-სოვრებელი ნამუშევარი ვარსიმაშვილის „მშენერი ქართველი ქალის“ შემდეგ) მართლაც თოვების შთაბეჭდილებას ტოვებს: დასწავლილი ღიმილით, ნეი-ტრალური მეტყველებით, მეუღლისად-მი ერთგვარი უინტერესო და ინდიფე-რენტული დამოკიდებულებით... მაგრამ საკმარისია კროგსტადთან (დევი ბიბი-

(ნინო ფილფანი) ვნებასა და გრადუსს მატებენ. უფრო ზუსტად, თავიანთი მიზანსნრაფული ეგოზმით ცეცხლ-ზე ნავთს ასხამენ. და რაც უფრო გა-მოუვალი ხდება ნორას მდგომარეობა, რაც უფრო მონდომებით უმაღავს იგი მეუღლეს ნასესხები ფულის ამბავს, მით უფრო პარადოქსული და დამცინა-ვი ხდება ტორვალდ ჰელმერის (ნორას

ქსოვს, ნორას თოჯინის სადღაც ინა-ხავს; ჭალზე სათამაშოებსა და ბეჭედს ჰკიდებს; სადღაც კუთხეში მიმალული აფთიაქიდან წამლებს იღებს...)

სპექტაკლში გამუდმებით ლურჯ სი-თხეს სვამენ. ერთი შეხედვით, ეს თი-თქოს სანამლავია, ზოგჯერ ვისკის ასოციაცია გიჩნდებათ. შესაძლოა ლი-მონათიც იყოს, რომელიც ნორას ბა-ვშებს არ ეღირსათ „ულირსი“ დედის ხელში. თითქოს უმნიშვნელო დეტა-ლები სცენაზე: მიმობნეული საგნები, თოვებინები, რომლებიც სარდაფიდან ამოაქვთ, მაკრატელი, რომელიც ავ-ბედით მნიშვნელობას იძენს, მაგიდა, რომელიც რკინის ირგვლივ მოძრაობს, საათი, რომელიც რკინის ნისქვილსაც ჰგავს და ცხოველთა გალიასაც, ანა-მარიას მოქსოვილი თავსაფარი, რო-მელსაც სახლიდან გაქცეული ნორა მოიხურავს – მნიშვნელობას იძენს სა-ერთო კონტექსტში.

იქნებ სპექტაკლი „ნორა“ ყბადალებული „მეტაფორული თეატრის“ შექმნის მცდე-ლობა? ეს განსაზღვრება თავის დრო-ზე კრიტიკოსებმა იარღიყივით მიაკერეს ნეკროშუსის სპექტაკლებს და მოგვანე-ბით მისი ტირაუირება ლიტერატურა თეატრ-მა (რიმას ტუმინასი, მინდრაუსკას კარ-ბაუსკისი) კარგად მოახერხა დასავლეთ ევროპაში. და სხვათა შორის, ამ თვალსა-ზრისით თვით სახელოვან პოლონურ თე-ატრის კი გაუწია კონკურენცია. ასეა თუ ისე, „დამწყებმა“ რეჟისორმა ვანო ხუციშ-ვილმა გარკეული გავლენის მიუხედავად, კარგად მოახერხა ვნება და მეტაფორა, სიტყვა და სხეული ერთ კოორდინატთა სისტემაში მოეკვია.

და თუ ფინალში, სარდაფში გამოკე-ტილ პერსონაჟ-მარიონეტებსა და ნორას მონოლოგს („მე მამის საყვარელი სათა-მაშ ვიყავი ჩემს სახლში და ახლაც სა-თამაში ვარ შენს სახლში...“) თეატრა-ლურ რეალობასთან დააკავშირებთ, გასაგები გახდება ბრეხტით შობილი და მისი სახელით „ჩაკეტილი კავეასიური წრიდან“ თავდახსნის მცდელობა. დაშვე-ბული შეცდომებიც და ძიების მცდელო-ბაც ხშირად უფრო შეტს ნიშნავს, ვიდრე კარგ გზაზე უხილაოდ სიარული, ან ლამაზად თვლემა. ■

## ■ ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება, რაც დებიუტანტი რეჟისორის ორმოქმედებიანი ნარმოდგენის შემდეგ გრჩებათ, თეატრის ლაბირინთებში რეჟისორის თავდაუზოგავი ხეტიალია.

მეუღლეს გიორგი ზანგური მუდმივი ღიმილით და თავშეკავებული თვითდა-ჯერებულობით თამაშობს) რეაქცია: „რატომ არის მონებილი ჩემი ციყვუ-ნია, ჩემი პატარა ჩიტი?“

რეჟისორი მხოლოდ ანა-მარიას (მაია ხორნაულის თითქმის შესანიშნავი და თითქმის უსიტყვო როლი) ტოვებს ამ უმიზნო ვნებებისა და სიხარბით წახა-ლისებული თამაშის მიღმა. შეგვეძლო

გვეთქვა, რომ ის იძენის სახელო-ბის კლინიკა „ნორას“ უსექსო მედდას ჰგავს, რომელსაც მოვალეობა და ერ-თგულება სისხლში აქვს გამჯდარი. პერსონაჟი, რომელიც იძენის პიესაში მხოლოდ მერთალი მონახაზია და რეჟი-სორთა უმრავლესობა მას ყურადღების მიღმა ტოვებს, ვანო ხუციშვილისათვის ჰელმერების სახლის მთავარი „გასაღე-ბია“. ის უშეცდომოდ და მიზანმიმარ-თობად დაეხეტება სახლ-ლაბირინთში, აღებს და კეტავს სარდაფსა და ზარ-დახშებს, გამაღებით და ისტერიულად

სცენა სპექტაკლიდან „ნორა, ანუ თოვების სახლი“

ლეიშვილი) მისი ურთიერთობა და წე-რილის არსებობა გამედავნდეს, რომ ყველაფერი ყირაზე დგება. საქმეში ცხადა, ფული ერევა და ბურუუაზიუ-ლი დრამა კლასიკური, მაგრამ ჩემეული დამცინავი ფორმით წარმოგვიდგება.

ნორას პირად დრამას ავადმყოფო-ბით დაღდასმული ექმი რანკი (ბარი ჩაჩიბაა) და უფულობითა თუ უკა-ცობით გატანჯული კრისტინა ლინდი

# ტექნოლოგიები

## დავიდ ბეკჰემს საიტი გაუტეხეს



პოპულარული ფეხბურთელის, კლუბ „ლოს-ანჯელეს გალაქსის“ ნახევარ-მცველის – დევიდ ბეკჰემის პირადი საიტი [www.davidbeckham.com](http://www.davidbeckham.com) უცნობდამა ჰაკერებმა გატეხეს. ბოროტმოქმედებმა პორტალის მთავარ გვერდზე ძალის ფოტო განათავსეს, წარნერით "ScooterDAshooter = FAIL".

[www.davidbeckham.com](http://www.davidbeckham.com)-ზე დევიდ ბეკჰემი პირად ჩანაწერებს, ფოტოებსა და ფეხბურთის მატჩების ვიდეორეკორდებს. აქვეყნებს.

სპეციალისტების თქმით, თავდასხმა დემონსტრაციულ ხასიათს ატარებდა და ჰაკერებს საიტზე არანაირი სახითათო კოდი არ დაუტოვებიათ. ვებგვერდი 11 ივლისს დილით გატყდა, წინა დღეს კი ბეკჰემებს გოგონა შეეძინათ, რომელსაც ჰარპერ სევენი დაარქვეს.

## პირველი ბუკრილერი GOOGLE EBOOKS-ისთვის



ინტერნეტ-გიგანტი IT სექტორის კი-დევ ერთი მიმართულების ათვისებას გეგმავს. კომპანიის წარმომადგენლე-

ბის განცხადებით, Google კორეულ კომპანია iriver-თან ერთად ელექტრონული წიგნების წამყითხველს შექმნის, რომელშიც ონლაინ-მაღაზია Google eBookstore-ზე წვდომაც იქნება ინტერირებული.

ახალ მოწყობილობას iriver Story HD ჰქვავია და გარეგნულად პირველი თაობის Amazon Kindle-ს ჰქვავს. ამ დრომდე და Google-ის ინტერნეტ-მაღაზიაში წიგნების შეძენა კომპიუტერის, სმარტფონის ან პლანშეტის ბრაუზერიდან ხდებოდა, შემდეგ კი მომხმარებლებს ისინი ბუკრიდერში უნდა ჩაეტკირთათ. მოწყობილობა ამ ფუნქციის ინტერნერებული მხარდაჭერით ამ დრომდე არ გამოსულა.

Story HD აღჭურვილია კონტრასტული შავ-თეთრი ეკრანით, მოხერხებული კლავიატურით და 6 დიუმიანი ეკრანით. მოწყობილობას აქვს Wi-Fi-ს მხარდაჭერაც. Story HD-ს გაყიდვები თავდაპირველად ამერიკაში დაიწყება და მისი ფასი 140 დოლარი იქნება.

## YOUTUBE-ის ახალი დიზაინი



ვიდეოოპისტინგი YouTube ახალ დიზაინს ტესტავს. პორტალის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მუქი ფერის ინტერფეისი საიტს უფრო მოდურს, თანამედროვესა და მოსახერხებელს გახდის.

განახლებულ დიზაინში პლეერის მართვის ელემენტები მუქი ნაცრისფერი და უფრო დახვეწილი გახდა, ოდნავ შეიცვალა ლილაკები და გვერდის ფონიც. მომხმარებლებს საშუალება აქვთ ვიდეოს ფანჯრის 3 ზომიდან სასურველი თავად შეარჩიონ. ამასთან, რგოლი არა მარცხენა მხარეს, არამედ გვერდის შუა ნაწილში ჩნდება.

თითქმის შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც შეიცვალა ვიდეოოპისტინგის ლოგოტიპიც. YouTube-ის განხლებული გვერდის დატესტვა ნებისმიერ მომხმარებელს ვებგვერდზე [www.youtube.com/cosmicpanda](http://www.youtube.com/cosmicpanda) შეუძლია. ანალიტიკოსები კი უკვე ამბობენ, რომ ვიდეოოპისტინგის ახალი დიზაინი წარმატებული აღმოჩნდა და იგი მომხმარებლების უმეტესობას მოეწონება.

უკანასკნელად YouTube-ის დიზაინმა სერიოზული ცვლილებები 2009 წლის ზაფხულში განიცადა. სხვათა შორის, მაშინ ამ ფაქტმა მომხმარებლების სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. შეჩვეული დაზიანის შეცვლა დიდ ნაწილს არ სურდა და სერვისის ბოკოტირებითაც იმუქრებოდა, თუმცა საბოლოოდ ახალ დიზაინს YouTube-ის პოპულარობაზე უარყოფითად არ უმოქმედია.

## 3D პრინტერი შოკოლადისთვის

ბრუნელისა და ესეტერის უნივერსიტეტების მეცნიერებმა უნიკალური 3D პრინტერი შექმნეს, რომელიც შოკოლადის ნივთების დასაბეჭდადა განკუთვნილი. 3D ბეჭდვის ტექნოლოგია უკვე დიდი ხანია უჩვეულო სიახლეს ალარ წარმოადგენს. არსებობს სერვისებიც, რომელთა დახმარებითაც ნებისმიერ მსურველს „დაბეჭდილი“ საცურაო კოსტუმის ან სუვენირის მიღება შეუძლია, თუმცა ბრიტანელი მეცნიერების გამოგონება შოკოლადით ბეჭდვის პირველი შემთხვევაა.

სპეციალისტები ამბობენ, რომ მათ ამ ჭირვეული მასალის განსაკუთრებული თვისებების გამო მოწყობილობის შესაქმნელად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. ტექნოლოგიის უპირატესობა ის



არის, რომ მომხმარებლებს სასურველი ფორმის უნიკალური შოკოლადის შექმნის შესაძლებლობა ექნებათ. სპეციალური სოფტი ამ მიზნით უკვე მუშავდება. მსურველები საკუთარ მაკეტებს ერთმანეთს ვებგვერდითაც გაუზიარებენ.

## NOKIA-ს და MICROSOFT-ის სარეკლამო კამპანია

Nokia-და Microsoft მასშტაბური გლობალური სარეკლამო კამპანიისთვის ემზადებიან. კომპანიები Windows Phone 7-ის ბაზაზე აგებული მოწყობილობების პოპულარიზაციისთვის 127 მილიონ დოლარს დახარჯავენ. ნახევარწლიანი კამპანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყება.



სარეკლამო კამპანიის ფარგლებში Nokia წარმოდგენილი იქნება, როგორც Windows სმარტფონების ძირითადი მნარმოებელი. კამპანია განკუთვნილი არ იქნება Symbian-ისან MeeGo-ს ბაზაზე აგებული პროდუქტებისთვის. ძირითადი აქცენტი კი Nokia-ს პირველ Windows სმარტფონზე გაკეთდება, რომელიც არაოფიციალურად Sea Ray-ს სახელითაა ცნობილი.

ცოტა ხნის წინ მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ცნობა Sea Ray-ზე მუშაობის დაწყების შესახებ. ზოგიერთმა მათგანმა პროდუქტის არაოფიციალური ფოტოც კი დაბეჭდა.

## SAMSUNG SMART TV-ს კოპულარობა იზრდება

სამომხმარებლო ტექნიკის წამყვანი მნარმოებლის Samsung Electronics-ის



Smart TV-ის გაყიდვებმა უკვე 2 მილიონს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ პროდუქტის გაყიდვების დაწყებიდან მხოლოდ 3 თვეა გასული.

Samsung Smart TV-ის ტელევიზორები მსოფლიო ბაზაზე მიმდინარე წლის მარტში გამოჩნდა. ყოველდღიურად დაახლოებით 22 ათასი ასეთი ტელევიზორი იყიდება. ყველაზე პოპულარული Samsung Smart TV ჩრდილოეთ ამერიკაშია, სადაც მისმა გაყიდვებმა 730 000 შეადგინა. ევროპულ ბაზაზე 710 000 ერთეული გაიყიდა, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კი – 170 000.

## AMAZON ინტერნეტ-ჰანგების უშვებეს

Amazon საკუთარი პლანშეტის გამშვებისთვის ემზადება. ექსპერტები ამბობენ, რომ მოწყობილობა კონკურენციას Apple iPad-ს გაუწევს. ამჟამად კომპანიების ინტერესები



მხოლოდ ციფრული კონტენტის ბაზაზე იკვეთება, პლანშეტის გამოშვების შემდეგ კი კონკურენცია უკვე სხვა სეგმენტზეც გადაინაცვლებს. ივარაუდება, რომ Amazon-ის პლან-

შეტის პრეზენტაცია მიმდინარე წლის ოქტომბერში შედგება.

ანალიტიკოსების პროგნოზით, ახალ მოწყობილობას ექნება იმ კონტენტის ყველა ფორმატის მხარდაჭერა, რომელსაც ამჟამად Amazon ყიდის. მათ შორის მოიაზრება არა მარტო მუსიკა და ვიდეო, არამედ ციფრული წიგნებიც. ვრცელდება ასევე ინფორმაცია, რომ Amazon Kindle-ის განახლებისთვისაც ემზადება. დაგეგმილია რიდერის ორი ახალი ვერსიის გაშვება, რომელთაგან ერთს სენსორული ეკრანი ექნება.

## GOOGLE-ის ახალი ფოტოსერვისი




უახლოეს მომავალში Google ახალ სპეციალურ ვებსერვისს გაუშვებს, რომელიც ფოტოების პუბლიკაციისთვის იქნება განკუთვნილი. დეტალური ინფორმაცია Photovine-ს ფუნქციონალის შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არ არის. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ სერვისის მომხმარებლებს საშუალება ექნებათ კონკრეტული ფოტოს განთავსებით შექმნან ესა თუ ის თემა, შემდეგ კი ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება საკუთარი ასოციაციების შესაბამისად მას სხვა ფოტოებიც დაურთოს.

Photovine, პირველ რიგში, სავარაუდოდ, მობილური ტელეფონების მომხმარებლებისთვის იქნება განკუთვნილი. სმარტფონის კამერით ფოტოს გადაღების შემდეგ მომხმარებლებს მისი ატვირთვა ფოტოპოსტინგზე მაშინვე შეეძლებათ. Photovine-ის ამოქმედების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ☐

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

# "გახელი ქვეითოვანები"



27 ივნისს არტ კაფე 11-ში, სამედი-ცინო უნივერსიტეტის სტუდენტების თვითმმართველობის ორგანიზებით, სოფელ გრემში არსებული საქველმო-ქმედო კავშირი „თემის“ მზრუნვე-ლობის ქვეშ მყოფი უნარშეზღუდული ბაგშეების ხელნაკეთი ნივთების გამო-ფენა-გაყიდვა გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თიხასა და თექაზე შესრულებული ნა-მუშევრები, ნახატები, ასევე შუშის ბო-თლებითა და ქვებით შექმნილი დეკო-რაციული ხელნაკეთი ნივთები.

ღონისძიება გაგრძელება იყო პროე-ქტისა „გახდი ქველმოქმედი“, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო უნივერსი-ტეტის სტუდენტებმა უნარშეზღუდულ ბაგშეებს სპეციალურად შეგროვებული საჩუქრები ჩაუტანეს, შემდეგ კი მათ-

თვის „ზღაპრების დღე“ მოაწყვეს.

პროექტის მთავარი მიზანი შეზღუ-დული შესაძლებლობების მქონე ბავშ-ვების უნარების წარმოჩენა, მათი სა-ზოგადოებრივ აქტივობაში ჩართვა და საქველმოქმედო კავშირი „თემის“ შესა-ხებ საზოგადოების ინფორმირება იყო.

სტუდენტების და ბავშვთა სახლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ნამუშევრების ფასები შეირჩა ისე, რომ ყველასთვის მაქსიმალურად ხელმისა-წვდომი ყოფილიყო. გამოფენის ფარ-გლებში, ხელნაკეთი ნივთების საკმაოდ დიდი ნაწილი გაიყიდა, შემოსული თან-ხა კი შემოქმედ ბავშვებს მოხმარდებათ.

პროექტის მხარდამჭერები „ესთეტიკ სერვისი“, კომპანია „STSG“, „კამპა“, „ბარამბო“, „თელიანი ველი“, გამომცე-მლობები „დიოგენე“ და „ნიგნები ვაკე-



ში“ არიან, მედია პარტნიორი კი უურნა-ლი „ლიბერალია“.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუ-დენტები პროექტის გაგრძელებას და პატარების შემოქმედების საზოგადო-ებისთვის უფრო ფართოდ წარდგენას ოქტომბერში გეგმავენ.

# მარადონა ინბიუსში



გიო ახვლედიანი

ინგლისელებს მარადონა არ უყვართ. იმ „ლმერთის ხელს“ არასდროს აპატიებენ. ინგლისელებმა დაცინება არ იციან. სადმე რომ მარადონას შესახებ ერთი აბზაცი დაწერონ, იმ ერთ აბზაცში შუა სტრიქონი აუცილებად ის იქნება, ეს ის კაცია, რომელმაც ხელით გაგვიტანა ბურთიო. ამ შუა წინა-დადების ზემოთ და ქვემოთ შესაძლოა, უსაზღვრო ხოტბა-დიდებაც ეწეროს, და სარკასტული ფრაზებიც, მაგრამ ის ხელი აუცილებლად ნახსენები იქნება.

იმ ცნობილ დოკუმენტურ ფილმში, გარი ლინეერი შემპარავი ინგლისური იუმორით ეკითხება მარადონას, ეგ მართლა ღმერთის ხელი იყორ? მარადონა კი ეშმაკური ღიმილით აჩვენებს მუჭს და პასუხობს, არა, ეს ხელი იყორ.

ინგლისელებს მარადონა არ უყვართ, მაგრამ მის გარეშე არ შეუძლიათ. რაც გასაკვირია, ის თავის ხელით და ფეხითაც ინგლისის ფეხბურთის ნაწილი შეიქნა, მედიისთვის კი ყოველთვის პირველი სტრიქონის კაცად რჩება.

აი, გასულ კვირაში მარადონა დედამისის სანახავად მიდიოდა ქალაქებრეთა საავადმყოფოში და მსუბუქ ავარიაში მოჰყვა, რაც, რა თქმა უნდა, ახალი ამბავი შეიქნა.

ოღონდ კი, მარადონა სხვა უფრო ირიბი ამშების გმირიცაა. მისი უმცროსი ქალიშვილის, ჯანინას ქმარი, სერხიო აგუერო, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოს“ მოთამაშეა და არგენტინის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, პროფესიული ფეხბურთი რომ ითამაშა, ახლა გზაგასაყარზე დგას. ბიჭს ტურინის „იუვენტუსი“ ეპატიუება, მაგრამ კუნძულიდან კბილებს ილესაგს ყოვლისგადამხდელი „მანჩესტერ სიტი“. საერთოდ, სამსრეთამერიკელი ფეხბურთელებისთვის, განსაკუთრებით არგენტინელებისთვის, იტალიაში თამაში გამორჩეული რამაა.

ცალკე იმიტომ, რომ ბევრ მათგანს იტალია თავის მეორე სამშობლოდ მიაჩინა, წინაპართა წარმომავლობის გამო; ცალკე იმიტომ, რომ წინაპართა წარმომავლობა ევროპულ პასპორტს იძლევა, და ცალკე იმიტომ, რომ იტალიური საფეხბურთო აზროვნება არგენტინელთათვის დიდი პატივისცემის საგანია.

ოღონდ, ამ შემთხვევაში საქმე რთულდება და სერხიო და ჯანინაც ტურინში გადაბარგებას სიფრთხილით უყურებენ. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც მარადონას შეეხება იტალიაში, სირთულითა და ხმაურითა გარემოსილი. ბოლოვერ იქ ჩასვლისას დიეგოს ოფიციელმა საათი და საყურებები შესხეს, რათა მისი დაუფარავი გადასახადების მცირე

ნაწილი დაეფარათ. იქ ცხოვრობს მისი უკანონო ვაჟი და იქ კვლავაც ცოცხალია მისი ნარკომანული ნარსული. მხოლოდ ნეაპოლში ხომ არ წახვალ.

სამხრეთული ოჯახები კი მოგეხსენებათ. ვთქვათ, მოუნდა დიეგოს შვილიშვილის და ქალიშვილის მონახულება. რატომ უნდა მოუწიოს ამის კეთებამ უსიამო ხმაურში? და უამისოდაც, რატომ უნდა იცხოვრონ ახალგაზრდებმა სულ იმის შეგრძენებით, რომ, ააა, თქვენ მარადონასები ხართ? გასაგებია, გასაგები...

ამინდის გამო კი ბოდიში, მაგრამ, თუკი სიტიში გადმოვა სერხიო, აუიოტაჟი და მარადონას ძახილი კი იქნება, მაგრამ ბევრად შოუბიშნესური და ინგლისური და ეს პირიქით სასარგებლოც კი გამოვა ბიჭისთვის. ინგლისში მარადონას ერთი პრობლემა აქვს, ლმერთის ხელი და ისიც უკვე ფოლკლორის ნაწილი შეიქნა, სასიამოვნოც კია ასეთ ხალხთან ურთიერთობა. ამიტომაც, „მანჩესტერ სიტი“ იმედოვნებს, რომ თუკი კარლოს ტევესს, მარადონას ძველ მეგობარს და განსაკუთრებულ საფეხბურთო სიმპათიას, გაუშვებს, მთლად დიეგოს სიძის მოყვანა შეუძლია.

ასეთია ცხოვრება და ასეთია სახელი. ჰოდა, ჩამოიცლის ხოლმე დიეგო ინგლისში და იქნება ერთი ხალისობა.

ისე, კი თავად მარადონა მაღევე არაბთა საამიროში მიემგზავრება. ერთი იქაური გუნდი უნდა განვირთნას. კი, ცხელა და ქვეყანაც დიდად განსხვავდება არგენტინისგან, მაგრამ იქ რომ გადახდა იციან, ისე არსად. □



დიეგო მარადონა

# ორი ქადაგის გამავა



კახა თოლორძევა

პო, ეხლა უკვე ვიცი, რომ თუ ერთ ქალაქში წვიმა მოდის, მეორეში აუცილებლად მზე ანათებს... ერთ ქალაქში მხოლოდ იმ სატელევიზიო არხებს უყურებენ და იმ ჟურნალ-გაზეთებს კი-თხელობენ, რომლებიც მხოლოდ პირქეშ სიახლეებს აწვდიან მოქალაქეებს, იმ დროს, როდესაც მეორე ქალაქის მოსახლეობას მხოლოდ კარგი ამბების გაგება სურს და შესაბამისად, მხოლოდ იმ სატელევიზიო არხებს უყურებენ და იმ ჟურნალ-გაზეთებს კითხელობენ, რომლებიც ასეთ ინფორმაციას აწვდიან მათ, ამიტომაც ერთ ქალაქში ყოველთვის ყველაფერი ცუდადაა, მეორეში კი ყოველთვის ყველაფერი კარგად. ერთ ქალაქში დარწმუნებულები არიან, რომ პირსისხლიანი დიქტატორის უდელქვეშ უწევთ ცხოვრება, მეორეში კი რეფორმატორ მმართველს შეჰერიან. თუ ერთ ქალაქში ის პირსისხლიანი დიქტატორი უმოწყალოდ უსწორდება პროტესტონტებს, მეორეში რეფორმატორი მმართველი სამართლიანად სჯის დამნაშავეებს. ერთი ქალაქის მოსახლეობას მიაჩნია, რომ მათი ქვეყანა უფსკრულის პირას დგას, მეორეში კი გადარჩენას ზემობენ. ერთ ქალაქში მიაჩნიათ, რომ მეორე ქალაქის მცხოვრებლები ბრძები და უტრაკოები არიან, მეორე ქალაქის მაცხოვრებლები კი დარწმუნებულები არიან იმში, რომ პირველ ქალაქში მხოლოდ კუტინები ცხოვრობენ. ერთ ქალაქში სიტყვის თავისუფლებაც კი არ არსებობს, მაშინ, როდესაც მეორე ქალაქში აყვავებული დემოკრატია. ერთ ქალაქში წარსულს მისტირიან, მეორეში კი უკვე მომავალში ცხოვრობენ. ერთ ქალაქში, როდესაც იქაური მცხოვრებლები ერთად იქრიბებიან, მხოლოდ იმაზე საუბრობენ, თუ რა უბედურ დღეში არიან, მეორეში კი მხოლოდ იმაზე, თუ რა ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩნდნენ. ერთ ქალაქში ყველა დარწმუნებულია, რომ ომი, რომელიც მათ ქვეყანას დაატყდა თავს, პირსისხლიანმა დიქტატორმა დაიწყო. მეორე ქალაქში კი იციან, რომ რეფორმატორი მმართველი, რომ არა მთელი ქვეყანა, უკვე მუხლებზე იდგებოდა. ერთ ქალაქში ომის წაგებას გლოვობენ, მეორეში კი გამარჯვებას. ერთ ქალაქში ჟურნალისტებისათვის ყველა ინფორმაცია დახურულია, მეორეში კი ხელმისაწვდომი. ერთ ქალაქში უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებელია, მეორეში კი უმუშევრობის მაჩვენებელი ყოველდღიურად დაბლა და დაბლა იწევს. ერთ ქალაქში გაღვიძება არ უსარიათ, მეორეში კი ყოველ გათენებულ დღას შეჰერიან. ერთ ქალაქს თავისა ლიტერატურული პრემია აქვს, მეორეს კი თავისი, შესაბამისად, ერთ ქალაქში თავისი კუმირები ჰყავთ, მეორეში კი თავისი. ერთ ქალაქში ციხეებში მხოლოდ უდანაშაულობებს სვამენ, მეორეში კი მხო-



ლოდ დამნაშავეებს. ერთ ქალაქში გაღლეტილი ადამიანები ცხოვრობენ, მეორეში კი რესტორნები სავსეა წარმატებული მოქალაქეებით. ერთ ქალაქში მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ეკონომიკა ჩამოშლილია, მეორეში კი დარწმუნებულები არიან, რომ ქვეყნის ეკონომიკა არასდროს არ ყოფილა ასეთი სტაბილური. როდესაც ერთი ქალაქის პოლიტიკოსები და მოქალაქეები უცხოელებს ხვდებიან, ისნი აუცილებლად უყვაბინ მათ თუ რა უბედურ დღეშია ჩავარდნილი მათი ქვეყანა, ხოლო მეორე ქალაქში ჩასული უცხოელები მხოლოდ იმას ისმენ ადგილობრივებისგან, თუ რა წარმატებულ ქვეყანში ცხოვრობენ ეს უკანასკნელი. ერთ ქალაქის მაცხოვრებლებისათვის ქვეყნის უახლესი ისტორია წარუმატებელი გადაწყვეტილებების კასკადია, მეორე ქალაქში კი მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული თითების არცერთი ნაბიჯი წარუმატებელი არ ყოფილა. ერთი ქალაქის მოსახლეობისათვის ყველაფერი, რაც მეორე ქალაქში ხდება, სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს, მეორე ქალაქის მოსახლეობისათვის, კი ყველაფერი რაც პირველ ქალაქში ხდება რეალობასაა მოკლებული. ერთ ქალაქში, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ეკითხებიან, – „როგორ ხარ?“ – პასუხი ყველთვის ერთი და იგივეა, – „როგორ ვიქენები ამათ ხელში?!“ მეორე ქალაქში კი იგივე შეკითხვაზე ან პასუხობენ, – „არა მშავი!“ ან „ხოშანად!“ ერთ ქალაქში ბიზნესი ყვავის, მეორეში კი ბიზნესმენებს დაუნდობლად „ნენავენ.“ ერთი ქალაქიდან გარბიან, მეორეში კი ჩამოდიან და ჩამოდიან. პო, მართალია, ერთ ქალაქში ყოველთვის ყველაფერი ცუდადაა, მეორეში კი ყოველთვის ყველაფერი კარგად, მაგრამ არის ერთი რამ, რაც ამ ორ ქალაქს აერთიანებს, – ორივე ქალაქში მაგარი მოწყებილობაა. ■



თალავი, ყვარელი, ლაგოდები  
გორი, ქარელი, ხაშური  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, გათახი  
ვოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

---